

917722981095006

1134
2023

საზოგადოებრივ-ცოცხალთა დროსა
საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო



ს რ ი ლ ი

ფასი 3 ლარი



2023
6 (314)

დავით ქართვალიაძე
ლიტერატურა როგორც კონკრეტული
და როგორც მარადიული ანბანო

სარჩევი



პერსონა	1	დავით ქართველიშვილი - ლიტერატურა როგორც კონკრეტული და როგორც მარადიული ანწყო <i>ესაუბრა ლექსო დორეული</i>
	6	დავით ქართველიშვილი უფროსი კაფკა ანუ ფალსიფიკაციის ესთეტიკური მხარე
პოეზია	11	რეზო გეთიაშვილი
	13	რატი ამალღობელი
	17	ნატო ინგოროყვა
	22	ზურა პაპიაშვილი
პროზა	25	ზაალ სამადაშვილი სერ... ნავი, სახელად...
თარგმანი	27	ჰირომი კავაკაძი სამზარეულოს ღვთაება <i>ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ</i>
	33	ალასი აივაზიანი ოთხი კედელი <i>თარგმნა მედეა იმერლიშვილმა</i>
კრიტიკა	34	ნონა კუპრეიშვილი უკუსვლა - ეროსი და ნაციონალიზმი კ. გამსახურდიას "დიდოსტატის მარჯვენაში"
ესე	40	ზედი სმითი ჩარლზ დიკენსის მკვლევლობაზე <i>ინგლისურიდან თარგმნა ია ჯეჯელავამ</i>
ინტერვიუ	44	დისკუსია ჰოვარდ ფილიფს ლავკრაფტის შესახებ საუბრობენ ლესლი კლინგერი და ნილ გეიმანი <i>ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან არაბულმა</i>

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Ariil"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიცნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდობა

სულხან-საბა

არილი - მზის შუძი, რამეზე დამფარო

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარინი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

ArililMagazine

გამოდის 1993 წლიდან

© უურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

უურნალი გამოდის
საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს ფინანსური
მხარდაჭერით



დავით ქართველიშვილი - ლიტერატურა როგორც კონკრეტული და როგორც მარადიული ანბნყო

ესაუბრა ლექსო დორეული



დავით ქართველიშვილი - თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ავტორი - ნლების წინ გაქრა ქართული ლიტერატურული პროცესის თვალსაწიერიდან. საკმაოდ ნაყოფიერი და განსხვავებული სამწერლო კარიერის შემდეგ, მოულოდნელად გაუჩინარდა და აღარაფერს აქვეყნებდა. როგორც აღმოჩნდა, ამის მიზეზი აშშ-ში ემიგრაცია იყო. ქართველიშვილი შტატებში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ წერა არ შეუწყვეტია - სულ მალე გამოცემლობა პალიტრა L მის ახალ რომანს გამოსცემს და, დიდი ალბათობით, ავტორს საქართველოშიც ვიხილავთ. "არილი" გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც ის გაუჩინარების წლებზე, მის ლიტერატურულ ტრანსფორმაციაზე საუბრობს; მკითხველს უზიარებს მომავლის გეგმებს და ახალ იდეებს, ლიტერატურულ ჩანაფიქრებს.

- საკმაოდ ნაყოფიერი და აქტიური ლიტერატურული ცხოვრების შემდეგ საქართველო დატოვეთ. ეს წლების წინ მოხდა. დარწმუნებული ვარ, ადამიანებს, რომლებიც შორიდან გიცნობდნენ და თქვენს ტექსტებს კითხულობდნენ, უამრავი მარტივი კითხვა აქვთ: რატომ და სად წავიდა? რა შეიცვალა ამ პერიოდში მის ცხოვრებაში? ლიტერატურას რა ადგილი აქვს მასში? რითაა აშშ-ში დაკავებული? ბოლოს როდის იყო საქართველოში?

- პირველ რიგში, სანამ შეკითხვებზე გიპასუხებდეთ, მსურს პირადად თქვენ, ლექსო, დაგვიანებით მოგიოცოთ ჟურნალ "არილის" თანარედაქტორობა, მივესალმო ჩემს ძველ მეგობარსა და კოლეგას, მაღაზი ხარბედიას და ასევე საკუთარ თავს მივულოცო "არილში" ავტორად დაბრუნება. თუ არ ვცდები, ჟურნალში ბოლო პუბლიკაცია 12 წლის წინ მქონდა. კარგია, რომ ვარსებობთ - ჟურნალიც და მეც და ისევე შევხვდით ერთმანეთს, რაც, რა თქმა უნდა, გარდაუვალი იყო, რადგან "არილი" თანა-

მედროვე ლიტერატურის განუყოფელია ნაწილია.

ახლა რაც შეეხება თქვენს შეკითხვას. საქართველო დავტოვე 2011 წლის ბოლოს. ეს უფრო დაუგეგმავად და ქაოსურად მოხდა, ვიდრე წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. ნასვლის სურვილი კონკრეტული მიზეზების გამო შეიძინა. ამ მიზეზებს უფრო პირადი შეიძლება ეწოდება, ვიდრე სოციალური ან პოლიტიკური. ჩემი ნასვლა უფრო ისეთი თემაა, ყვეთელ პრესასთან რომ უნდა ისაუბროს ადამიანმა, ვიდრე ისეთ სერიოზულ გამოცემასთან, როგორც "არილია". რაც შეეხება ლიტერატურას... დიდხანს არ ვიბეჭდებოდი, მაგრამ ერთი წამით არ გამიწყვეტია ლიტერატურული შრომა. ერთი მხრივ, სამხრეთ კალიფორნია, სადაც უკვე 11 წელია ვცხოვრობ, სრულად არალიტერატურული სივრცეა, მაგრამ, მეორე მხრივ, მაღალგანვითარებულ ეკონომიკაში მინიმალური ფინანსების მოპოვება არ არის რთული. ვმუშაობ იმდენს, რომ გადასახადები გადავიხადო და მეონდეს თავისუფალი დრო, რომელიც, რა თქმა უნდა, მთლიანად ლიტერატურას ეთმობა. ჩემი არქივის მიხედვით, ჩემი 11 წლიან მონაგარი ასეთია: 3 რომანი (ერთი მეტი განი ინგლისურად არის დაწერილი), ამ სამი რომანიდან ერთი "მეგაპოლისი და ფიზიკური პირები" სექტიმბერში გამოიცემა ნიგნად. გამოცემული პალატრა L-ია. რედაქტორი ჩემი ძველი მეგობარი და შესანიშნავი მწერალი ბესო ხვედელიძეა, ხოლო პროექტის მთავარი რედაქტორი ქ-ნი მაია ალუდაური.

რაც შეეხება სამსახურებს: მიმუშავია ყველა მძიმე ემიგრანტულ სამუშაოზე სარესტორნო ქსელში, გადაზიდვებში, დისტრიბუციაში და ზოგიერთ შედარებით მსუბუქ სამსახურშიც, მაგ. ქალაქის მერიიაში. ამ ამბებსაც ყველაზე პრესას მეუბნება.

საქართველოში ბოლოს 11 წლის წინ ვიყავი, მაგრამ ნიგნის პრეზენტაციაზე ვაპირებ ჩამოსვლას (ხეს ვეძებ რომ სამჯერ დავაკაჟუნო).

- თუ გვიფიქრიათ, როგორ შეიცვალა ამ პერიოდის მანძილზე თქვენი ენა? საქართველოში აღარ ცხოვრობთ, მაგრამ ქართულად წერთ. შეიძლება თუ არა ამ გარემოების პრობლემატიკაზეა. ქმნის თუ არა ეს რამე არსებით განსხვავებას?

- კი, რა თქმა უნდა, მიფიქრია. საერთოდ, ემიგრაცია ბევრ რამეზე გაფიქრებს ადამიანს, თუ, რასაკვირველია, ადამიანს უნდა, საერთოდ, დაფიქრება. კონკრეტული პასუხისათვის ოდნავ განზოგადებული შესავალი მჭირდება. ჩემი აზრით, ძირითადად ორი კატეგორიის მწერლები არსებობენ. 1. მწერლები, რომლებიც ამბებით და პერსონაჟებით აზროვნებენ და 2. მწერლები (და მე საკუთარ თავს ამ კატეგორიას მივაკუთვნებ), რომლებიც აზროვნებენ წინადადებებით და სჯერათ, რომ თუ ზუსტი სიტყვები ზუსტად შეიძლება თანმიმდევრობით დალაგდება, ამბავი და პერსონაჟი თავისთავად წარმოიქმნება.

რა თქმა უნდა, ამ საუბარია პრიორიტეტებზე და შინაგან ტენდენციებზე, თორემ რეალურად ყველაფერზე ცდილობ ვიფიქრო. დაახლოებით 5 წელი კვირადმდე ინგლისურად ვცდილობდი წერას და ამ გამოცდილებამ ჩემი ქართული ალბათ შეცვალა

და თუ ეს ასეა, იმედია - უკეთესობისაკენ.

საერთოდ, ჩემი ენისადმი დამოკიდებულება ასეთია: ენა უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და მარტივი, უფროსკლასების ნაწერების იმიტაციას უნდა ქმნიდეს. ასეთი მიდგომა საშუალებას მაძლევს ტექსტის შინაარსი უფრო კომპლექსური, ექსპერიმენტული და ფილოსოფიური გაავსება. არსებობენ ავტორები, რომლებიც პირიქით: განზრახ ართულებენ ენას და ასევე განზრახ ამარტივებენ შინაარსს. ეს, ფაქტობრივად, მონეტის მეორე მხარეა; ლიტერატურული ექსპერიმენტია, თან არც თუ უინტერესო. ამ ყაიდის მწერლები ამ წუთას მასხენდებიან: ივა ფეზუაშვილი და ჯონათან ფრენზენი.

- ახლა, დროის ამ გადმოსახედიდან, როგორ იხსენებთ ხოლმე იმ წლებს, როცა ლიტერატურულ კარიერას იწყებდით. მეხსიერების რა ეფექტები, თამაშები და მეტამორფოზები ახლავს წარსულზე ფიქრს? ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც თქვენთვის მნიშვნელოვნები აღმოჩნდნენ?

- კვლავ ყვეთელი პრესის თემატიკაა უნდა დავუბრუნდე და ასე მივიღე მთავარი სათქმელი. მე არ გავზრდილვარ მიკითხვალთ კლუბში. რა თქმა უნდა, სახლში, როგორც შეეფერებოდა იმ დროის მაღალი საშუალო ფენის საბჭოთა ოჯახს, იყო საკმაოდ ნორმალური ბიბლიოთეკა, მაგრამ დიდად ნივნების კითხვით არავინ ინუხებდა თავს, ეს ტიპური იყო იმ დროისათვის. მოკლედ, ბიბლიოთეკა არსებობდა იზოლირებულად. არც მე ვკითხვობოდი. ხანდახან ვადმოფიანყოფდით ნივნებს და ვუცვლდით მათ თანმიმდევრობას. ეს იყო ჩვენი საოჯახო თერაპიის ნაწილი. მერე ეს ამბავი ბევრჯერ მაქვს მოყოლილი, ერთ დღეს ფეხბურთის თამაშის ვიღრძე ფეხი და ექიმმა ორკვირიანი შიდაპატიმრობა გამომიწერა. სწორედ ამ დროს ვადმოვიღე და წავიკითხე პირველი ნივნი. ვოლტერის "ფილოსოფიური მოთხრობები" და ასე დაიწყო ჩემი დღიური ლიტერატურის ურთიერთობა. ამ დროს 17 წლის ვიყავი. ვოლტერის დღემდე ვკითხვობ, თუმცა ჩემზე ყველაზე დიდი ლიტერატურული გავლენა მაინც ლორენს სტერნმა და სულხან-საბა ორბელიანმა მოხდინეს.

მაღვეე დავინჯე წერა. ეს უკვე ახალი და მოუკიდებელი საქართველოა თავისი ახალი და დამოუკიდებელი პრობლემებით. ამ დროს სხვა ბევრი ოჯახივით ჩვენც გავკოტრდით და მე უცებ განვაცხადე, რომ ჩემი იურისტის დიპლომი არაფერში მჭირდება და ერთადერთი, რაც მინდა, წერაა. ფეხზე დამომდგარი აპლოდისმენტებით, რა თქმა უნდა, ამ ამბავს არავინ შეხვედრია.

არსებობს წმინდა ლიტერატურული გავლენები და კავშირები, მაგრამ არსებობს ყოველდღიური ცხოვრების გავლენები, რომლებსაც დიდი ძალა აქვს. ამ მხრივ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ლამაზ ბუღაძის ნივნი "ყუთი". თავად ფაქტი, რომ იმავე სივრცეში არსებობდა ჩემი ასაკის ადამიანი, რომელიც წერდა, ეს იყო ძალიან კარგი და შვეების მომგვრელი ფაქტი.

უკვე ზუსტად ვცოცადი, რომ გიჟი არ ვიყავი და თუ მაინც ვიყავი, სხვა გიჟიც არსებობდა. მერე უკ-

ვე ძალიან მოკლე დროში აღმოვაჩინე სხვა ავტორებიც.

- ბოლო დროს Facebook-ზე გააქტიურდით. საკუთარი თავისგან, შეიძლება ითქვას, ციფრული პერსონაჟიც შექმენით, რომელიც ვიდეოებით ბევრ ადამიანს ახალისებს... მგონი, თავადაც კარგად ერთობით, არა?

- ვიდეოები და პოსტები stand-up-ია. ეს ჩემი ძველი სქველი ჰობია და არ მინდა, რომ პროფესიად მქვეს. აქაც გამოვდიოდი ხანდახან კლუბებში და თბილისშიც ჩემი ახალი რომანის პრეზენტაციანზეც ვგვემაც 30 წუთიან სტენდაფ რუტინას (ისევ ხეს ვეჭებ, რომ სამჯერ დავაკაჟუნო). მასხარა ბავშვობიდან ვარ, თუმცა ეს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ჩემმა მეგობრებმა იცოდნენ. პროცესი, რა თქმა უნდა, მართობს და თუ თქვენც მოგწონთ, ძალიან მიხარია!

- თანამედროვე ქართულ ლიტერატურას თუ ეცნობით? ახალ სახელებს, ავტორებს, მათ ტექსტებს თუ კითხულობთ. ვინ მიიქცია თქვენი ყურადღება?

- კი, რა თქმა უნდა, ვკითხულობ. ონლაინ ბიბლიოთეკა "საბას" წვერი ვარ. ამ წუთას მხოლოდ ერთ ავტორზე მინდა გესაუბროთ. ეს ავტორი ნოდარ ლაღარია. მისი რომანი "ქარის გამორჩევა" სრულიად შემთხვევით წავკითხე და მინდა გითხრა, რომ, ჩემი აზრით, ეს არის თანამედროვე ევროპული ხარისხის რომანი, რა თქმა უნდა ტექსტში ყველაფერი არ არის ჩემთვის მისაღები (ასეთი ტექსტი, ზოგადად, რომ არსებობდეს, მაშინ მე აღარც დავწერდი), მაგრამ ვიმეორებ, ეს არის საოცრად პროფესიონალური ნივინი - ენა, არქიტექტონიკა... სამწუხაროა, რომ (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია) ამ ნივინის პუბლიკაციამ ჩუმად ჩაიარა. არადა, წესით საქმიად კარგი მასალა უნდა ყოფილიყო ლიტერატორებისათვის.

- თქვენი ლიტერატურული რეჟიმი როგორია, სისტემატურად მუშაობთ ტექსტებზე, თუ ფრაგმენტულად, დროგამოშვებით? მომავლის გეგმები როგორია ამ თვალსაზრისით, რომანის დაწერის იდეა ხომ არ გაქვთ?

- დავინყებ რომანიდან... უკვე აღვნიშნე, რომ ჩემი ახალი რომანი "მეგავალიის და ფიზიკური პირები" სექტემბერში დაიბეჭდება, ცოტა თავსაც შევიქებ და ვიტყვი, რომ მართლაც მნიშვნელოვანი ტექსტია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც. ეს რომანი ჩემი ცხოვრების ბოლო 11 წლის პრაქტიკული გამოცდილების და ესთეტიკური ძიებების შედეგია. რაც შეეხება სამწერლო პრაქტიკა... მე იმ მწერლების რიცხვს თუ კატეგორიას ვაჭყულებ, ვინც ჯერ თავში წერს და შემდეგ უკვე თავში დაწერილი გადააქვს ფურცელზე. რა თქმა უნდა, ფურცელზე გადატანის პროცესში რაღაცეები იცვლება, ხანდახან რადიკალურადაც, მაგრამ ერთი რამ უცვლელია - პირველი ნინადადება. თავში შეპირად წერა ლიტერატურის თავდაპირველი ფორმა, შეიძლება ეს პროცესი წლების მანძილზე გაი-


წლოს. რაც შეეხება ფურცელზე გადატანას, ეს უკვე დისციპლინის ამბავია და ამ მხრივ ვცდილობ ფლობრის მიმდევარი ვიყო, თუმცა მისი უკიდურესი პედანტიზმი ჩემთვის მაინც უფრო ნევროზის ნაირსახეობაა, ვიდრე აუცილებლობა და ის ჩემთვის უცხოა. არასდროს მიფიქრია მთელი დღე, თუ სად დამესვა მისივე მხოლოდ იმიტომ, რომ მეჩვენ, ღამე ეს ძლივს დასმული მძიმე უზნაროდ წამეშალა, მიუხედავად იმისა, რომ პუნქტუაციისადმი ჩემი, ძალიან სუბიექტური და ფრთხილი დამოკიდებულება მაქვს. ვწერ, ძირითადად, შუადღეს, რამდენიმე საათის განმავლობაში. სამსახურებშიც გამიმართლა ამ მხრივ, ძირითადად, საღამოობით და უთუნია მინევედა და მინევეს მუშაობა.

- საკუთარი წერის სტილის ტრანსფორმაციას როგორ აღწერდით. საერთოდაც, რომელ ესთეტიკას მიაკუთვნებთ თქვენს ტექსტებს თავად? ზოგჯერ მათი უაწრული კლასიციზმი (ასეთი: ანსურდულიც არის, იმპეტაციურიც და გროტესკულიც. ხშირად მიმართავთ პარიდიის პოეტკასაც, მაგრამ მათი საერთო ნიშანი, ალბათ, ვფიქრობ, მაინც ინტერტექსტულობაა. უამრავი ავტორი, ტექსტი და ხმა იყრის ერთად თავს. ახლა რომელია ის ტექსტები, ავტორები, რომელთა დიალოგშიც თქვენი ტექსტები ინერვება?

- უაწრი ჩემთვის პირობითობაა. მე ვწერ პროზას, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში პოეზიისაა და ფილოსოფიის ნაზავია. აქ ისევ ვოლტერს უნდა დავუბრუნდე, ასევე სტერნს, სულხან-საბას. საერთოდ, მე ძალიან მიყვარს განმანათლებლები. ბრიტანული განმანათლებლური რომანი: სტერნი, სეფტი, ფოლდინგი, ასევე ფრანგული განმანათლებლობა: ვოლტერი, დიდორ. მნიშვნელოვანი ზიჯი იყო თავის დროზე ძველი იაპონური ლიტერატურა: მურასაკი შიკობუ, სეი სიონაგონი. ცალკე ადგილი აქვთ ესეისტებს - პასკალი, მონტენი. თუ ქართულენოვანი ლიტერატურის ტრადიციით განვიხილავ საკუთარ თავს, მე უფრო ნიკო ლორთქიფანიძის ხაზის გამგრძელებელი ვარ, ვიდრე ჯავახიშვილის ან გამსახურდიას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ყველაფერი ერთი დიდი პირობითობაა და სინამდვილეში ჩვენზე არა ავტორები და წიგნები, არამედ ფრაგმენტები და ეპიზოდები ახდენენ გავლენას და ნამდვილი დიალოგიც მათთან გვაქვს.

- წერისას მკითხველზე თუ ფიქრობთ? ეკო ამბობდა, ნებისმიერი მწერალი თავად ქნის მკითხველს. როგორია, თქვენი წარმოდგენით, თქვენი ტექსტების იდეალური მკითხველი? რა თვისებებსა და უნარებს ფლობს, როგორი ხასიათი და ტემპერამენტი აქვს?

- მკითხველზე ფიქრს უკვე ტექსტის გადათეთრებისას ვინყებ, მანამდე ეს სრულიად და მხოლოდ ჩემი სიყვარულია. გადათეთრებისას უკვე ვინყებ იმაზე ფიქრს, რომ ტექსტი, მინდა არ მინდა, პროდუქტია, რომელიც უკვე სხვებმა უნდა მოიხმარონ. ეს ცვლის რაღაცეებს, ძირითადად, გრცელ ფილოსოფიურ მონოლოგებს ვკუმშავ და ვკვეცავ. იდეალური მკითხველი არ ვიცი. ამაზე ნაკლებად ვფიქრობ, ჩემი მიზა-



ნი არსებულ, რეალურ მკითხველთან შეხვედრაა მინიმალური ესთეტიკური კომპრომისების ხარჯზე. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი ჩემი პოტენციური მკითხველის შესახებ, ეს არის ის, რომ მის უმუდოდ და სიამოვნებას ანიჭებს ფიქრი და იაზრება, რომ ხელოვნება ყოველთვის ხელოვნებისთვისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელოვნებაში მთავარი ესთეტიკური მხარეა. მოკლედ, იქამდე მივდივართ, რომ ჩემი პოტენციური მკითხველი ნივინერი ადამიანია. ისე არ გამოვიტოვო, რომ სპილოს ძვლის კოშკების მშენებელი ვარ და მხოლოდ მორის მეტერლინკს ვკითხულობ, არა. უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ლიტერატურა, პირველ რიგში, ესთეტიკური ფენომენია.

- მე გვინდა, ბორხესი უნდა გიყვარდეთ. ყოველ შემთხვევაში მე ხშირად აღმომიჩინა თქვენს ტექსტებში მისი კვალი. ბორხესი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა, რომ ის დროთა განმავლობაში არა მხოლოდ საკუთარი ტექსტების ავტორად, არამედ მათ მკითხველადაც იქცა, ავტორ-მკითხველად. თქვენ თუ კითხულობთ საკუთარ ტექსტებს, თუ გააოიოშუავეთ მათთან მკითხველის დისტანცია?

- ბორხესი მაინტერესებს როგორც კონცეპტუალისტი და ასევე პოეტი. თუ მაინცდამაინც სამხრეთ ამერიკელ ავტორებში უნდა გამოვარჩიო ვინმე, ეს უფრო მაინც კარპენტერი, კორტასარი და მანუელ სკორსაა. ამ სიის გავრძელება შეიძლება. რაც შეეხება ბორხესს, ის ჩემთვის უფრო ლიტერატურის თეორეტიკოსია, ხოლო მისი კვალზე მსგავს ჩემს ტექსტებში ალბათ უფრო სიბრძნე სიცრუისას კვალია და კიდევ ერლომ ახვლედიანის "ვანო და ნიკოსი" და აღმოსავლური იგავების და ზღაპრების. ბორხესი ინტერპრეტაციების, პაროდირების და გადათამაშების ძალიან გულზე შეესაძლებლობას იძლევა, ამას ჩემზე ადრე გასული საუკუნის 60-იანი წლების ევროპელი ავტორები მოხვდნენ: კალვინო, პერეკო, რომ-გრიე, ოდნავ იმეხვებოთ ამერიკელებიც: ჯონ ბარტი, ჰელერი, უილიამ გედისი, ეს უკანასკნელი უკვე კალიფორნიაში აღმოვაჩინე. ძალიან საინტერესო მწერალია, უფრო სწორად იყო. საკუთარ ტექსტებს ძალიან იშვიათად ვკითხულობ. ამას წინ ჩემი პირველი რომანის "იყო საღამო, იყო დილას" წაკითხვა ვცაადე. ეს რომანი 28 წლისამ დავწერე, ახუ 19 წლის წინ და უცებ კითხვისას ვიგრძენი, როგორი ახალგაზრდა ვიყავი და როგორი თავისებური და განუმეორებელი ხიბლი აქვს ახალგაზრდულ სევდას, როგორი რადიკალურია ახალგაზრდული ფილოსოფიური და ესთეტიკური ძიებები. ეს ის ეტაპია ცხოვრებაში, როდესაც პირად გამოცდილებაზე მეტად ლიტერატურულ კონსტრუქციებს ენდობი. საინტერესო გამოცდილება იყო, თუმცა კითხვა მაღევე მეგნვიციტე.

- არილის ამ ნომერში მკითხველი თქვენს მოთხრობას ვაეცნობა - "უფროსი კავკასიუ ფალსიფიკაციის ესთეტიკური მხარე". სიმართლე გითხრათ, ჩემთვის შთამბეჭდავი ტექსტი აღმოჩნდა. საიდან მოვივიდით იდეა, რომ ჰერმან კაფკას "პასუხი" დავეწერათ კავკას იმ ცნობილ წე-

რილზე, რომელიც მის ერთადერთ ადრესტს არ წაუკითხავს?! რა მიმართება აქვს თქვენს მოთხრობას "წერილი მამასთან"? რატომ დანიტერესდით ამ თემათ?

- სინამდვილეში კავკას და მისი "წერილი მამას" მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული სვლაა. ერთი მხრივ, მე ავტობიოგრაფიული მწერალი ვარ, მაგრამ არა სელინის, მილერის ან თუნდაც ვიღაც დედამაძის ყაიდას. პირიქით, მე მომწონს როდესაც პერსონაჟების უკან ვიმაღლები, ვანალიზებ მათში ჩემი ბიოგრაფიის ეპიზოდებს. ბიოგრაფიაში არამხოლოდ რუტინულ ფაქტოლოგიას ვგულისხმობ, არამედ: ფიქრებს, ფილოსოფიას. სამხრეთ კალიფორნიაში გადმოსვლის შემდეგ ცხოვრებაში აღბედავი პირველად მომეცა ნამდვილი განმარტობის და თვითანალიზის საშუალება. იზოლაცია ამერიკული ცხოვრების ნორმაა და ემიგრანტისთვის ხომ მიუთმეტს. რა თქმა უნდა, თვითანალიზის ეს პროცესი ვერ ჩაივლებს ბავშვობის გახსენების გარეშე და სწორედ ამ დროს მივხვდი, რომ მშობლებთან ურთიერთობას მხოლოდ საკუთარი პერსპექტივიდან ვუყურებდი, რაც, რასაკვირველია, დიდი შეცდომაა. ასე დაიწყო ეს მოთხრობა წლების წინ. მინდოდა ჩემი თავი დამენახა ჩემი მშობლების მხრიდან, განსაკუთრებით მამაჩემის მხრიდან, რადგან გამოვინდარე იქიდან, რომ ადრე ვერადაიცვალა, ისე ვამოხვდი, რომ, ძირითადად, ვანაღვ ჩემი ახალგაზრდული შეცდომების გამო და უკან ვერაფერი დავუბრუნე. ფიქრი ფიქრად რჩებოდა, სანამ მე და ჩემი ძველი მეგობარი მალბაზ ხარბედია არ შევეხვდით ვიესბუქზე და არ ვიკავებოდი ჩემი უსაძლო პუბლიკაციის შესახებ "არილში". სწორედ ამ საუბრის შემდეგ მივუბრუნდი ამ იდეას, მაგრამ რადგან არ მსურდა მოთხრობისათვის სენტიმენტალურ-პლაკატური ფორმის მიცემა, ამიტომ დავიწყე ალტერნატიული, ნაკლებად სწრაზაზოვანი გზების ძიება და სწორედ ამ დროს გამახსენდა კავკას, კერძოდ ეს: "წერილი მამას". ეს წერილი ხომ საშინლად ეგოცენტრული და დავუშვი, რომ უფროს კავკას რაღაც ფორმით ამ წერილის არსებობის შესახებ შეეტყო. თუმცა უკვე გითხარით, რომ ფურცლებზე გადატანისას ბევრი რამ იცვლება და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. მოთხრობა სულ სხვანაირად გაიშალა. იმედია, მკითხველი ისიამოვნებს მისი წაკითხვით.

- ამბებს, რომლებიც არ მომხდარა, ხშირად ბორხესისეული დამაჯერებლობით აღწერთ. ამიო მკითხველის დაბნეულობას იწვევთ. ტექსტსა და რეალობას, წარმოსახვასა და სინამდვილეს შორის ონტოლოგიური ზღვარი ქრება, წაშლამდე ფერმკრთალდება. ხშირად მათი ერთმანეთზე გადაშლის კვალსაც ვერ ვაჩვენებთ. შეიძლება ვთქვათ, რომ თქვენთვის ლიტერატურა ალტერნატიული ისტორიაა ან ცხოვრება მხოლოდ ტექსტის ერთი სახეობაა? როგორ უყურებთ ლიტერატურისა და რეალობის მიმართების საკითხს?

- ბორხესის დამაჯერებლობა სწორედ მის დაუჯერებლობაშია, მესმის, რომ წინა წინადადება ქოუჩური ფსევდოსიბრძნესავით ჟღერს, მაგრამ რეალობა ასეთია. თუ ჩემი დაუჯერებელი ამბები თქვენ



დამაჯერებლად გეჩვენებათ, მაშინ შედეგი მიღწეულია და ჩანაფიქრი განხორციელებული. მაღარმეს იდეა - სამყაროს წიგნში მოთავსების შესახებ - გულუბრყვილია. ჩემი აზრით, არის რალაცეები, რაშიც ადამიანი არ იცვლება. გრიგოლ რობაქიძე ამას თაურ ფენომენს ეძახდა. ეს იდეა გვხვდება გოეთესთანაც, თუმცა მისი სათავე ანტიკურ საბერძნეთშია საძიებელი. ამ იდეის მიხედვით, არსებობს რალაც უცვლელი. მაგ. ვაშლის ხე ყოველთვის მოისხამს ვაშლს და არასდროს მსხალს. სარტრს ამის არ სჯეროდა. მასა და კამიუს შორის სწორედ ამ საკითხზე წარმოიშვა დისკუსია, რომელიც, საბოლოო ჯამში, დიდ დავაში და პიროვნულ კონფლიქტში გა-

დაიზარდა. პირადად მე ასეთი უცვლელობის ინდივიდუალურ დონეზეც კი მჯერა და ჩემთვის ამას ვუნოდებ ადამიანის თანდაყოლილ ხასიათსა და მიდრეკილებას. და აი, ამ ხასიათის თუ მიდრეკილების მიხედვით ჩემთვის ყოველთვის ასე იყო და დღემდე ასე რჩება, რომ ლიტერატურა არის დაშვების ხელოვნება და ამ დაშვების თუ აბსტრაქტიზების ფუნქცია ესთეტიკური ფორმით არსებული რეალობის გამოხატვაა. ჩემთვის ერთადერთი რეალობა ანმყო, სხვა ყველაფერი ბელეტრისტიკაა. ასე რომ, ლიტერატურის მთავარი ფუნქცია სწორედ კონკრეტული ანმყოს მარადიულ, უცვლელ ანმყოსთან რეაქციაში შესვლაა.

დავით ქართველიშვილი

უფროსი კაფკა

ანუ

ფალსიფიკაციის ესთეტიკური მხარე



პროლოგი

1934 წ.

ამბობენ, რომ სიცოცხლის ბოლოს ის სპირად ერეოდით პოეტში და ამ ფაქტს ის საკმაოდ მძაფრად განიცდიდა.

1. მამა

1919 წ.

ძვირფასო შვილო,

ზუსტად 45 წუთი მივეცი საკუთარ თავს იმისათვის, რომ ჩემი სათქმელი ვითხრა; რასაც მოვასწრებ, მოვასწრებ, რასაც ვერ, იქნებ ხველ გავაგ-

რძელო ამ წერილის წერა, თუმცა ვერ დაგპირდები, რომ მართლაც გავაგრძელებ, ვერც იმას დაგპირდები, რომ ოდესმე ამ წერილს გამოგიგზავნი, თუნდაც ფრაგმენტის სახით.

ახე რომ, ეს "იქნებ ხველ გავაგრძელო" სათუთ დაპირებად ფიქრს.

სინამდვილეში შენთან დალაპარაკება უშენოდ უფრო მინდა, ვიდრე შენი თანდასწრებით. რა თქმა უნდა, ვხვდები, რომ ეს მხოლოდ ჩემს წარმოსახვაშია შესაძლებელი. წარმოსახვას კი, ჩემგან არ გესწავლება, პოეტო, დიდი ძალა აქვს, რადგან ის გონებაში აღმოცენებული უსხეულო სამყაროა.

ხედავ, მეც შემძლია ფიქრი, მაგრამ ფიქრი ჩემი სტიქია არ არის.

ჩემი სტიქია მოქმედება.
მაგრამ დროა შევეცვათ უწყალო სიბრძნისმოყვარეობას.

შენდამი ამ წერილის მოწერა სრულიად მოულოდნელია, ერთი მიზეზებიდან, უცნაური მხედის გამოც კი გადავწყვიტე, უფრო სწორად, შენდამი ამ წერილის მოწერა უცნაურმა მიზეზმა მაიძულა - დამესხმორე.

(ზოგადად, წერილების წერა არ არის ჩემი საქმე და, სიმართლე რომ გითხრა, უკვე ზუსტად ვიცი, რომ "იქნებ ხვალ გავაგრძელო" ფუჭი დაპირებაა და დაწყებული საქმეს ბოლომდე არ მივიყვან).

როგორც უკვე გითხარი, დამესხმორე: ვითომ - სიზმარი ხომ მძინარე ადამიანის თავში გათამამებული სექტა-კლია - საწერ მაგიდასთან იჯექი და წერილს მწერდი. მე შენ გეგეტე ვეგრდებე, მაგრამ როგორც სიზმარში ხშირად ხდება ხოლმე, შენ მე ვერ მხედავდი. ჩემი თვალი მიჩვეულია შენს არასიმეტრიულ კალიგრაფიას და ფიქრობ, რომ სწორედ ამის გამო სიზმარში არ გამჭირვება შენი ხელნაწერის გარჩევა.

წერილი სულ ახალი დაწყებული გქონდა. წერილი აღელვებულად და შეუჩერებლად. უკვე დაწყებული პარაგრაფიდან ირკვეოდა, რომ შენ ჩემთვის წერილში ცდილობდი იმის ახსნას, თუ რატომ, რა მიზეზებით გეცემა თავხადი ჩემს დანახვაზე, ჩემთან ყოფნის დროს. ზოგადად ჩემ წინაშე.

დაუფარავად გეტყვი: ეს არ იყო მაინცდამაინც სასიამოვნო საკითხავი ჩემთვის. მე ყოველთვის ვგრძნობდა და ერთხელ - იქნებ არაერთხელაც კი - ვითხარო, რომ მე შენ უცნაურ, არაბუნებრივ დღევას ვატყობ ჩემთან ურთიერთობისას და ვთხოვე - თუცა შენი მამა ვარ და შემიძლო, პირდაპირ მომეხირო - რომ ავეხსნა შენი, ჩემი აზრით, მაინც არაბუნებრივი დამაბულობის მიზეზი.

შენი დაბაბულობა ყოველთვის მედებოდა მე, როგორც ემოციური ინფექცია.

ჩვენი ურთიერთობა არასდროს ყოფილა სასიამოვნო და თავშესაქცევი, მაგრამ მინდა იცოდე, რომ მე შენ ყოველთვის მიყვარდი. შენ ხომ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ, მაგრამ მოდი, ნუ შეეჩრდებები ამ თემაზე მაინც და მაინც დიდხანს. ვამჯობინებ: ვიყო საქმიანი და არა სენტიმენტალური. თუ ყოველთვის ვერ, ძირითადად მაინც.

გამოლევძებელი ერთხანს საწოლში გაუნძრევლად ვიქექი. მიუხედავად იმისა, რომ - ეს შენ მშვენივრად იცი - მე საკუთარ თავს სალად მოაზრებინე, პრაქტიკულად ადამიანად მივიჩნე, სიზმარში მაინც მძლავრად იმოქმედა ჩემზე. შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი.

ბრახნარევადაგოგნებული ვფიქრობდი და თან სიზმარს ვიხსენებდი. ჩემებურად განვმარტავდი მას. განვმარტავდი ისე, როგორც შემიძლო ან იქნებ ისე, როგორც მაწყობდა.

შენ (ესეც როგორც სხვა ბევრი რამ ჩემზე) მშვენივრად მოგხსენება, რომ მე, შენგან განსხვავებით, არ ვარ პოეტური სულის პიროვნება და ამიტომ სიტყვებს ჩემთვის მხოლოდ ყოველდღიური, ცხოვრებისეული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ შენთვის ხომ ეს ასე არ არის?!

ამ წერილში მე არ ვაპირებ არც შენზე და არც

შენს პიროვნებაზე საუბარს, ხანდახან ვაკვირთ შენი ძლიერ გახსენებ, მაგრამ ჩემი მთავარი მიზანი შენთვის ჩემი თავის გახსენებაა.

ალიარებით უნდა დავიწყო: მე არასდროს მქონია საკმარისი დრო და იქნებ არც სურვილი - ყოველ შემთხვევაში საკმარისი მაინც - საკუთარი თავის შეცნობის, მისი გავების, მისი (თუნდაც მცირე ხნით) გვერდლდან დახახვის. მე ჩემი ცხოვრება შრომას, ფინანსური სტაბილურობის მოპოვებასა და ოჯახს მიუძღვინი. პირდაპირ გეტყვი: სხვანაირად არ ვიცი და ვერ ვხვდები, როგორ უნდა მეცხოვრა. მე არ მჯერა სხვანაირი ცხოვრების არსებობის.

რომც ცვდებოდა, გვიანია და უკვე ვეღარაფერს შევცვლი, მით უმეტეს, რომ ცვლილებების გულწრფელი სურვილი საერთოდ არ მაქვს და, არადასამალია, რომ არასდროს მქონია წარულოში.

არ დავიძალავ: ადრეული ასაკიდანვე მეუცხოებოდი, არა როგორც ჩემი შვილი, უკვე ვითხარი, რომ ჩემი მამობრივი სიყვარულის ეჭვქვეშ დაყენება არასწორი სულა იქნება, რადგან მე ზუსტად ვიცი (და შენ ესეც კარგად მოგხსენება, რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის სიზუსტე), რომ როგორც შვილი, ყოველთვის მიყვარდი და დღემდე მიყვარხარ. მინდა იცოდე, რომ ჩემი გარეგნული სიცივის მიუხედავად, მე არ ვარ უფულო ან ვულქვა ადამიანი და ჩემი გული სასეა სხვადასხვა სახის გრძნობებით.

მე შენთან თავიდანვე ხასიათობრივი უთანხმოება მქონდა. ჩემი გადმოსახედიდან, შენ ზედმეტად სიცოცხლის მოყვარული ბუნება ვატყვ, ხოლო ჩემთვის მთავარი არა სიცოცხლე, არამედ ყოველდღიური ცხოვრებაა.

ზოგად, არაფრისმომცემ მსჯელობას მიჩვევინა შეგახსენო ერთი ეპიზოდი ჩვენი მამა-შვილური ურთიერთობიდან, როდესაც მე შენ ზუსტად შენივე სიცოცხლისმოყვარული ბუნების გამო დაგსაჯე, როგორც დღევანდელი დღის გადმოსახედიდან ვხვდები - ზედმეტად მკაცრად.

დარწმუნებული ვარ, ეს ეპიზოდი შენც მკაფიოდ გახსოვს და იქნებ შენს ბავშვობისდროინდელ მოგონებებში შორის ის ყველაზე მძაბრად და საშინელიც კი არის.

დაზუსტებით ვერ ვიტყვი, უბრალოდ ვვარაუდობ.

არ მახსოვს ზუსტად, რამდენი წლის იყავი, ალბათ 6 ან 7.

სამსახურში რთული და არასასიამოვნო დღე მქონდა და სახლში ცულ ხასიათზე დავბრუნდი. არ იფიქრო, რომ თავს ვიმართლებ. სხვა შემთხვევაშიც იმავეს ვაკეთებდი, რაც მაშინ გავაკეთე. იმას ვამბობ, რომ ცუდი ხასიათი მხოლოდ დამამძიმებელი გარემოება იყო და მან ჩემი მხრიდან გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ და მხოლოდ დააწქარა.

მახსოვს: სახლში დაბრუნებისთანავე მომესმა შენი სიცოცხლის სავსე ხმა და იმ წამზე მივხვდი, რომ ჩვენი განწყობები ერთმანეთს ოდნავადაც კი არ ემთხვეოდა. შენ ვიხაროდა ცხოვრება, მე კი მითით უკვე დაღლილი ვიყავი.

ხშირად ვფიქრობ, რომ ეს თანდაყოლილი დაღლილობაა. უბრალოდ, ასეთად დავიბადე. ბავშვობიდან (მხოლოდ შენ არ ყოფილხარ ბავშვი) ცხოვ-

რება ჩემთვის იყო რაღაც მოსაწყენი, გამეორებუ-
ბით სასვე პროცესი.

დიას, ჩემი აზრით, ცხოვრება პროცესია. არ ვი-
ცი, რას ამბობენ ამაზე მეცნიერები ან შენი კოლე-
ჯა პოეტები, მაგრამ ჩემთვის ასეა. პროცესი გუ-
ლისხმობს დაბადებას და გარდაცვალებას. მე, სხვა-
თა შორის, მსგავსი დაუნდობელი სიზუსტეც მზიბ-
ლავს.

ახლაც - ამ წერილის წერისას - ჩამემისი შენი
აღვრთოვანებული, თითქმის უწყვეტი სიცილი და
ალტყინება. გაგაფრთხილე, მოგიწოდე, გიბრძანე,
რომ გაჩუმებულიყავი, მაგრამ არ დამმორჩილდი,
თითქოს რაღაც ბოროტი ძალა დავკაპატრონა. მე
მჯერა ბოროტი ძალების არსებობის. არ ვიცი, ზუს-
ტად რა სახე აქვთ მათ და აქვთ თუ არა საერთოდ.
მე არ ვარ მსგავსი შეკითხვებით მოცული ადამიანი
და ადამიანები, რომლებიც მსგავსი შეკითხვებს სვა-
მენ, ჩემში უნდობლობას იწყვევენ.

მეტეს მოთმენა აღარ შემეძლო. ხელი ჩავავლე
და გარეთ ვავსე.

ის ღამე ასე დასჯილმა ვაბატარე გარეთ.

მთელი ღამე არ მძინებია.

რამდენჯერმე დავაპირე ადგომა, გარეთ გა-
მოსვლა და შენი უკან შემოყვანა, მაგრამ ვხედებო-
დი, რომ ასე შენ ვერაფერს ისწავლიდი, გარდა იმი-
სა, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი თავისთავად
შეიძლება ვაბატოვს.

ჩემი მოზანი კი სრულიად საპირისპირო იყო. მე
მსურდა შეგესისხლობოცებინა, რომ ჩვენს სახლში
მე, როგოდაც, ცხოვრებაში თვითნებობა და დაუ-
მორჩილებლობა დასჯილია.

შენ დაკვირვებული თვალი ვაქვს და ამიტომ,
დარწმუნებული ვარ, - არ გამოგეპარებოდა, რომ
მე არ ვგავარ ჩემს დედამამშვილებს. ისინი, ჩემგან
განსხვავებით, სიცოცხლისმოყვარე ადამიანები არი-
ან, მაგრამ შენი დაკვირვებული თვალი, წესით, იმა-
საც უნდა ამჩნევდეს, რომ მე მათზე - ცალ-ცალკე
და ერთად აღებული - ვაცილებით მეტს მივალციე
ცხოვრებაში და მათზე მეტად წარმატებული ადა-
მიანი ვარ.

მე შენ საქაოად უმადურ ადამიანად მივიჩნევ
და ამის მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, შენი თვით-
ნებობაა, რომელიც შენი პოეტური ბუნებიდან მო-
დის.

შენ ერთხელ მითხარი და მე ეს დღემდე ნათ-
ლად მახსოვს, რომ მე შენს ცხოვრებაში მოგაცილე
ფინანსური სადარდებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ
მოგაცილე ყველანაირი სადარდებელი. ხანდახან
მგონია, რომ ეს დაცინები მითხარი და ამით ჩემს,
შენი აზრით, გამოუსწორებელ სწორხაზოვნებას გა-
უსვი ხაზი.

მე ბევრჯერ შეეწუხებულვარ შენი პიროვნე-
ბის არსით, შენი თავისებურებებით.

წლების მატებასთან ერთად სულ უფრო და უფ-
რო ვაგუტებარი ხდებოდა ჩემთვის: თუ ვინ ხარ და
რა გინდა ცხოვრებაში.

გარდატეხის ასაკში შენ უკვე სრულიად მიუღე-
ბელი გახდი ჩემთვის, სრულ იმედგაცრუებად იქე-
ო, თუმცა მომავალში ძალიანხმევეა არ დავაკლო,
მაგრამ დიდი და ყველაზე სამართლიანი ანგარიშით
უკვე ამ დროს ვიცოდი, რომ შენ ჩემი საქმის გამ-

გრძელებლად, ჩემს მემკვიდრედ ვერ ივარგებდი.
მიუხედავად ამისა - გახსოვდეს - როგორც შე-
ლი ყოველთვის ბუნებრივად და თავისთავად მიყ-
ვარდი.

2. სახიძო

1882 წ.

შენ 30 წლის ხარ. ოთახში დადიხარ, დადიხარ
იმიტომ, რომ ვერ ისვენებ, ღელავ. გინდა, რომ იარო.
შენ ღელავ შენს მომავალზე და არცთუ უმიზეზოდ,
რადგან ეს ღამე შენი, როგორც მარტოხელა მამა-
კაცის, უკანასკნელი ღამეა.

ხვალდან შენ დაქორწინებული მამაკაცი იქნე-
ბი. ხვალდან შენ ახალ ცხოვრებას იწყებ. გჯერა,
რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღე. გჯერა, რომ
ხვალინდელი ქორწინება შენთვის გამოსავალია.

შენი მომავალი ცოლი, თუმცა ის შენ უკვე ცო-
ლადაც შეგეძლია მოიხსენიო, რადგან ყველაფერი
უკვე საბოლოოდ შეთანხმებულია და დაზუსტებული
და გადანყვეტილი.

მაგრამ შენ ფრთხილი ადამიანი ხარ და ამიტომ
მინც ხვალინდელ დღეს დაელოდები და მხოლოდ
ქორწინების გაფორმების შემდეგ უწოდებ შენ მას
შენს ცოლს.

ის შენზე მდიდარია და ეს ფაქტი, უფროს სწო-
რად, მოცემულობა ცეცხლს ანთებს შენს გულში
და, ამავდროულად, ამშვიდებს შენს გონებას. რო-
გორც იქნა, შენი სიღარიბე სრულდება. შენი მომა-
ვალი ცოლი არ არის მსოფლიოში უმდიდრესი სარ-
ძლო, მაგრამ შენთვის ის ნამდვილად მდიდარია,
ასევე აშკარაა, რომ სახლში ვერ დაჯდები და ფეო-
დალივით ვერ იცხოვრებ, მუშაობა მოგიწევს, მაგ-
რამ ზუსტად იცი, რომ ხვალდან ცხოვრების კიბის
უფრო მაღალ საფეხურზე დადგები.

ცხოვრებას შენ ყოველთვის როგორც კიბეს ისე
ხედავდი. ეს თავისთავად მოხდა, შენ არ ავირყვია.
ძალიან ადრეულ ასაკში მიხვდი, რომ ამ კიბის ძა-
ლიან დაბალ, ერთ-ერთ ყველაზე ქვედა საფეხურ-
ზე იმყოფებოდი და ერთადერთი ნამდვილი სურვი-
ლი, რომელიც შენ ოდესმე გქონდა, სწორედ ამ კი-
ბეზე ზევით აიორჩება იყო, არა, ეს ტყუილია, აიორჩე-
ბა არა, არამედ - აფრენა, თუმცა სურვილი ერთია
და ცხოვრება თავისი მკაცრი კანონებით - მეორე.
აფრენა არ მოხერხდა, ნაბიჯ-ნაბიჯ იარე. შენი ხვა-
ლინდელი ქორწინებაც ნაბიჯია, მაგრამ აქამდე და-
დენამულ ნაბიჯებს შორის ყველაზე მნიშვნელო-
ვანი.

ცოტა დაწყნარდი და ოთახში სიარული შეწყვი-
ტე. საკამზე ჩამოჯექი და წუთით შენს ბავშვობაში
დაბრუნდი. ბავშვობა ის ტერიტორიაა, სადაც ვე-
რაფერს შეცვლი, მისდამი დამოკიდებულების გარ-
და, მაგრამ შენ არ ეკუთვნი იმ ადამიანების რიცხვს,
ვინც დამოკიდებულებებსა და პოზიციებს მარტი-
ვად და უმტკივნეულოდ იცვლის.

ოჯახის შექმნას აუცილებლად მოჰყვება შეი-
ლები. შენ ეს იცი. გამთავაკლისი მხოლოდ ის ოჯახე-
ბია, რომლებშიც ერთ-ერთი მეუღლე უწყალოდ ან
ორივე. შენ არ გინდა, რომ შენი ოჯახი უწყალოდ
ოჯახთა რიცხვს განეკუთვნებოდეს, მაგრამ ზუს-
ტად არ იცი, პირადად რაში გჭირდება შეილები, ეს

ბატარა მუქთამაჭამელები. გელიმება და ოდნავ გუ-
ლიც კი ვითებება ახალშობილის წარმოდგენაზე და
ამით საკუთარ თავს კიდევ ერთხელ უდასტურებ,
რომ უგლოვო არ ხარ, უბრალოდ განვლდობა ცხოვ-
რებამ გასწავლა, რომ თუ გინდა, რომ დალაგებუ-
ლი ცხოვრება გქონდეს, მაშინ გული არაფერ შუა-
შია, რადგან გული ამძაფრებს აღქმას და ვაშორებს
შენს მიერ აღიარებულ ერთადერთ სინამდვილეს -
ყოველდღიურობას.

დღები და ფანჯარასთან მიდიხარ. შენ უკან დარ-
ჩა - სკამი. კიდევ რამდენიმე საათი და შენ უკან
ასევე დაჩრება შენი ძველი ცხოვრება.

ფარდას მარჯვენა ხელით ოდნავ განზე წევ და
თვალს ფანჯარის მიღმა არსებულ სამყაროში აპა-
რებ. ქუჩა, როგორც ყოველთვის, ოდნავ განათებუ-
ლია. შენ ღარიბების დასახლებაში ცხოვრობ და რა
გასაკერია, რომ აქაურობაზე თითქმის არავინ ზრუ-
ნავს: არც იმპერატორი, არც რომელიმე აღმასრუ-
ლებელი და არც კერძო პირი. თუ ოდესმე გამდიდ-
რდები, აუცილებლად ნახვალ სამოგზაუროდ და
დათავსდები მსოფლიოს, პირველ რიგში, იმპე-
რიის სივს, შნთვის უცნობ მხარეებს.

შენ 30 წლის ხარ და უკვე მთლად ახალგაზრდა
ადარ გეთქმის.

ფანჯარას ოდნავ ალბ და გარედან შემოსულ
ღამის, სუფთა ჰაერს ისუნთქავ. ფიქრობ, გახვიდე
თუ არა გარეთ, ერთი მხრივ, გინდა გარეთ გაბოდი-
სალება, მაგრამ დროისა და ადგილმდებარეობის გა-
მო თავს იკავებ. შენც, ადამიანების უმრავლესობის
მსგავსად, საკმაოდ მშობარა ხარ, თუმცა შენ შიშს
სიფრთხილად მოიხსენიებ. ადრეული ასაკიდანვე
მიხვდა: უნდა გეფრთხილა, რადგან ცხოვრება, ზო-
გადად, მკაცრია, ხოლო ღარიბებისადმი კი - ასმა-
გად მკაცრი.

ერთხელ, ბავშვობაში დაგესიზმრა, რომ იმპე-
რატორი იყავი და, როგორც მის უდიდებულესობას
შეეფერება, სასახლეში ცხოვრობდი.

თავს დაკარგულად გრძნობდი.
ფანჯარა დაკეტე და ხელის მსუბუქი მოძრაო-
ბით ფარდა სანისა პოზიციაზე დააბრუნე.

როდესაც ფიქრობ, რომ ხვალ უნდა გაშიშვლდეს,
წითლდები და გრძნობ, რომ ქვედა ტუჩი ვითრის.

წლების შემდეგ, როდესაც შენი უფროსი შვი-
ლის ცხოვრების წესით შემოფოთებული მისი საუკე-
თესო მეგობარი გესტუმრება და გეტყვის, რომ პო-
ტი მორდლები ხშირი სტუმრებია, შენ - ფარული
ქმყაფივლებით - გაიფიქრებ: *ამაში მანც დამეშ-
სებასა.*

მაგრამ ჯერ ამ დღემდე კიდევ შორია.
შენ ბორდელში უკანასკნელად გუშინ იყავი. გა-
რეთ გამოსულმა საკუთარი თავი მკაცრად გააფ-
რთხილ, რომ ეს შენი უკანასკნელი ვიზიტი იყო.

დარწმუნებული ხარ - დადებულ პირობას შეას-
რულებ, თან სრულიად უპრობლემოდ, ყოველგვა-
რი გართულებებისა და ცვლენების გარეშე, რად-
გან შენ ბორდელში ყოველთვის უფრო ქალის ბუ-
ნების შესასწავლად დადიოდი, ვიდრე თავად სერ-
ვისისთვის.

ზუსტი ბასუხი დღემდე კიდევ არ გაქვს, თუ რატომ
ელტიანი ადამიანები ასე მძლავრად და უსასრუ-
ლოდ ამ, მართლაც, წუთიერ ცოდვას.

ვარაუდობ, რომ სიმარტოვის დასაძლევად.

საქმე თუ კარგად წავა, იქნებ მალე გამდიდრდე
და მოიპოვო სი, რაც ყოველთვის ყველაზე მეტად
გინდობა - პატივისცემა საზოგადოებაში, რომ ვი-
ლაც რიგითი მოკვდავი კი არ ხარ, არამედ ხარ ჩრე-
ული პიროვნება. შენ გსურს, რომ შენს დანახვაზე
ადამიანები ერთდროულად იძაბებოდნენ და იზა-
რებოდნენ, როგორც ეს შენს მშობლებს ემართებო-
დათ ბოჰემიის მთავრის სახელის სხენებაზე.

ახლა უკვე ძილის დროა.
სანოლთან მიდიხარ და გაუხედლად წევი.

3. გამარჯვებული

1924 წ.

გამთენისას ახალშობილი ბავშვი დაესიზმრა.
ახალშობილს მისი დიდი ხნის ნინ გარდაცვლილი
ბაბუის მოხუცი, დანაოჭებული სახე ჰქონდა. ეს
იმის ნიშანი იყო, რომ აუცილებლად რაღაც ცუდი
მოხდებოდა იმ დღეს, რადგან, როგორც წესი, ამ
სიზმრის დასიზმრების შემდეგ აუცილებლად ხდე-
ბოდა რაღაც ცუდი. სულ რამდენიმეჯერ - უფრო
ზუსტად კი: ოთხჯერ ესიზმრა მას სიცოცხლის მან-
ძილზე ეს სიზმარი და ოთხივეჯერ რაღაც ცუდი ამ-
ბავი მოხდა.

ამჯერადაც.
სალამოს მას აცნობეს, რომ მისი შვილი გარდა-
იცვალა.

ეს არ ყოფილა მოულოდნელი ამბავი, რადგან
პოტი (როგორც ის მოიხსენიებდა შვილს საკუთარ
ფიქრებში) მძიმე, უკურნებელი სენით იყო დაავა-
დებული.

ცნობა ისე მიიღო, როგორც მისი ყაიდის, ბუნე-
ბისა და პრინციპების მქონე ადამიანს შეეფერებო-
და.

ამ შემთხვევაშიც მისთვის ირგვლივ მყოფთა აზ-
რი მის წამდვილ განცდებზე უფრო მნიშვნელოვანი
იყო.

სიმართლე რომ ითქვას, ჯერჯერობით მხოლოდ
უცნობი ადამიანების სიახლოვისგან გამოწვეულ
უზერხულობას გრძნობდა და ცდილობდა მათთვის
ეჩვენებინა ყველაფერი ის, რასაც მისგან ქცევის
კოდექსი ითხოვდა: დანაკარგით გამოწვეული ტკი-
ვილი, დაბნეულობა, ასევე მტკიცე, მამაკაცური ხა-
სიათი, რაც, მისი აზრით, შვილის გარდაცვალებით
გამოწვეული ტკივილისა და დაბნეულობის სწრაფ
განეიტრალებასა და საქმიანად მოქცევაში უნდა
გამოხატულიყო.

ფიქრის საგანი თანდათან ბუნებრივად შეიცვა-
ლა და რამდენიმე წუთის შემდეგ ის უკვე ფიქრობ-
და, შეეხებოდა თუ არა გარდაცვლილ შვილს. შეიგ-
რძნობდა თუ არა მის გაქცევებას.

ზოგადად, ის მიცვლებულბებთან სიახლოვეს
ერიდებოდა. მას ის შორეული დღე გაახსენდა, რა-
დგან ბაბუა გარდაცვლილა. მაშინ ჯერ კიდევ კო-
ტარა იყო და ბაბუა პირველი ადამიანი გამოდგა,
რომელიც მან გარდაცვლილი ნახა.

გამომდინარე იქიდან, რომ ღარიბები იყვნენ და
სიღარიბის გამო მოცუტეულ სახლში ცხოვრობ-
დნენ, ყველაფერი მისი თანდასწრებით მოხდა: გარ-
დაცვლილი ბაბუის გამოშვება, მისი ფერდაკარ-

გული სხეულის სველი ტილოებით გასუფთავება და ამის შემდეგ მისი შედარებით შეუღლახავი ტანსაცმლით შემოსვა.

ეს ყოველივე მამამ გააკეთა (ღარიბები იყვნენ და იმიტომ!).

“მოდი, დაემშვიდობე ბაბუსას...” - უთხრა მამამ მას.

მამის ნათქვამი მან ბრძანებდა მიიღო და რადგან ჯერ კიდევ პატარა იყო, გარდაცვლილ ბაბუსას მიიხსაგან აკანკალებული ხელით შეეხო.

ბაბუა გაქვავებული იყო.

მას შემდეგ ბევრი მკვდარი ნახა, განსაკუთრებით დიდი ომის დროს.

ამბის მომტანებმა მას სიმხნევე უსურვეს, დაემშვიდობნენ და წავიდნენ.

ის საკუთარი შრომისა და ფინანსური სიმტკიცის ქვამარიტ ფასს ცხოვრების სწორედ ასეთ გადამწყვეტ და საბედისწერო მომენტებში გრძნობდა. მამამისივით ღარიბი რომ ყოფილიყო, მაშინ თავად მას მოუწევდა გარდაცვლილი შვილის გაქვავებულ სხეულზე ზრუნვა. ამიტომ ბედნიერია, რომ მეტ-ნაკლებად შეძლებული ადამიანია. ეს მეტ-ნაკლებად მას ჩუმად კი უფუჭებს ხასიათს და ხანდახან ცხოვრებასაც კი უნაძლავს, მაგრამ სრულიად უპატრონო კაცისათვის კიდევ ბევრს მიაღწია.

პოეტის გარდაცვალება უკვე ოჯახის ყველა წევრმა იცოდა. მას ამ წუთას არავისთან არ სურდა არათუ დალაპარაკება, არამედ მზეერთი გადაყრაც კი და ამიტომ ვარკეთი გავიდა.

რამდენიმე დღით საქმის შეჩერება მოუწევდა. ეს, რა თქმა უნდა, არ სიამოვნებდა და რომ არა საზოგადოებრივი შეხედულებები, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ოჯახი (განსაკუთრებით კი პოეტის დედა), ფინანსურ დანაკარგზე არ წავიდიოდა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო.

ხანდახან ფიქრობდა, რომ ერთ დღეს მთელ ქონებას გაიტაცებდა და სადმე შორს გაიქცეოდა და დაიწყებდა ახალ ცხოვრებას, მაგრამ ეს სურვილი რამდენადაც მიმზიდველი იყო, იმდენადვე სამშიშო და ამიტომ განუხორციელებელი.

ქუჩაში ნელა მიდიოდა და გრძნობდა, რომ გამარჯვებული იყო, თუმცა ამის შესახებ ვერავის ვერაფერს უტყვია. გულის სიღრმეში უხაროდა, რომ ცხოვრებისადმი მისი ფიზიკური და გონიერი დამოკიდებულება პოეტის ოცნებების სამყაროზე მყარი აღმოჩნდა.

ის ცოცხალია, პოეტი კი აღარ.

უცნაურ ეჭვით ახედა ცას, თითქოს ცა რამენაირად მართლაც მონანილებდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ეპილოგი

1933წ.

გერმანიის ახლად არჩეული კანცლერი საკუთარ კაბინეტში იმყოფებოდა სრულიად მარტო. ამაღლებულ განწყობაზე იყო. დროდადრო საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვანი თუ არც ისე მნიშვნელოვანი (მისთვის სრულიად უმნიშვნელო არაფერი იყო) ფრაგმენტები უდგებოდა თვალწინ. ეს ხდებოდა თავისთავად, საკუთარ თავზე დაუძახებ-

ლად. ზოგადად, ასეთ თავისუფლებას ახლად არჩეული კანცლერი იშვიათად გრძნობდა. ძირითადად, მისი ცხოვრება, სწორედაც რომ, საკუთარ თავზე და სხვებზე დაუნდობელი ძალადობა იყო.

სავარძელში იჯდა. თვალწინ 1908 წლის ის დღე ედგა, როდესაც სამხატვრო აკადემიამ ის მეორეჯერ დაინუნდა და ამის გამო სრულიად სასონარკვერთილი ვენის ქუჩებში დაბოდილობდა. ერთადერთი, რაც იცოდა, ის იყო, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად შურს იძიებდა აკადემიას, წარმოადგენდა არ ჰქონდა, როგორ, რა გზით და რა ხერხებით, მაგრამ იცოდა, რომ ეს ასე მოხდებოდა.

ერთ-ერთ არტისტულ კაფეში გაჩერდა. ზოგადად, ვერ გრძნობდა ამ ყაიდის ადამიანების წრეში თავს მიეცდამაინც კარგად, მაგრამ სხვა არჩევანი არ იყო, მასებს ხელოვნება ნაკლებად აინტერესებდათ. მისი აზრით, რომელიც მისსავე გამოცდილებასა და დაკვირვებაზე იყო დაფუძნებული, ადამიანების უმრავლესობისათვის ხელოვნება სრულიად გაუგებარი რამ იყო. დარწმუნებულები იყვნენ, რომ თუ ადამიანებს განათლების მიღების საშუალება მიეცემოდათ, მდგომარეობა შეიცვლებოდა, მაგრამ მას ამის არ სჯეროდა. ამ საკითხის დამუშავებისას ყოველთვის თვალწინ საკუთარი მშობლები და მათი წრე უდგებოდა. ყოველდღიურ ყოფაში მთლიანად ჩაძირული ხალხი.

კაფეში სიხალვათე იყო. ერთ-ერთ მაგიდაზე ახალი და ძველი ჟურნალ-გაზეთები ეწყო. მაგიდას მიუახლოვდა და ერთ-ერთი ჟურნალი აიღო. ამ ჟურნალის არსებობა აქამდე არც იცოდა. ჟურნალის სახელწოდებამ - “პიპერონი” - მას გერმანელი პოეტი ჰიოლდერლინი გაახსენა.

“დროა, ეს ყრუ ქალაქი დაეტოვო და ბერლინში წავიდე. ხმაური მჭირდება” - გაიფიქრა და ჟურნალით ხელში მაგიდას მიუჯდა.

ჟურნალს უფრო ათვისებდა, ვიდრე კითხულობდა. თუ რამეს კითხულობდა, ისიც მხოლოდ ცალკე თავივით.

ერთი სიტყვით, ჟურნალს ათვისებდა...

ამასობაში ოფიციალტი წამოადგა თავზე.

ფული ცოტა ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ ლუდი შეუკეთა.

ოფიციალტი წავიდა.

ის აშკარად უკმაყოფილო იყო შეკეთების მოცულობით.

ამასობაში ის ჟურნალში დაბეჭდილ მომცრო მოთხრობების ციკლს გადააწყდა.

სულ რვა მოთხრობა იყო.

რვავე წაკითხა.

მოთხრობის პერსონაჟები მასავით ცხოვრებაში დაკარგული და სასონარკვეილი ადამიანები იყვნენ.

ლუდს არ მიკარებია, ისე დატოვა კაფე.

გზაზე ავტორის უცნაურ გვარს იმეორებდა - კაჟა.

გერმანიის ახლად არჩეული კანცლერი წამოდგა და თვალი თავის უხარმაზარ კაბინეტს მოავლო.

ხვალ თავის მთავარ პროპაგანდისტსა და კულტურულ მინისტრს შეეკითხება, სმენია რამე ამ ავტორის შესახებ თუ არა?!

რებო გეთიაშვილი

ამოუღებელი შთაბეჭდილება, თანდაყოლილი შიშის გრძელად შეგრძობის
თანდაყოლილი შიშის განხილვის ხელოვნება



ზომბები, 2023

თვითმკვლელობა ჩვენში დიდი საქმის დაწყება

რაც შეეხება სისხლს და ცხედრებს, შორი-ახლოში,
რაც შეეხება ხანს უნდობარს, რაც შეეხება
გაფატრულ-ამოღებინებულ-მოჭრილ-დახვრეტილ
და გადამტვრეულ - მუცლებს, ფილტვებს, თავებს, ხერხემალს,

რაც კი ვაგროვებ, პლიუს-მინუს ასი წელია,
ოღონდ იმისთვის არა, ჩვენი წილი სიმართლე
ჩვენც რომ გვექონოდა, რომც გვექონოდა, რას გვიშველიდა,
რას გვეყოფოდა, ამიტომაც ცალკე ვიმატებთ

სახლიდან - სანგარ-საკან-საფლავ-სადგომ- სასახლედ
არდანესებულეებამდე, არსაით, არსად
გაქცევის, დევნის მართონზე დაღვრილ- დასაღვრელ
ცრემლებსაც, წყლებსაც, რა თქმა უნდა, ოფლსაც და შარდსაც

და უკვე ზღვა გვაქვს, ჰოდა ასე, ჩვენც ზღვა გვინდოდა,
გვინდოდა ძვლებიც, ჩვენი ძვლები მთებად ვაქციეთ
და ზედ შევდექით, უფსკრული გვაქვს, ანდა, ვითომ და
ვისზე ნაკლები, სტიქიების ტრეპანაცია -

ჩვენი ნახტომი, ყველა სული, სანამ მორჩება
ვარდნა და ყვინთვა, ამოხდელი, ერთად უბერავს
და მზეც, თავისი ლედ-ბიძებით და ლედ-ვოშებით
უკვე აინთო, დროა, ზღვაა, სისხლი, გუბა -



ვიციტ ეს საქმე, არ მოვკვდებით, თუ თვითმკვლელობა
ნიშნავს გაქრობას, აი, აქ ვართ, აი, არ ექრებით,
უფრო მყარად ვართ, საკუთარი ძვლების კლდე რომ გვაქვს,
რომლებსაც წლები გარეცხავენ, მაგრამ ტალღები

და მთელი გეო-პოლიტიკის გრძელი ქრონიკა
ზედ ჩვენს გაბერილ, გამორიყულ გვაძიან დაცხრება
და ნამოვდგებით ჩვენი ძვლების შესაგროვებლად,
ნამდვილი ზღვაც გვაქვს, ისიც შავი, ანდა ნახევრად

ნამდვილი, რადგან ნახევარი, ცალი ხელივით
ჩამოგვახიეს (მარათონი არსად - სახლიდან)
და დიდი მთების კედელიც გვაქვს, ერთხელ ჩვენივე
სახლიკაცმა რომ მიგვაყენა და მიგვახვრიტა

ყველა მეორე, ძირითადად - უფრო კაცები,
ქალებს - ციბირის გულაგები, მაგრამ ზომბები
არა კვდებიან, შუაზე რომ გაესკდეთ, არ ვკვდებით,
პირიქით, მგონი, უამისოდ უფრო მოვკვდებით

და რაკი ღმერთშიც ვაალათს ვხედავთ, სქელი ჯაჭვებით
თავისუფლება სუნთქვასავით რაკი შეკავდა,
აქ ვართ, დაგვაბა, დაგვაღულა, კლასი გვაჩვენა,
სანამ დასავლურ პანთეონებს გამოჩეკავდა

და ანტიკური პრინციპის გზაც გვექონდა ისეთი,
რომ დღემდე ისევ ჩვენი ნებით ვტოვებთ სამოთხეს -
წინ, შინ, ფსკერისკენ! ხრჩობის დიდი კრუნჩხვებისათვის,
როცა ვიხრჩობით, სუნთქვა უფრო უკეთ გამოგვდის.

დიდი ჩრდილებიც, დიდი ფრთებით, ჩვენ რომ გვეკორტნიან,
საკუთარია, ჩაზრდილები, ხორცში, ეს თუა
მათთან ორმხრივი სიყვარულის ლეიტმოტივი
და ტკბობა, ტკბობა (კიდევ უფრო ეგოისტური)

მოზღვავებული ენერგიით, როცა გვედება
სიკვდილისწინა მინისფერი, ვხდებით უკვდავი,
გადარჩენა ჩვენი დიდი შემოქმედება,
ყოველი დილა აღდგომაა, ნისლი - სუდარა,


ოდნავ გადაწვე და ბავშვების სისხლით მოთხვრილი
თვითმფრინავები ყველა მინდორს, მთებს და ტერასებს
ეფინებინან, წინ სისხლია, წინ სამოთხეა -
ახალი ხანა, უნდობარი, საინტერესო

და ჩვენ გავუძლებთ, სეტყვა ირბენს და ზღვა იღვლეებს
და ამას დავენოთ, ვიცეკვებთ და დავეცივთ, უთუოდ
პოლიფონიით შევაზავებთ გედის სიმღერებს,
ჩვენ არ მოვკვდებით, არ გაქრება ჩვენი კულტურა.

დიდი გული გვაქვს, ზღვას ერევა, უკვე ზღვაშია,
დანერილია საუკუნე, უკვე შეგვრისხა
შთამომავლობამ, ვინც ერთხელაც გადავარჩინეთ,
მგონი, ერთხელ და სამუდამოდ გადარჩენისგან.



რადი ამაღლობელი



მუზების წიგნი

ურანია

მიჩვენე მუზავ,
 გზის ანმყოობად-
 სიმწყობრის უზა-
 -დობა.

ფიქრს ასწრაფებდე
 და მიმერცხლავდე,
 ღამით გამენდე -
 გამომეცხადე.

შენია, რაც რამ
 მომეპოვება,
 რაც კი რამ დამცდა
 პოეტს პოემად.

რაც გახსოვს სრულად,
 რაც გულს გიღელვებს -
 სულ სურათ-სურათ,
 მუზავ, მიმღერე.

მიმღერე, მუზავ,
 დავრჩი სულ ობლად.
 სიტყვიდან უსა-
 -სრულობა
 გადამიხსენი,
 მიხსენი.

პოლიპიმნია

ცა ჩემი ფიქრის მწვერვალია,
 ქიმის ქიმია,
 ჩემში ყოველთვის მღელვარეა
 მისი ქიმია.

ცის გახლენილი გარს მეკვირან
 ელემენტები,
 ღრუბლებში ვქრები ვარსკვლავით,
 მერე ვენთები.

მსურს გადავადნო ცა-მონმენდილ
 ღამის ტატნობი,
 სიტყვად გამოვწრო, გამოვბრძნო
 ეს შენადნობი.

ცის ამრეკლავი, მზე-ნაზავი,
 ღვთის ამსახველი
 ბნელეთს დაეცეს ელვასავით,
 სიტყვა-მახვილი.

ევტერაე

იყავი მუზავ, მუდამ გემუზოს,
 მუზების ქროლა-კაბა გემოსოს.
 წასვლა - ენაზე კბენის გემოს გავს,
 მოსვლა - კუნძულზე გემის შემოსვლას.

იდუმალ მაცნედ, ფარულ მოამბედ
 მოხვალ ბეთეზდით და სილოამით,
 გრილ საბანელში აზრს ამოავლებ,
 ცხადქმნილს დაფარავ, ღრმას გამოავლენ.

განიფინები ბალის ბილიკად,
სადაც ფინიკი მოკრეფილი გაქ,
პანეგირიკებს გიკრავს ლირიკა,
მუხლზე დაისვამ, გულზე მიიკრავ.

ფსიქე, ალაპე, სტორგე, ფილია -
ყველა შენს ირგვლივ მოკრებილია,
მათ შინაგანში ფიქრის ფილიგრან
თვალ-მარგალიტით არეკლილი ხარ.

მოსდევ ხეივნებს გზად ემაუსის
ალაგ დაფნებით და იფნულით,
სამხრად, საუზმედ მოდი - აუხვე
ტაძრებს აუზი და ნიმფეუმი.

წარმოსახევებში ხშირად მინახავს -
ედები ტერფით ტაძრის ფილაქანს,
ქვა ემგვანება ტვიფრულ მინაქარს
შენს კვალს ქარაგმის ქარგად ინახავს.

ბაგედ გეპოზა, ნაპოვნ ბილინგვად -
თაღის მუაზე გაპობილი ქვა.
თითქოს სამყაროს ხმა ყოფილიყავ,
მიხმობ, მოგყვები, კმაყოფილიხარ.

გამანდობ საზრისს სანყის მიზეზთა -
ტაძრის კიბესთან.

ერატო

სხვა სახლი

ადრე გეძებდი სამყაროში, ცოცხლებში, გარეთ,
სადაც ქალაქებს ინდუსტრიის ორთქლი აუდიოთ,
გეძებდი სხვებში უგზოუკვლოდ და უანგაროდ,
ანუ ერთგვარი წინათგრძნობით და ვარაუდით.

ამ გაუკვალავ უკუნეთში ხელის ცეცებით,
თითის ბალიშის შეგრძნებებით და სიფაქიზით,
შოკისგან მოგვრილ გაღიმების დამღით ბაგეზე
ყველა შემხვედრის მზერაში და თვალში გეძებდი.

მერე კანკალმა ამიტანა - ლურჯმა ციებამ,
თითქოს სამყარო უშენობით დაცარიელდა,
და მეც ჩემს შიგნით შეხიზნულმა და შეყუჟულმა
შეგწყვიტე გარეთ შენი კვლევა, შენი ძიება.

და აგერ უკვე მეთხოვთმეტე წელიწადია
ჩემს ბნელ სიზმრებში ვეზიდები, შემაქვს ცხადიდან
ყოველი განცდა, რითაც სიზმრის შიდა ნიაღში
მე სახლს ვაშენებ და ამ სახლის სრულქმნა მნადია.



სახლის წინ ვრცელი მინდორია, სახლსუკან ფონი
ტყეს უკავია და მეც შენმა მაძიებელმა
მინდვრისკენ გაავდი მაღალი და ნათელი ჰოლი
და სარკმლით ტყისკენ გავახედე საძინებელი.

შენც, თუ მოსვლაა, აქ მოდიხარ, რათა მოემეგ
და ერთმანეთის ცრემლებს ვკოცნით ქუთუთოებში.

მელპომენე

გასვლა

საკუთარ სიღრმეში მიდის და ლურჯდება
სალამო - ღმერთების ჭიქური ჭურჭელი.



ლექსებს რომ ეძახი დღემდე განურჩევლად -
ვარსკვლავთა ფარული ხმა და ჩურჩული.

გისმოუნ გუნდებად ექოთა კანონით
მნათობთა ქორონი უკიდევანონი.

შენ რომ ვარსკვლავები გგონია ულევნი,
უძირო ღრმულებით და ცის უფსკრულებით

ღმერთების ნავალი კვალთა აქამდე,
დღემდე რომ ვარსკვლავურ ნათებად გაკავდენ.

ამ კვალთა კვალდაკვალ კვლევაში ისმენდე
სიტყვას - უკუნიითი და უკუნისამდე.

რეფრენად ამბობდე: ამ ხმათა აღმავალ
სისწირეს სამყაროს სხვა მხარეს გაკვავარ.

II

წერა

გაეშვი მოთქმას. წერე წყალზე, წერე ჰაერში,
ერთი მოქნევით, ყოველგვარი შიშის გარეშე.

ბასრი სინათლის წვერით წერე. დარდით, კაემნით
გულ-დამძიმებულ დედამინის გარსში დაეშვი.

წერე გამჭოლად, თითქოს მზებში ქარი ლოცულობს -
სიმაღლეების სიმსუბუქით გარემოცული.

თვალ-მოჭედლი ღამის ციდან ხვავი მოკრიფე
და ბნელში წერე ვარსკვლავების იეროგლიფი.

წერე მინაში, წერე ქვაში, წერე ქვიშაში,
მწუხრის ბინდებზე გადაწერე ყველა რიჟარაჟი.

დროს ფართოდ გასწვდი, იხელთებდე სივრცეს დაე, შენ -
წერე, თითქოსდა აისიდან ცურავ დაისში.

III

ტყე

ტყესავით უნდა ხშირი იყო
ამბობ და ტყის შიგნით მეგლინები -
გააღე კარი, რომ შინ მიიღო
გაშლილი მინდვრებიდან დევნილები.

ტოტებით ფოთოლ-ფოთოლ დაიფარე
მსუნთქავი სულდგმული ყოველგვარი,
ფრინველთა გუნდებმა დაივანონ
შენში და ტყის სიუხვით მოეპყარი.


ათას-ხმა ტყის სიმღერით აშრიალდი,
განმინდე ჰაერი და დაუბერე,
იცანი - ღრმა ტყეების ხმაში არი
სამყაროს დაფარული საუბარი.

ბოლო ფოთოლი რომ დაგცვივდება,
ყოველმხრივ იგრძნობ, რომ თვალს გაგვებენ,
ტანზე მოგეხვევა ცა მძივებად,
მოგრთავენ სამობაოდ ვარსკვლავები.

ტერფსიქორე

ლექსები უნდა იჭმოდეს, უნდა სიუხვით
გაჯერდეს რკინით, კალციუმით, სილიციუმით.

აკვავდეს ღია ჭრილობებში ლორთქო ფოთლებად,



ხან ტყვიად შეძლოს გამკვირვება, ხან აორთქლება.

საპირისპირო რომ შეეძლოს გარდასახვანი -
სიტყვის უთქმელი უნდა გახსნას სხვა დრო, სხვა
მხარე.

ხან განასხვოს, ხან პირიქით გააიგივოს,
სააქაოდან მისწვდეს სულეთს და საიქიოს.

სულის მალლობში თავი გაყოს, ხოლო ტერფებით
შეიგრძნოს ტორფი, დედამინის მთელი მტვერ-
ფერფლი.

კალიოპე

გააღე თავის ქალის გაღიები,
განიავედი.
სივრცის გაშლები და განივები
შოგნით გაივლე.

მინდორს (ჭრიჭინით და კალიებით
მთროლოარეს) შეყვედი და გაივლება.
იარე, თვალები დაგივლმონ
ნელამდე ყვავილებმა.

იციან მაღალმა ყვავილებმა
სხეულზე მოდებდა ქავილებდა,
იარე, ბოლომდე გაიოფლე,
პერანგი მთლიანად რომ გაივლება

და სუნთქვა თუ არ გაგინელდა,
გზა თუ არ გაიოლდა,
იარე,
წამიერი თვალის მოკერით
შენამდე ქალი მოვა.
იფიქრებ - წყალი მოაქ.

სიშორის მანძილს დაგიმოკლებს,
შუადლის წყურვილს დაგიოკებს,
აქამდე არ განცდილ შეგებას მოგვერის
და სიტყვად დაიღვრება
კალიოპე.

ისტორია (კლიო)

ვეებერთელა შენი ტანი ყველა ბალღინჯოს
სურს ნაწილებად გაგლიჯოს და დაამახინჯოს,


დაასახინჩროს იერ-სახე შენი ნატიფი,
გაანყოს შენი სხეულისგან სერი, ნადიმი.

შენ მანაც მუდამ ფართოვდები, მხრებში იშლები,
ყოველ წამს ახალ კითხვებს აღძრავ და მინიშნებით

ვისთვის ჯავშანში ქალღმერთივით, ვისთვის
არა საშოდან, შუბლის წიაღს აპობ, იშვები.

ათასი სახე, ამდენივე ხმა გაქვს მკვნესავი,
ვინც კი შეგხედავს - აირეკლავ, ხარ სარკესავით.

შენ წყვეტ ჰო-ყოფით, მხოლოდ შენი დასტურ-
მონშობით
შენში კვდებიან ცოცხლები და მკვდრები
ცოცხლობენ.



შენი სხეული განწყობილი მწყობრი ლექსია,
იქიდან ისმის სინდის ხმა და რეფლექსია.

თალია

ალბათ არ არის ყველგან საჭირო
სიტყვა ბოლომდე გამოაჩინო.

მსუბუქად, ოდნავ და უნებურად
განწყობის ფერით უნდა შებურო.


მკრთალი მონასმით - ნეემად, ქარაგმად
ალაგ-ალაგ რომ ალაპარაკო.

დღეების ფურცლის ფერად ლოყაზე
ქრობადი ფანქრის წვერით მოხაზე,

რათა მალევე გაიმქვრეს, გაქრეს -
მოხაზე წვერით ქრობადი ფანქრის.

ქვიშაზე პწკარებს - თითის მონასმებს,
ზღვა მოვარდება, წყლით ამოავსებს.

ერთ ტალღასა და მეორეს შორის
სულ ცოტა დროა - მიდი, მოასწრებ.



ნატო ინგოროვა



ბზარი. მსხვერვა.

ეს ბზარის თვისებაა -
გაგრძობინებს, რომ მსხვერვის დროა.
მეტყ: მსხვერვა აუცილებელია ახალი ხმების გასაგონად.

ხშირად ვფიქრობ -
როგორ აღვზნოდი საგნებს და მოვლენებს დამაჯერებლად,
სანამ ზუსტ სიტყვებს ვიპოვიდი.

მრავალფეროვანი სიტყვების გარემოშიც, როცა იცი, რაც უნდა თქვა,
როცა გეჩვენება, რომ შეუვალი ხარ,
ტონიც განსაზღვრულია და სხეულის ენაც - მორგებული,
სწორედ მაშინ აღმოჩნდები ყველაზე თვინიერი.

უპირატესობა მთოთკილი ტკვილებისკენა და გაგრძობინებს,
რომ სიყვარული არ არის საკმარისი, გესმოდეს ჩიტების ენა,
როცა ისინი ცაში დღურინავენ ან ჩვენს ლობეზე ჩამოსხდებიან.

ფოთოლცვენის ამბავი

ხეებზე ვფიქრობ,
ტბის გასწვრივ რომ დარგეს,
საკუთარ ანარეკლს რომ ჩასცქერიან და
თავიანთ ტკნობას აკვირდებიან.

ხეებზე ვფიქრობ -
ტბას გარშემო რომ შემოურგეს,
წყალმა ფესვებს წყალი რომ შეუყენა და
გულზე გადაინვინა.

იმ კაცზე ვფიქრობ,



ხე რომ დარგო,
სახლი ააშენა, შვილი გააჩინა და
ახლა მის მივიწყებულ საფლავს
ჩამოცვენილი ფოთლები ავსებს.

შავ-თეთრ ფოტოებზე ვფიქრობ,
რომლებიც შეიძლება გადაფერო,

მაგრამ

მზე მაინც მცხრალი დარჩება.

ძილისა და ძილისნინა ამბებისა

არის ძილისნინა ამბები,
გულში რომ უნდა ჩაიდო.

გული საიმედო საცავია,
თუ გაჩერდა, ამბავიც მასთან რჩება.

არის ძილისნინა ამბები,
გულში რომ არ უნდა ჩაიდო -

ძილი კარგი საშლელია.
რაც უფრო ღრმია, უკეთესად შლის.

არის ძილისნინა ყოფნა:
ცა შენი საძინებლის ფანჯარას კი არ დაჰყურებს -
შენი ქუთუთოების ქვეშ მოექცევა
და ძილი ცდილობს, თავი წაგართვას.

არ ნებდები, მხარს ხშირად იცვლი,
ბალიშსაც რამდენჯერმე შეუცვლი ადგილს,
სანამ სინამდვილის ყველა კონტური არ გაიდლაბნება
როცა შენც აღარ გახსოვს, ეს როდის ან როგორ მოხდა,

როცა შენც აღარ გინდა ფხიზლობდე.

ჯვარი თუ ნული

რაც უფრო გრძელია გზა,
მით უფრო უძველდება მოგონებებს თარიღები.
მით უფრო მრავლდება ან ადამიანები, რომლებმაც ჩაიარეს.


მეხსიერებაც თავისებური ფოტოშოპია:
თუ ვინმე ან რამე ზემდეტია, ნაშლი.
ფერებსაც შეუცვლი - ფერადიდან შავ-თეთრისკენ და პირიქით.

გახსოვს "ჯვარი და ნული"? - ვკითხე.
ვის არ უთამაშია, - მიპასუხა.
არასდროს შემევისია სწორად.

თუმცა გხედავდი, რომელი უჯრა
ინახავდა გამარჯვების სიხარულს -
თვალს ვარიდებდი, ვუთმობდი.

ახლა ჩემი ჯვარია, ვთქვი და
მესამე ჯვარი მაინც არ დავსვი.
ნულების რიგს დაველოდე -

სიცარიელე უნდა გადამეხაზა.



დაუკითხავი ამბებიდან

განა ყოველთვის ჩვენ ვირჩევთ ამბავს, რომელზეც ვწერთ. ზოგჯერ ჩვენი ნამძინარევი სხეულივით ზანტი მოგონებებიდან მტვერს ჩამოიფერთხავენ გაურანდავი სიტყვები, ისეთებიც, მსაზღვრელებს რომ არ მოითხოვენ.

ახლა, როცა მოგონებების დრო თითქოს აღარცაა, როცა წარსულისთვის თითქმის აღარავის სცალია, როცა უამი მხოლოდ ანმყოს და მომავალს ეკუთვნის, - მეც არ ვიცი, რატომ გამოძვრა მაინცდამაინც ეს შავ-თეთრი ამბავი ჩემი მოგონებების გრძელი ჯაჭვიდან და კოკო შანელი გამახსენა,

რომელმაც თქვა, რომ ყველა ქალს უნდა ეკიდოს კარადაში პატარა შავი კაბა, რომელსაც სხვადასხვა აქსესუარით ახალ-ახალ ისტორიას შეუქმნის.

მე არასოდეს მქონია იმდენი ფული, რომ "შანელის" კაბა მეყიდა, მაგრამ მაქვს მისი სუნამო "შანსი" და ეს სურნელი ძალას მაძლევს, ვიფიქრო სხვა თავგადასავლებზეც, რომლებიც ჩემს გლუვ ცხოვრებას დაანახნაგებს, რომ მოგონებების კიდობნიდან კვლავ ამოვადვირონ დაუკითხავი ამბავი, რომელშიც გავოცება და მოულოდნელობა ერთდროულად ისმის.

გარგულია!

ვინც მოითმენს, ის მოიგებს, - ამბობდნენ ჩემი გვარის ქალები და გვიტარებდნენ მოთმინების კაკვეთილებს.

გვიკითხავდნენ ზღაპრებს, რომლებიც ინყებოდა თითქმის უტყუარი ჭეშმარიტებით: იყო და არა იყო რა. რომლებშიც ღვინო მუდამ ჩვენს მხარეს იყო და ჭირი - იქ, სადღაც.

დაიღალა გულიც და ყურიც ამ შეძახილით.

არჩევანი რომ მქონოდა, ვიქნებოდი გარგულია, საკუთარი მხურვალე სუნთქვით გადარჩენილი. შემომსვამდნენ რომელიმე მენობის თავზე, დაველოდებოდი ნვიმიან დღეებს, რომ პირი გამეხსნა და მზიან ამინდებში ნაგროვები ტკივილები გადმომეღვარა.

ვიქნებოდი გარგულია და ერთადერთი საქმე მექნებოდა - სიზმრისა და ცხადის წყლისთვის გატანება იმ სახლის საძირკვლის გადასარჩენად, რომელშიც ვცხოვრობ.



ართვინი. შიშების მოთვინიერება

გზა იყო გრძელი, მიხვეულ-მოხვეული, გვირაბებიანი.

ჩამოვედით.

სასტუმროს წინ პირქუში კლდე შეუვალი მცველივით იდგა თითქოს ელოდა, რომ კარის გაღების ნებართვა გვეთხოვა.

1 გარგულია - ქვისგან გამოკვეთილი გროტესკული ფიგურა სანვმიარი მილის თავზე

ჩამოვედით.

ლამეც წამოგვეწია და
მრუმე ხეობის კონტურები გადაფარა.
ჩვენი ძილი ქვეშ მოიყოლა და გატეხა.

აქ ადრეც ვყოფილვარ.

ამ კლდის იქით კიდევ უფრო მკაცრი ხეობებია,
ვთქვი, უფრო - თავის სანუგეშოდ, რადგან
ჩაკეტილი ხეობა ჩემს გადაძალულ შიშებს
აფხიზლებს.

სიმაღლისაც მეშინია, დავძინე მკაცრად.
თუმცა ვახშობა მაინც გავბედე
ქალაქის ყველაზე მაღალი კლდის თავზე.

არ მიყვარს წყალში შესვლა, ნაპირზე დავრჩები,
მინდოდა მეთქვა. მაინც დაეთანხმდი
მდინარეზე კატარღით გასეირნებას.

ამ კლდის იქეთ იუსუფელია -
უდიდესი ელექტროსადგური.
მზარავს შეგუბებული წყალი, ვთქვი - ვანიშნე,
რომ კლდიდან არ გადავიხედავდი.
ნუ გეშინია, მითხრა მან.

კლდეზე ბრონეულების ტყეა, ახლა მნიფობენ.
მშვიდად, წყალი ჯებირებს ვერ გადმოლახავს, -
მანიშნა.

მერე კამერაც მოვიმარჯვეთ
და შევიჩახეთ კადრები, რომლებიც მხოლოდ ჩვენ
გველოდნენ,
რომლებიც დაგვიპირდნენ,
რომ სხვის თვალებში არასოდეს განმეორდებიან.


გზამკვლევი ნეაპოლში წამსვლელთათვის

Vedi Napoli e poi muori!
იოჰან ვოლფგანგ გოეთე,
"მოგ ზაურობა იტალიაში"

"ნახე ნეაპოლი და მოკვდი!" -
ამბობენ ორ საუკუნეზე მეტია.
ვნახე ნეაპოლი და ვიცი,
რატომ უნდა მიყვარდეს სიცოცხლე.

ის არ ჰგავს ქალაქებს, რომლებსაც
მხოლოდ ღირსშესანიშნაობებით ვიმახსოვრებ,
და არ მათქმევინა, რომ
აქ სიამოვნებით ვიცხოვრებდი.

ნეაპოლი ერთი ყლუპის ყავის ქალაქია,
თუმცა ყელს ისე კანრავს,
რომ რამდენიმე ყლუპად ინანილებ.



სიმბოლოების ქალაქია,
წითელი წინაკის ქალაქია,
რომელსაც ან შეიყვარებ, ან გაერიდები.

გარეთ გამოფენილი სარეცხის ქალაქია,
ღია ფანჯრების ქალაქია და
ვინრო ქუჩებში ხეტიალისას
უცნობი ადამიანების სამზარეულოშიც
შეგახედებს,
მათი საშინაო ცხოვრება რომ დაათვალიერო.

ის გაძლევს ნებას, არაფერი აკეთო,
უბრალოდ შეირგო ყოფნა,
რომელსაც ზოგჯერ გადაძახილები დაგირღვევს.

აქ თითქმის ყველა სახლს აცვია
მაისური ლურჯ-თეთრი ზოლებით.

აქ შეგიძლია იყო ფილუმენა და
გყავდეს შენი დომენიკო.

აქ შეიძლება დაიჯერო, რომ ესა-ესაა
გაურიგდი ჯეკის, მერის, ვინჩენცოს
ოპერაცია "სან ჯენაროსთვის".

ნეაპოლმა არ იცის სიყვარულის და აღტაცების
გამოზოგვა.
ის ადამიანების ქალაქია,
წინდახედულთა და უკანმოუხედავთა ქალაქი.

უხერხულობისთვის

ცოტა რამ მეყოფოდა.

ეთქვათ,

ცხადის სიზმარით ნაშლა რომ შემეძლოს,
მეხსიერება სინამდვილესთან მარტო არ მტოვებდეს,
ჩემი სხეული ნაკლებად იმჩნევდეს შინაგან შფოთვებს

ან

ნიგნის ფურცლებზე ამბების კითხვას ჰგავდეს ყოველდღიურობა,
ყოველი გადაფურცვისას ქალაღს ხელს ჩამოვაცაოლებდი,
სადაც მოვისურვებდი, იქ გავწყვეტდი კითხვას
და მიბრუნების ნიშნად სანიშნეს ჩავტოვებდი.

ალბათ

ჩემს ხმასაც დაეტყობოდა სიმტკიცე, აღარ შეირევდა დალილობას.
თვალნი მხოლოდ მათი ლანდები ჩამიქროლებდა,
ვინც შევიყვარე, ვინც ვერ დავივიწყე.

თუმცა ხდება ასეც: გეჩვენება, რომ დაინახე, ვისაც ელოდი,
აუღვენები, როგორც ფილმებშია
და...
უხერხულობას საბოდიშო სიტყვებით გადაფარავ.

იარალის მალაზია

ჭედი რომ შემიგდონ, არ შევალ, - მითქვამს თავდაჯერებით.
მაგრამ ისეთი ვიტრინებისკენ გაგეცეცევა ხანდახან მზერა,
აქამდე გულგრილად რომ ჩაუვლიდი.

აქ გამოფენილია:

პირალესილი დანები,
მზეს რომ თვალს სჭრიან და ირეკლავენ.
პირჩაკეცილი, შალითებით შენიღბული,
ბუდეს ამოფარებული
და მინც ბასრი.

გამოფენილია


პისტოლეტები, მოკლელულიანი თუ ლულაგრებილი,
სხვადასხვა კალიბრის, ფეხმართული,
შენკენ დამიზნებით.

ჩაივლი და დაგადვენებს -
მსხვერვის ხმას,
მკვლელის ვნებას,
მონადირის მზერას.

ჩაივლი და ფეხს არ აუჩქარებ,


რადგან შიგნით ჩაბრუნებული სიტყვების ჭურჭელი ხარ,
მაყუჩიანი იარალის აუცდენელი სამიზნე,
გამოშრები და

ნკაპ!..



მურა პაპიაშვილი

მედიის პოლიტიკის



აბა, რა გითხრა, დედაჩემო

1. აბა, რა გითხრა, დედაჩემო, საით წავიდე, გზებს ყველას ერთი ფერი აქვს და თანაც სიმუქე აკრავს ყველაფერს, რასაც ვხედავ. ამ გზით გაიქცენენ, შენ რომ გეგონა აქ რჩებოდნენ, მაგრამ სისულტემ სუყველას კართან მიაბიჯა, ვინც დამცინოდა, ველარ გაუძღეს მსუნაგ ცოლებს და საელჩოებს, მათ პირველებმა მიაშურეს და გაჰყვიროდნენ, იბრძოდნენ, მაგრამ სხვისას მაინც არ დაელოდნენ...

და ასე მოხდა, ვერც დაგტოვე, ვერც გაგაქეცი, ვერც დაგემაღლე და ძველ ამბავს ვისხენებ ისევ, ფეხის ფართხუნით შუა გზაში რომ წავიქეცი, და წამოდგომა ასე ძნელი აღმოჩნდა დღემდე,

და ასე შეერჩი ამ შენს თვალებს, ნალევლით სავსეს, ტკბილი სიბერე ვერ მოგეცი და ახლა მიჭირს, კართან დახვედრა, შეგებება სიახლის მაცნის, რომელიც ალბათ აღარ მოვა და აღარც მიკვირს (მან ხომ დიდი ხნით მიმატოვა, ხან მეც არ მჯერა), დაბადებიდან ანუ ჩემი მოვლენის დღიდან, კალთას გამოხმა ერქვა ამას, უფრო დარჩენა, თან სისხარულად რომ გექცა და თან მიძიმე ტვირთად,

მეც ვერ ვიშორებ ძველ ტკივილებს არა და რაა? ტკივილის განცდა, როცა უკვე მუშია გქვია, როცა შენიდან იღბალამდე იმსიგრძე გზაა, რომ ვერასოდეს დაგენევა ნასროლი ტყვია.

2. ყოველთვის, როცა ღამის ფიქრებს ვეზიზნებოდი, ვფიქრობდი სახლზე, სადაც ყველა ცხოვრობდა ერთად, და მეც მინდოდა მისვლა მათთან, ვეჯიბრებოდი, საკუთარ თავს, რომ დამეძლია თამაში ცეცხლთან, სახლი ვთქვი, მაგრამ მე იმ სახლში არვინ მელოდა, არც დიდი გულით, არც სიყალბით, არც მონატრებით, და ამიტომაც სულ მერჩივნა ყოფნა მინაში, რომელიღაცა თავშესაფრის მაღალ კედლის ქვეშ.

ჰოდა, იმ სახლში ახლა უკვე ცივი ქვებია, სიცარიელემ გამოჭამა ყველა სურვილი, აღარც იქ მისვლა, არც დამხვედრი, უკვე წლებია, აღარ არსებობს. აღარც მე მკლავს მისვლის ნყურვილი.

ჰოდა, ასეა, მარტოდ მარტო ვებრძვი მშრალ სირცხვილს, რომ მე ოდესმე იმ სახლამდე მისასვლელ გზასთან, მინდოდა მისვლა, ყველა ერთად და ყველა ირგვლივ, ჩემთან მოსასვლელ აღმართის გზას ცივად რომ გაცდა...

3. კვამლივით ასდის წარსულს სუნი უნიათობის, და ახლა ჩემს სახლს ვდარაჯობ და ყოველ დღე გიციქერ,

რომ მიუსვლელად არავისთან, უკიაფობის,
ზეგანს მიყვები ცარიელი ჯიბით და ვიკვლევ,
ჩემს ხასიათებს, თვისებებს და სიმცირის ზომებს,
რომ პატარა ვარ, თან რა დიდი ტკივილებისთვის,
რომლებსაც ვიტყვ, მთავაზობენ ცხოვრების
ფორმებს,
დაუკითხავად, ძირითადად ყოფნას სხვებისთვის,

შენ არ იდარდო, რასაც დარდობ, როგორ
ვიცხოვრებ,
შენს ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ რას გავაკეთებ,
ამ ძველ ქალაქში როგორც სხვები, ისე ვიმყოფებ
მეც იმ სამყოფელს... თუ არა და დროს გააჩერებ...
და ტვინს შევუხრავ შეკითხვებით, რაც კი ოდესსმე
დაბადებულა ამ ჩემს თავში მკვდრადმობილივით,
ჯერ კიდევ, როცა ბავშვი მერქვა და ვერ მოვერგე
უცხო სარივით, უცხო ბაღში დარჭობილივით,
კითხავ და პასუხს ალბათ მაინც ვერ ვეღირსები,
ასე მგონია, შეცდომები მაღლიდან მოგვდევს,
შენგან რა მინდა, დედაჩემო, რას გეპირები,
განა არა სჯობს? ყველაფერი ერთბაშად მორჩეს.

4.
სინამდვილეში არაფერი ჯერ არ მორჩება
და ზამთრის დღეებს კვლავაც ისევ ერთად
დავითვლით,
გაზაფხულამდე მზე გამოვა, ყინვა მოკვდება,
ქალაქის ქუჩებს დარდიანად მშვიდად გავივლით,
შენ ისევ ისე, მომავალზე როცა დამიწყებ...
მე წარსულს ბრაზით შევაშველებ გულისტკივილით,
მერე ორივე გავჩუმდებით, ენას გავიკრეფთ,
ისევ ბედ-იღბალს მივადგებით მწარე ჩივილით,

ჰოდა, ასეა, დედაჩემო, ვერაფერს გეტყვი,
გზებს ყველას ერთად აღმოაჩნდა ფერი სიმუქის,
და არც გაქცეულს, არც დარჩენილს, არ შემრჩა ბედი,
გარდა მედლისა, ოქროსია, ოღონდ სისუსტის.

ამანათი

ამანათი დამესიზმრა ნუხელ,
როგორც ბავშვი, სიხარულით ეხსნიდი,
არაფერი აღარ იყო უკვე,
და ცარიელ, ბნელ მოლოდინს ვცლიდი,

მაგრამ ყუთი ისევ ისე ჩუმად,
კვლავ ვილატის მანიშნებდა დუმილს,
კართან თითქოს ვილატ იდგა ურცხვად,
ვილატ თითქოს სულ არ გრძნობდა ნუხილს -

ცარიელმა ყუთმა მოკლა უკვე,
მოლოდინი იმ ახალის მოსვლის,
ვისაც ელი, ის არ მოვა თურმე,
ვინც არ გინდა, უსიკვდილოდ მოდის,

ჰოდა, ახლა სიზმარ სიზმარ ვეძებ,
ნამდვილ ყუთს და ნამდვილ მომსვლელს ჩემთან,
იქნებ ისიც სიზმარ სიზმარ მეძებს,
იქნებ სულაც, ბნელში ვცხოვრობთ ერთად.



სადღაც დავინახე, ისევ შორს იყავი,
ისევ ნაწყენი და ისევ მომტირალი,
თითქოს მიდიოდი, თანაც აქ რჩებოდი,
თითქოს მელოდი და თითქოს არ მელოდი,
თვალებს დაბნეულს და ისევ ჩაშავებულს,
უკვე გზა ეპოვათ. წარბებს გაქვავებულს,
ვეღარ ვუძღვები და შენს ჩრდილს მიყვებოდი,
ვითომ დაუღლეელი, სულმითად ვიღლებოდი,
სულ მთლად დავიცალე ძველი სიზმრებისგან,
ძველი სიტყვების და ძველი ფიქრებისგან,
სადღაც შეუხვით, უკვე ლანდს ვხედავდი,
სხვისი ოცნებების, სახლის კარს ღებავდი.

ვერაფერს გეტყვი ახლა ამ წუთას,
ახლა ამ წუთას ვერაფერს ვხედავ,
ყველა სიმრგვალი იქცა მარყუჟად,
ყველა მარყუჟი ჩემს კისერს ხედავს.

ვერაფერს დავწერ ახლა ფურცელზე,
ყველა ფურცელი სასეა ლურჯად,
ჩემი ბრაღია, ასე უთქმელზე,
რომ გამოვავლე ეს ძველი უჯრა,

და ახლა ძველმა წერილმა უცბად,
სულ დამავიწყა წერაც და ფიქრიც,
ვერაფერს გეტყვი ახლა ამ წუთას,
მარყუჟში გაყრილ უმწეო კისრით.

ცხარე არაყი

ვერაფრით შეცვლი,
პირველ გემოს, ცხარე არაყის,
როგორც ალიყურს, - წამოდებულს,
უფროს კაცისგან,
სულ გახსენდება ის გემოც
და ის ალიყურიც,

თუ გადადიხარ მოქმედების,
პირველ ხაზიდან,
თუ უბრუნდები გაეცილი გზაზე
მწყობრად დარჩენილ,
სიზმრებს, რომლებსაც
კვლავ უყურებ უცხო თვალიდან,
და მაინც ისევ,
ფეხაკრფით გინდა ნახვიდე,
ცხარე გემოს და ალიყურის,
ძველი სახლიდან.
და მაინც გიყვარს, გულში ჩუმად,
სკოლის ასაკი,
როცა პირველად
გადაჰკარო მწარე არაყი,
როცა პირველმა ალიყურმაც არ დააყოვნა,
და ამ ნატკენით, რაღაც დროით მაინც გადარჩი.

სიცხადის ეკლები

ავდექი, ღამეა, ვერაფერს ვერ ვხედავ,
ნასულხარ, სკამიც და მაგიდაც ცივია,
ქუჩების მბუფტავი სინათლეც მზეზრდება,
არ მინდა ფანჯარას შემოვგრე. ნისლია.

წავევები სიზმრებს და უსაგნო სახლებში,
კვლავაც მიმიღებენ, უფერო კედლები,
სულ მარტო ვივლი და სულ მარტო გავთვები,
მომბეზრდა ძალიან, სიცხადის ეკლები,

ავდექი, ღამეა, ვერაფერს ვერ ვხედავ,
უშენოდ სკამიც და მაგიდაც ცივია,
უშენოდ მე მხოლოდ სიზმრები მექნება,
უჩემოდ რაც გინდა, რაც გინდა გიქნია.

და ახლა ვგდავართ, სადაც უკვე არავინ არ დგას,
არავინ უცდის სიბრაზეს და არ ხტება წყალში,
და ახლა ჩუმად ვიმეორებთ, გადამხტართ მანტრას,
ლოცვას, რომელსაც ბუტბუტებდნენ გაზუთხულს
თავში,

და ახლა ჩუმად ვუმეორებთ ერთმანეთს შიშებს,
არავინ არ დგას, არც არავინ მოისმენს ამდენს,
და მაინც ხიდზე, სადაც უკვე არავინ იწეება,
დილიდან გმინვას, მარტო ჩვენ ვართ და ამის
ჩამდენს,

ეკუთვნის ალბათ ერთი პეშვი, ბედნიერ ღამის,
ან თუნდაც დილის დავარცხნილი სხივები მზისგან,
და მაინც ისევ მიტოვებულ ხიდზე ვართ წამით,
და მერე ალბათ სალანძღავი ვიქნებით სხვისგან,
მათგან, რომლებმაც ვერ გაბედეს ამ ხიდზე დგომა,
ვერც გადახტომა, ვერც სიმღერა, ვეღარც

სიმშვიდე,

და მაინც წამით ისევ გვინებს ნაპირთან დგომა,
მართლებს თავის, რომ თავები მაინც მივიციდეთ,
ადგოლს, რომელზეც აღარავინ აღარ დგას უკვე,
და მხოლოდ ჩვენ ვართ (ალბათ ბოლო ვიქნებით,
რადგან),



ბუღლოზერები მოინევენ ხიდის კენ მრუდედ,
ბუღლოზერები ჩავეცილიან ამ ბოლო განცდას.

ხომ ხდება ასეც, მხოლოდ ითვის ჩაზნექილ შრეებს
და ამოზნექილ კუხებს უფრო დიდხანს უყურებ,
ვერაფერს იგებ, უთვალთვალვებ ხმაურის წრეებს,
ხალხი რომ მოთქვამს, აი, მტერსაც რომ არ
უსურვებ,

ხომ ხდება, როცა განზე ხარ და თანაც შუაში,
ექცევი ისე, ნება შენთვის არვის უკითხავს,
დგახარ და იცდი, არ მოგსვლია გაცლა ჭკუაში
და შენი წიგნი, საკითხავი, უცხოს უჭირავს,
და ასეც ხდება, იმ მენს სახლში უცხო გაჩნდება,
სამყოფელს ჩუმად წაგართმევს და წესს ვერ
მოჰკითხავ,
ჩაზნექილი შრე და გამხმარი კუბი გაქრება,
შეგეუები სხვის ნაკითხულ მცნებებს მორჩილად.

უკვე აღარ ვარ, რაც ვიყავი, ისიც შენა ხარ,
უკვე ყველაფერს, დავინეებულს შევცქერ ვერადად,
ეს ზამთარიც ხომ (როგორც ყველა, ტუნჩი
ზამთარი),

არაფერს მარგებს ზაფხულისას, ჰო და ჩამჯდარი,
ამ სავარძელში ჩაძინებულ თვალებს ვაღვიძებ,
და შემდეგ ჩემში წამსვლელსა და მომსვლელს
ვარიდებ

ერთმანეთისგან, რომ არ ჭამონ, რომ არ დაჭამონ,
მათ ერთმანეთი გულმოსულზე ტყუილ-ამაოდ,
მე კიდევ ვზოგარ ამ ზამთარში, ასე უსაქმოდ,
არც საქმე მხიბლავს და არც ამას აღარ უარყვოფ,
უკვე აღარ ვარ და რაც დავრჩი, ისიც შენა ხარ,
ძვირი დაგვიჯდა ყველა კოცნის ჩუმად შენახვა.

ბაალ სამადაშვილი

სერ...



ვინ შეარქვა ეს მეტსახელი წვირილ, ე.წ. "მექსიკურ ულგაშიან" კაცს, რომლის მზერა კეთილგანწყობას და ცნობისმოყვარეობას ასხივებდა მის სამფლობელოში მოხვედრილი ადამიანების მიმართ?..

ალბათ, მისი შეგებებით მოხიბლულმა ისეთმა ვინმემ, ვისაც სხვა მოხიბლულებზე მეტად ჰქონდა გამაჟღერებელი მადლიერებისა და თეატრალურობის გრძნობა და ერთხელაც განუცხადა თანამეინახეებს, როგორი აღმატებითაც მოგვმართავს ეს კაცი, ისევე მივმართოთ ჩვენცო...

და ნავიდა...

შეერქვა და შერჩა სახელი "სერ" მებუფეტეს, ევროპელი დიდგვაროვნის კამერდინერივით რომ მიმართავდა ახალგაზრდა სტუმრებს და სენიორებად მოისახივებდა მათ, ყველაზე იავ მომჭავო ღვინის სახელს "ოლიმპიურს" რომ ურთავდა წინ, ტავაზე კარტოფილიან ერთად შემწვარ ხორცს კომიდერის სანებლთ პორთოსის კერძს რომ უწოდებდა, ადგილობრივი წარმოების წყალწყალა ლუღს, ბლანტ ელს ათელსტან კონიგსზურგელის სახარბოანს, ხოლო ერთადერთ ხელკეპივს, მაგიდებს შორის მოფუსფუსე შუახნის ქალს, რომელსაც ან მარგო ერქვა ან ეანა, მშვენიერ რებეკას რომ ეძახდა...

და ერთიც - მაგიდის ირგვლივ შემოსხდომამდე ნასვამობას თუ შეატყობდა რომელიმე ვაჟულს, აუცილებლად რომ ჰკითხავდა, აქეთ მომავლებს, გზად რომელ ფუნდუკში მოგიჩინათ ჩამოხდომა, ახალგაზრდა სენიორებო?..

ასე იყო თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ 1970-იანი წლების საბჭოთა თბილისში, დახლს მიღმა, ღვინის ბოთლებით სასე თაროსა და სამზარეულოდან გამომავალი ფანჯრის

წინ მდგარი ეს კაფანდარა კაცი, ერთი მსახიობის თეატრს ახვედრებდა სტუმრებს, განსაკუთრებით "ახალგაზრდა სენიორებს", თერამეტებიდან ოცდობრ წლამდე სტუდენტებს და ზოგიერთ მათგანს, ვისაც მდიდარი წარმოსახვა ჰქონდა, ძველ დროების ტავერნაში ყოფნის ილუზიას უქმნიდა, ისეთი, როგორიც არა ერთი და ორი იქნებოდა ოდესღაც სალამანკაში, ბოლონიასა თუ კემბრიჯში...

არც ისინი რჩებოდნენ ვალში. თავიანთი მონათხრობებით მისი ქცევებისა და გამონათქვამების შესახებ, სახელს უხვეჭდნენ ქალაქის შუაგულში მდებარე ძველი, ლამაზი შენობის ერთ-ერთ სარდაფში განთავსებულ მუზეუმს, აგურის კედლებიან სასადილოს, იქ მოხვედრას ანდომებდნენ ერთფეროვნებით გაბეზრებულ, ვიბეგამოფხვკილ, გადაკერისა და ლაქალაქის მოყვარულ თანატოლებს. "სენიორთავან" რომელიღაცა იმასაც კი ჰყვებოდა, გამოცდების ჩაბარების და მომდევნო კურსზე გადასვლის აღსანიშნავად ჩასულებს, მოლხენის ბოლოს "სერ"-მა რადიოლაზე ფირფიცა დადო და - არც მეტი, არც ნაკლები - "რადეცკის მარში" მოგვიძღვნაო...

არავინ არ იცოდა სად ცხოვრობდა "სერ"-ი, საიდან მოდიოდა სისხამ დილას სამუშაო ადგილზე და საით მიემართებოდა გვიან ღამით, დაქანცული. ალბათ არ აინტერესებდათ, ხომ ხდებოდა ხოლმე ასე - ერთადერთ სივრცეს მიაკუთვნებენ ადამიანს, მოათავსებენ მას რომელიღაც ნიშაში და ვერც კი წარმოუდგენიათ მისი არსებობა ამ სივრცისა და ნიშის საზღვრებს გარეთ...

რომ დაინტერესებულყვნენ და ეკითხათ მისთვის, სად ცხოვრობ, სად ათენებ ღამეებსო, ერთბაშე უცნაურ პასუხს მოიმჩნდნენ ალბათ, დაახლოებით ასეთს:

"კობდის პირას, ფუნდუკ "ადმირალ ბენბოუში".

ნავი, სახელად...

მოსაყოლის მეტი რა გაქვს, დაბერდი კაცი, თან წერაც ისწავლე, მგონი, შოდა, მოყვები...

თუნდაც პატარა, სამი სულისგან შემდგარი ოჯახის - კაცის, ქალის და მათი ბიჭუნას ამბავი, სამ-ოთხ დღეში რომ ხარჯავდნენ ფულს, რომელიც რომდენიმე კვირა უნდა მყოფდნოდათ თავის გასატანად...

ფულს, კაცის ხელფასს - ასოცდახუთ მანეთს მო-

უთმენლად რომ ელოდნენ ყოველი თვის ბოლოს და წინასწარ გეგმავდნენ როგორ გაეზარებინათ ერთმანეთი და სხვებიც...

რა ხანია თუატრიწი არ ყოფილვართო, რომ იტყოდნენ და რაგორც კი გაფულიანდებოდნენ, უშაღ ბოლეთების ყიდვას რომ დაეშურებოდნენ, უზარალოს - ქანდარაზე კი არა, ბეზუარის ლოჟაში მოსაკალათებელს...



სრული თეატრალური აღჭურვილობით რომ შედოდნენ ხავერდგამოკრული ტიწრებით შემოსილსრულ სივრცეში - პროგრამაც რომ ეყენათ ხელთ სპექტაკლში მონაწილე მსახიობების ჩამონათვლით და პიანინოს კლავიშოფერი ციციქნა ბინოკოც, რომელიც ბიჭუნას საკუთრება ხდებოდა მთელი საღამოს განმავლობაში, ერთხელ თუ გამორთმევედა დედა, წარმოდგენ დაწყებამდე, დარბაზში მსხდომთათვის თვალის გადასაკლება...

სპექტაკლი სამომქმედებანი თუ არ იყო და ძალიან გვიან თუ არ უწევდათ თეატრიდან გამოსვლა, უკანა ვაზზე აუცილებლად რომ შეივლიდნენ საკონტროლო, ტორტს რომ იყიდდნენ, სახელად "ზღაპარს", შოკოლადის ხელ გარსში მოთავსებულ ჰაეროვან სუფეს და ნუგას, კანფეტებს შორის ყველაზე ნელვად, გახვეულს გაბჭურვალე ქალღღმში, მინ რომ მივიდოდნენ და აბაჟურიანი ლამბით განათებულ მაგიდას შემოუსხდებოდნენ საგანგებოდ...

კინოში ისე იძიათად რომ არ დაიარებოდნენ, როგორც თეატრში, თუმცა, ისეთი ფილმების სანახავად, რომელთა გამო უშველებელი, ზედახორაში გადაზრდილი რიგები დგებოდა ხოლმე სალაროებთან, ასოცდახუთი მანეთით გამდიდრებული მივიდოდნენ. ბილეთებს გადაამყიდველებისგან რომ იძენდნენ ორმაგ და ხანდახან სამმაგ ფასად...

ბიჭუნას სახლიდან შორს, ტრამაის ათი გაჩერების იქით მდებარე კინოთეატრში წასვლა რომ ახარებდა ყველაზე მეტად, იმ კინოთეატრში, სადაც ძველ უცხოურ ფილმებს აჩვენებდნენ, თითო სეანსზე ორორს, შუაში შესვენებით. იქ დატრიალებულ კინოლენტებს შორის, ბიჭუნას რჩეული - "ელდორადოელი შურისმაძიებელი" რომ გახლდათ, დედამისი მარგარიტა გოტიეს უსევდიანეს ამბავს რომ ანიჭებდა უპირატესობას, ხოლო მამა კი - "ჯარისკაცის ბედს ამერიკაში"...

კინოდან წამოსულებიც ხელცარიელები რომ არ ბრუნდებოდნენ შინ, უტკბილეს ნებოვან ფინისს და ატმის სურნელოვან კონფიტურს რომ ყიდულობდნენ სხვა მალაზიებისგან სიუხვით გამორჩეულ "ცეკაემირში"...

მორიგ ჯერზე აღებული ერთ-ერთი ხელფასი საჩუქრებზეც რომ იხარჯებოდა, პაპა - მუნდშტუკით ან ნიგინით, აუცილებლად ისტორიული რომანიტი რომ საჩუქრდებოდა, ბებო - ფერადი შუშის ლარნაკით, ბიჭუნა - თვითმფრინავის მოდელის სასანჯიბო კონსტრუქტორით, დედა - გულსაბნეობით ან მიძივით. ასეთ საყდრებზე სამივე ერთად რომ მიდიოდა ოდესღაც სასახლედ აგებულ და იმჟამად საბჭოთა ქარვასლად ქცეულ "დიდ უნივერსალში", რომლის მიერე სართულის კიბის ბაქანზე უკანა თათებზე წამომართული დათვის ფოტული იდგა...

ერთხელაც, მამას ძველი მეგობრის, სოფლად მცხოვრელი კაცის მოსახალსულებლად გამგზავრებულები, საგარეუბნოს ნაცვლად უმორის ქალაქში მიმავალ მატარებელს რომ გაუყვინდნენ და ელემენტების ადგილამდე ჩასვლისთვის გასკუთვნილი დრო მოძრავ რესტორანში რომ გაატარეს. ასეთ უცნაურ მგზავრობას არც ბიჭუნა და არც ქალი რომ არ ელოდნენ, გაუკვირდათ, სხვა, მთავარ ბაქანზე ჩამომდგარი მატარებლის გაპრიალეულ ვაგონში რომ აუქვდა მამა, სისუფთავე და სინყნარე რომ სუფევდა იქ, ქათხით რომ გაუფიქრდა ფანჯრებთან მიდგმულ სკამებშიმონყობილი მაგიდების გატკიცებულ გადასაფარებლებს. ყოველივე ეს ძალიან რომ განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მატარებლით მგზავრობისას ადრე გადაეყრებოდა ხოლმე ბიჭუნა... აქ სირობლი და მუჯღუგუნებით

გზის ვაკვლევდა რომ იყო საჭირო თავისუფალი ადგილების მოსაძებნად ჭუჭყით გაპოხილ, მოყვითალი ძელსკამებზე და არც რაიმე ნივთების დადება მათ დასაკავებლად ვინრო ვასავლელში გატყდილი მშობლების მასთან მომღვამდე... გაკრიალეული ფანჯრებიდან უკეთ რომ მორიანად გარესამყარო, ყველფერი, რასაც კი ჩაუქროლებდნენ - მინდვრები, გორაკები, სახლები...

დანაყრებითაც უკეთ, სხვანაირად რომ დანაყრდნენ, რომ აღარ დასჭირვებიათ შინიდან წამოღებულ, ხელსაზოცრი გახვეული მწირი საგზლის ამოღებას სამგზავრო ჩაბითიდან. მიმტანი რომ მოიხმეს და ბიჭუნასთვის უცხო კერი - "შნიცელი" - შეუკვლია. კარგად შემწვარი, დაბეგვილი ხორცი და აუთქვევიერ ბოკვერცხი ლითონის თევშებით რომ მოუტანეს და გემრიელად მიირთვით, უსურვეს. ხუთის მაგვარად, ორი საათი რომ მოანდომეს ასათი კილომტრის დაფარვას და თავიანთი მგზავრობის ამბავს წვრილად რომ მოუყვინდნენ მასპინძელს, მამასათი ხატვის მასწავლებელს...

ამ ამბის მომხმენის შემდეგ, მან, მზიარულმა და კეთილმა კაცმა, სახელი რომ შეარქვა მთხრობელს, ბიჭუნას მომბლებს... რომ გაუყვია მათ ეს სახელი მანამდე, სანამ ერთად იყვნენ და მოგონებების კუთვნილება რომ გახდა მერე...

ყველაზე ხშირად უკვე დაკაცებული ბიჭუნა რომ ახსენებდა ამ სახელს, ერთგვარი სიამაყით რომ ლაპარაკობდა იმ დროებაზე, როცა მისი შობლები სხვა უფროსებითი არ იქცეოდნენ, არად რომ აგდებდნენ ხელმომჭირნეობას, უყიარათოდ ხარჯავდნენ ფულს და დიდად არ ადარდებდათ, რომ მომავალ ხელფასამდე დარჩენილი დრო მცირედინი თანებების სასესებლად კარდაკარ სიარულში უნდა ვაეტრებინათ, კაცისთვისაც და ქალისთვისაც ის სამი ან ოთხი დღე რომ იყო მთავარი, როცა ისინი თავიანთი პატარა შეილის და ერთმანეთის თვლებში სიხარულის ნაყერიკლებს ავიზინებდნენ...

სახელთან ერთად ნახატებსაც რომ იხსენებდა, შესრულებულებს მამამისის მიერ, მისთვის - ტლლლლლ ზე აღმართულ ორ და სამ ანძიას, იალქნიან ბრიჯებსა და შუშებს, რომელთა გემბანებზე მორისხანე კორსარები და სახელოვანი მოგზაურები ნაბიჯებდნენ. გემების ხსენება და აღწერა, როგორ დახატვდა მამა ცერა, საჩვენებელ და შუათის შორის მოქცეული ფანქრით, ფილოსოფოსობის ხასიათრო რომ აყენებდა...

ბეგრამეს შეიძლება შეადარო ცხოვრობა და მე იმ ბეგრ შესადარებელთა შორის, მოგზაურობა გეონია ყველაზე შესაფერისი ჩემთვისო - უნე იყყოდა...

მოგზაურობა წყალზე - ცურვა უნე მდინარეებში, ზღვებში, ოკეანეებში, რომელიმე დიდი, მძლავრი გემის მგზავრად ან ეკიპაჟის წევრად კი არა, პატარა, იალქნიან ნავის მესაქედ, რომელმაც ხან იცის და ხან არა, რომელ კუნძულს, ან საპორტო ქალაქს უნდა მიადგეს, ხან ახერხებს და ხან ვერა, ხელიდან დაუსხლტს მახლობელულ ქარიშხალს, ანდა გაუკვლავდეს თავსდატეხილ შტორმებს...

რომ გაავარქვებდა - ხშირად ილინებოდა ჩემი ნაკვი, ხშირად მინედა მისი ადღეგნაო...

მთავარ სათქმელს ბოლოსკენ რომ მოითოვებდა და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, გაამხილდა:

ადღეგნას ზვირგების მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ წაშლილი წარწერის განახლებით ვინყვები, წარმოსახვითი ნავის კედელზე კვლავ და კვლავ გამომყვად ასუბით ორი სიტყვის, მამას მეგობრის მიერ ჩემი შობლებისთვის შერქმეული სახელისთვის - გიფმაჟი ღარიბებიო...

პირობი კავაკამი

სამზარეულოს ღვთაება

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



პირობი კავაკამი (დაიბ. 1958 წ.) - თანამედროვე იაპონელი მწერალი ქალია, აკუსტაგავას სახელო-ბისა და სხვა ლიტერატურული პრემიების ლაურეატი. კავაკამის თხზულებებში თავს იჩენს ფენტეზი-სა და მაგიური რეალიზმის ელემენტები. კრიტიკოსთა აზრით, ამ იაპონელი მწერლის პროზა ენათესა-ვება ლუის ქეროლისა და იოშიმოტოს ნანარმოებებს. პირობი კავაკამის პოეზია და პროზა თარგმნი-ლია მსოფლიოს თხუთმეტ ენაზე.

შევეცადე, ფრჩხილებით მომეფხოჭნა სამზარე-ულოს კედელი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ფრჩხი-ლები უფრო ღონივრად ჩაეარჭვე და ბათქაში მო-ვამტვრიე. არ ვიცი, მართლაც ბათქაში იყო თუ არა, მაგრამ მომწონს ამ სიტყვის უღერადობა და ესეც საკმარისია.

ბათქაშის ნატეხი პირში ჩაევიდე. დიდხანს ველ-ჭავდი და, ბოლოს, გადავწყლაპე.

მთავარია, პირველი ნატეხი მოამტვრიო. მერე ყველაფერი იოლად ნავა. ბათქაშს კვლავ და კვლავ ვაძრობდი კედლიდან და ვჭამდი.

- ბათქაში არ უნდა ჭამო! - გაისმა ხმა მაცივრის ქვემოდან.

ალბათ, სამზარეულოს ღვთაება იყო. სამზარეულოს ღვთაება პატარაა, სამი სახე აქვს და სამზარეულოს ბნელ კუთხეებში იმალება ხოლ-მე. პირველად, როდესაც ის დაეინახე, შეეყვირე და დედაჩემი მეჩხუბა. იმხანად სკოლაში არ ვსწავლობ-დი. დედაც უფრო ახალგაზრდა იყო.

- არასოდეს შეგეშინდეს სამზარეულოს ღვთაე-ბისა და არც დასცინო მას, - მითხრა დედამ.

ნეტავ, სამზარეულოს ღვთაებები ყველა ოჯახ-ში თუ არიან-მეთქი, გავიფიქრე. დედაჩემი არასო-დეს მიკრძალავდა, რომ ჩვენი სამზარეულოს ღვთა-ების შესახებ სხვებისთვის მომეყოლა; მიუხედავად ამისა, ერთი სიტყვაც არ წამომცდენია მასზე არც

აიაკასთან, რომელიც ჩვენ მეზობლად ცხოვრობდა და არც ჩემს ბიძაშვილთან, შოსთან.

ახლა უკვე მოზრდილი ქალი ვარ, მაგრამ ამ წლების განმავლობაში არავისთვის გამინდვია ჩვე-ნი სამზარეულოს ღვთაების შესახებ. ჩემი გათხო-ვების შემდეგ ქმართან ერთად მის ბინაში დავსახ-ლდი, მაგრამ სამზარეულოს ღვთაება მალე იქაც აღმოვაჩინე. თუმცა, სამზარეულოს ეს ღვთაება განსხვავდებოდა იმისგან, რომლის გვერდითაც გა-ვიზარდე: განსხვავებული სახეები, ხმა და ინტონა-ცია ჰქონდა.

- ის აქაა, - ვუთხარი დედაჩემს.
- ის აქ ბინადრობს. - გამისწორა დედაჩემმა.
- ესე იგი, ისინი ყველგან არიან. - ამოვიოხრე მე.

- ყველგან ბინადრობენ.
- როგორც ჩანს, ყველგან ბინადრობენ.
- ჰო, ყველგან.
- დედაჩემმა ხმას დაუნია.
- ეს იმიტომ, რომ მისი არსებობისა გჯერა, იძუ-მი.

- მჯერა?
- ჰო, სამზარეულოს ღვთაებები მხოლოდ იმ ქა-ლების სამზარეულოებში ცხოვრობენ, რომლებსაც მისი არსებობისა სჯერათ.
- დედაჩემმა ყურმილი დაკიდა. მართლაც მჯე-



როდა თუ არა? სწორედ იმ დილას სადგურთან განლაგებული მინიმარკეტიდან ქლიაისგემოიანი საღებავი რეზინი და ერთი ჭიჭა რამენი¹ მოვიპარე. მალაზიები ქურდობის დიდოსტატი გახლავართ, რაშიც ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლის დროს გავინაწე. მაგრამ მალაზიიდან რამენის შუემწიწეულად გატანა გამიჭირდა: საფუთავი ქაღალდი შრი-ალბედა და ჭიჭაც იმდენად დიდი იყო, რომ ჩემს ჩანთაში ძლივს ეტეოდა.

მალაზიებში ქურდობის შემდეგ ყოველთვის იმედგაცრუებას ვგრძობო ხოლმე. საქმე ის კი არაა, რომ ქურდობისას ველვავ, შემდეგ კი მოვეყვები ხოლმე; არც იმას ვნანობ, რომ უფრო ძვირფასი რამ არ მოვიპარე. ეს უფრო იმედგაცრუების ბუნდოვანი, გაურკვეველი განცდაა.

მალაზიიდან გამოვიღე, ველოსიპედზე დავეჯექი და შინისაკენ გავემგზავრე. იქ, კიბის ბაქანზე, ჩემი ბნის მახლობლად, რომელიც მეხუთე სართულზე მდებარეობდა, იდო პლასტმასის კონტეინერი შეკვეთილი სურსათით, რომელიც ადგილობრივი კოოპერატივიდან ყოველ ხუთშაბათს მოაქვთ ხოლმე. ჩემ მიერ შეკვეთილი პროდუქტები, როგორც წესი, მოზინადრეებს აკვირვებს, რადგან მხოლოდ ცოტათოდენ ორცხობილას ან ერთ ქილა მარწყვის მურაბას ვუკვეთ. "ასე არ მოიქცეოდით, - მითხრა ერთმა მეზობელმა ქალმა, - შვილები რომ გყოლოდათ. როდესაც ჩემი შვილები პატარები იყვნენ და სკოლაში არ დადიოდნენ, ერთ ბავშვს წინ ვისვამდი ველოსიპედზე, მეორეს - ჩემ უხან, ხოლო ველოსიპედზე დამაგრებულ კალათში უთხ შეკვრა ქაღალდის ხელსახოცებსა და პროდუქტებით გატენილ ჩანთას ვდედი". არაფერი მიპასუხია, მხოლოდ თავი დაუქნეი.

აქაური ქალები ერთმანეთს "ოკუსანს"² ვუნოდებთ. ოკუსანებს უზადო კანი და მკერივი მკლავები აქვთ. შეკვეთილ პროდუქტებს ჩანთებში აწყობენ და თავიანთ ბინებში მიაქვთ. ჩემ მიერ შეკვეთილ პროდუქტებს - ამჯერად ექტურუსა და პატარა ფუნთუშებს - ჩანთაში ვანყობ და კიბეზე ავდივარ. როდესაც სამზარეულოს ღვთაებას ამ საწოვავებს ვუჩვენებ, ის ზიზზით ფრუტუნებს.

- ისევ ტკბილეული იყიდე? - ამბობს ის.

ტკბილეულს მართლაც ვეტანები, მაგრამ ბათქაში უფრო მიყვარს. დილით მოპარული რამენისთვის წყალი ავადუღე. ბათქაშს შესანიშნავი გემო აქვს, მაგრამ მხოლოდ ბათქაშით ვერ დავანყრდები. რამეინ ბოლო წვეთამდე ამოვწრუპე, ფუნთუშები მოვყვლი, პირში ქლიაისგემოიანი ექვსი საღებავი რეზინი ჩავიდე და ხელისგულები ერთმანეთზე მივატყუპე, რომ სამზარეულოს დმერისისთვის ლოცვით მიმემართა. დედაჩემმა მასწავლა, რომ ამგვარად უნდა მელოცა ყოველ დილას, შუადღეს და საღამოს. მესმოდა, როგორ ბუზღუნებდა სამზარეულოს ღვთაება მაცივრის ქვეშ. შემდეგ გაჩუმდა.

"ოკუსანი!" - ვასიმა ჩემ ზურგს უკან. ეს ოკუსანი მეზობელ სახლში ცხოვრობდა. ფარ-

თო თვალში ჰქონდა. დიდი ხანი იყო, არ მენახა და განსაკუთრებით მიმზიდველად გამოიყურებოდა. მომწონს ყველაფერი, რაც კი ლამაზია. რაც ლამაზი ან მომხიბვლელია, სწორედ საჩემოა.

- გაიგებ, რა ხდება სანაგვე ყუთებთან? ყვაყვაბი ხომ მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ახლა კი, მგონი, თრითინაც შემოგვეჩვია.

პირი დავალი.

- ოჰ, რა საშინელებაა, - შევეპასუხე ქალს.

- დიახ, დიახ, - თქვა ოკუსანმა.

- საშინელებაა, - გავიმეორე მე.

ოკუსანმა საქალაღედ გამომიწვია. კიბის ბაქანების მღვამარეობის გამო წელს პასუხისმგებლობა მე მეკისრებოდა. ახლა მოზინადრეებს შორის უნდა გამეგრეულიყენა ამ ინფორმაციის შემცველი ცირკული. საქალაღედმი იდო ფურცელი, რომელზეც ჩამონერილი იყო მოზინადრეთა სია. თავიანთი გვარების გასწვრივ მათ ხელი უნდა მოეწერათ.

ოკუსანმა ჩაიხიბოხია, როდესაც შევთავაზე, თრითინა დავიჭიროთ და გავყიდოთ-მეთქი. სიცოლი ძალიან უხდებოდა. როდესაც ვთქვი, რომ თრითინას ტყავის გაყიდვაც შეიძლებოდა, ქალი მოილუშა, ზურგი შემეპყცია და ნავიდა.

გადავწყვიტე, ბინაში დავბრუნებულიყავი და ცირკულარი მომემზადებინა. ბინაში ცხელოდა და წესტიც იგრძნობოდა. ობობა-მცენარეები მოვრწყე. საოცრად სწრაფად იზრდებოდნენ.

ისეთ სასტუმრო ოთახებს, რომლებსაც ამშვენებს ობობა-მცენარეები, ციკლამენები და ფილოდენდრონები, "დედილების ოთახებს" ვუნდობ. დედაჩემის უფროსი დის, დეიდა კაცურას სასტუმრო ოთახში ეს მცენარეები დგას, ისევე, როგორც დეიდანანას და დეიდა არიკას სახლებში. სამივე დეიდას სახლების შესასვლელ კარებთან პატარა ნოხები დაგებული. მათი სააბაზანო ოთახების თაროებზე აწყვია მინის ქილები მცენარეთა გამხმარი სურნელოვანი ფურცლებით. სამზარეულოებს ნიყარები და ცხენების მინის ფიგურები ამშვენებს. წინკარში, ფეხსაცმელების შესახაზავად განკუთვნილ თაროებზე, ალაგია საშობაოდ საზღვარგარეთიდან მიღებული ღია ბარათები.

ჩემი დეიდების სახლებში ყოველთვის უხერხულოლას ვგრძობდი. ისინი მეფერებოდნენ და შოკოლადანი ფხვიერი ამცხვრებით მიმასპინძლებოდნენ. ვეფიქრობდი, რომ არც ერთი მათგანის სამზარეულოში არ ბინადრობდა ღვთაება, მაგრამ ერთხელ, როდესაც დეიდა არიკა სამზარეულოში გავიხედი, რათა ვაშლის ჩაიში ცხელი წყალი ჩავსხა, დიდად დატოვებული კარიდან წრპინა ხმა მომესმა:

- დეიდა არიკა, თქვენს დამზარეულოში ვინმე იმყოფება? - ვკითხე.

- თრითინა, იძუმი, - მიპასუხა მან ღიმილით. - საშინელი, საშინელი თრითინა. თუ სამზარეულოში შეხვალ, დავიჭერს და შეგჭამს.

არაკამ წარბები ასწია. არაფერი უთქვამს, მხოლოდ იღიმებოდა.

1 რამენი: იაპონური კერძი - ნენიანი ატრითი.

2 ოკუსანი - გათხოვილი ქალი (იაპ.).



- ბებერი თრითინა? - არ ვეშვებოდი მე, მაგრამ პასუხის ნაცვლად მხოლოდ კიდევ ერთი ნამცხვარი მივიღე.

ჩემი სასტუმრო ოთახი ცოტათი ნააგავდა დეიდა არიკას და ჩემი სხვა დეიდების სასტუმრო ოთახებს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, სენტიმენტალური ატმოსფერო არ იგრძნობოდა. აქ იდგა მხოლოდ უამრავი ობობა-მცენარე, მათ შორის კი სამზარეულოს პატარა ღვთაება დარბოდა ხოლმე. მაგრამ იმ ოკუსანის სასტუმრო ოთახი, რომელიც ჩემ ქვემოთ ცხოვრობდა, დეიდაჩემისას ნააგავდა. იქაც უამრავი ციკლამენი და ფილოდენდრონი, ასევე - იუკა და "ფულის ხე" ყვავოდა. ბინაში შესასვლელ კართან ნოხი ეგო.

ნააგავდა თუ არა თრითინა, რომელიც სანაგვე ყუთებს სტუმრობდა იმას, რომელიც დეიდა არიკას სამზარეულოში ცხოვრობდა? ვიგრძენი, რომ როდესაც ამ საკითხზე ფიქრს ვინყებდი, აზრები მეფანტებოდა. შევფოთიდი, ხელისგულები ერთმანეთზე მივატყუებ და ლოცვით მივმართე სამზარეულოს ღვთაებას. დედაჩემი ხშირად მაფრთხილებდა, გონებაში ცარიელი ადგილები არ უნდა დაიტოვო. "როდესაც ეს ხდება, - მოძღვრავდა დედა, - მენს გონებაში შეიძლება ბნელმა აზრებმა შეაღწიონ. მაგრამ თუკი სამზარეულოს ღვთაებას მიმართავ ლოცვით, ის დაგიცავს".

სანობე და მე ვისხედით კაფეში, რომელსაც "ზეთისხილის ხე" ერქვა.

სანობე გამაცნო ოკუსანმა, რომელიც ჩემი სახლის მახლობლად ცხოვრობდა. მგონი, სანობე სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით ვაჭრობდა. მას სამჯერ წავეყვი სასტუმროში. ყოველი პაემნის შემდეგ ოცდახუთი ათას იენს მაძლევდა.

- რატომ მაძლევ ფულს? - ვკითხე მას.

- რომ იცოდე, რა ლამაზი მკერდი გაქვს. - მითხრა მან. ჩემს კითხვას არ უპასუხა.

ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ, როდესაც შინ ოცდახუთი ათასი იენი მიმქონდა, წავანყდი იმავე ოკუსანს, რომელიც ჩემი სახლის მახლობლად ცხოვრობდა. პატარა ხელჩანთა ეკავა, იმდენად პატარა, რომ მასში ყველაზე პანანინა საფულეც კი ვერ ჩაეტყდა.

- რა ლამაზი ხელჩანთაა, - ვუთხარი მე. ოკუსანმა გაიცინა და ხელჩანთიდან პატარა კენჭი ამოიღო. თეთრი და გლუვი კენჭი იყო.

- აილე, ეს შენია, - მითხრა მან.


- ჩემი? - გავიკვირვე მე. ოკუსანმა თავი დამიქინია.

- კარგად მოუარე.

- მოვეული.

- სანობე როგორაა? - მკითხა ქალმა.

- ფული მაჩუქა, - ვუთხარი მე. ოკუსანს თვალე-



ბი გაუფართოვდა.

- არავის უთხრა, - მირჩია მან.
- უნდა დავუბრუნო?
- არა, უბრალოდ, შეინახე.

- კარგი, - გავიცინე მე. ოკუსანიც ამყვია. ჩემი სახლსკენ ერთად გავემართეთ, ერთმანეთს ფეხს ვუნწყობდით, ის ჯერ კიდევ იცინოდა, როდესაც თავის სახლის კიბეზე აღიოდა. წამით თითებით შევათამაშე პატარა თეთრი კენჭი, რომელიც ოკუსანმა მომცა. შემდეგ გადავაგვადე.

"ზეთისხილის ხეში" სანობე ყინულიან ყავას წრუპავდა. ამ კაფეში მისთვის ყოველთვის მზად იყო ყინულიანი ყავა.

- რას ფიქრობ ჩემზე, იძუმი? - მკითხა მან.
- მომწონხარ, - ვუპასუხე მე. - შენ ხომ ისეთი ლამაზი ხარ.

განსაკუთრებით მომწონდა მისი თმა, რომელიც შუბლთან შესთხლებოდა.

- შენი ქმარი ხვდება რამეს?
- არა, წარმოდგენა არა აქვს.
- დარწმუნებული ხარ?
- სასტუმროში წავიდეთ, - ვუთხარი მე და წამოვდექი. სანობე უკან გამომყვია. სასტუმროს ოთახში საგანგებოდ მოვიგონე ალერსის ახალი ხერხები

- ხელ-ფეხს ვუტყაპუნებდი და უწმინდური სიტყვებით მივმართავდი. მოსწონდა. სანამ დავცილდებოდით, ოცდარვა ათასი იფნი მომცა.

- იმედია, ეს სამუდამოდ გაგრძელდება, იძუმი. - მითხრა მან, როდესაც კარისკენ გავემართეთ.
- იმედო მაქვს..
- მინდა, რომ ჩემი საყვარელი იყო, - დასძინა მან.

- რას გულისხმობ?

- იმას, რომ ერთად ვიართო კინოში, ვიმოგზაუროთ, ტელეფონით ვილაყბოთ.

- რასაკვირველია.
- სანობეც გაუკვირდა.

- ეს იგი, მომდევნო ჯერზე უკვე საყვარლებით შევხვდებით? მპირდები?

როდესაც ხელში ამიყვანა, შუბლი უღალაპაებდა. ოფლიანი სახეზე ვაკოცე.

შინისკენ მიმავალი, ყვავილების მალაზიაში შევედი და ოცდარვა ათას იენად, სანობემ რომ მომცა, შევიძინე ყველაზე დიდი ფილიდენდრონი, რომელიც კი იმ მალაზიაში იყო. კიდევ ბევრი ფული დამრჩა, ამიტომ ვიყიდე ორაგულის ხიზილალა და შემწვარი ორაგული, რომლებიც კოლოფში ჩაიმწყვეს.

შინ დაბრუნებულმა მცენარეულ სასტუმრო ოთახში, ფანჯარასთან მდგარ პატარა მაგიდაზე დავდეგი. შემდეგ კოლოფის შიგთავსს შევექეცი. კედლებსა და სახურავზე მინებებული ბრინჯის მარცვლებიც მივაყოლე. სამზარეულოს ღვთაება მაცვივრის ქვევიდან გამოძერდა და სწრაფად შემოურბინა მაგდას, რომელზეც მცენარე იდგა. როდესაც მოსუფთავებული კოლოფი ვაჩვენე, მონონების ნიშნად სამივე სახე დამიქნია. მაცვივრიდან გამოვიღე პლასტმასის ჭიკა მოზარშული კრემით. ახლა მაცვივარში მხოლოდ ლუდი, მალაზიიდან ერთი კვირის წინ მოპარული ოდენის პაკეტი და ოთხი მოზარშული კვერცი დარჩა.

ჩა. ღვთაებას ცოტაოდენი მოზარშული კრემი მივეცი. ესიაშოვნა. ობობა-მცენარეებს ირველივ შემოურბინა და მაცვივრის ქვეშ გაუჩინარდა. ვიბანავე და მაშინვე დავიძინე.

რა კარგია, რომ შვილები არ გყავს, ახალგაზრდობას დიდხანს შეინარჩუნებო, მითხრა ოკუსანმა, რომელიც ჩემზე ერთი სართულით ქვემოთ ცხოვრობდა.

უშვილო ქალს იშვიათად ეკითხებიან, შვილებს ყოლა გინდა თუ არაო. თუმცა, დეას, რომელსაც მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს, ხშირად ეკითხებიან, მეორის გაჩენას ხომ არ აპირებო.

ჩემი მეზობელი დროდადრო მეუბნება, რომ არ მოსწონს, როდესაც საუბრობენ შვილების "ყოლის" შესახებ. ისინი ხომ ღვთის წყალობაა, არა? ვფურცყუნებ, კი-მეთქი, და თავს ვუქნევ. იმ დილას მალაზიიდან რძე და ერთი ბოთლი მწვანე ჩაი წამოვიღე. ჩანთა ისე დამიმძიმდა, რომ დავიფიცე, სითხეებს აღარასოდეს მოვიპარავ-მეთქი.

ერთი სართულით ქვემოთ მცხოვრები ოკუსანი გამიწონდა. იმ კვირას ჩემი რიგი იყო, რომ სანაგვე ყუთების მიმდებარე ტერიტორია დამელაგებინა. ამიტომ ცარიელი ვედრო, აქანდაზი და ცოცხი წავიღე.

- ეს თრითინა სერიოზული პრობლემაა. - მითხრა ქალმა.

თრითინა არ დამინახავს, მაგრამ ის ჩვენს სახლში მცხოვრები ოკუსანების სალაპარაკო თემად იქცა. ჩიოდნენ, თრითინა უარესია, ვიდრე - ყვავეზიო. ნავებს ტომრების დარღვევა საკმარისად უსიამოვნო რამაა, მაგრამ თრითინა, რომელსაც შეუძლია შეძერვს ბინაში და დაბინძუროს იქაურობა, მართლაც საშინელებაა. თრითინები ჩვენს სამზარეულოებში ძვრებიან. რა უნდა მოვუხერხოთ მათ?

ოკუსანი სანაგვე ყუთების გვერდით იდგა და ლაქლაქებდა, სანამ ვედროს წყლით ავავსებდი და ბეტონის იატაკს გავრეცხავდი.

- ოდესმე გინახავს თრითინა? - ვკითხე მას.
- არა, მაგრამ ძალიან შეშინებული ვარ. - მიპასუხა მან. - მგონი, ეს ცხოველი არავის უნახავს.
- ნეტავ, თრითინები მართლაც არსებობენ? - ნაივობუტუტე მე და ვედრო ისევ ავავსე წყლით.
- არსებობენ და ძალიან სწრაფადაც მრავლებიან. - შენიშნა ოკუსანმა.
- იდგა და ჩემს საქმიანობას თვალყურს ადევნებდა.

- როგორ გამოდის თრითინა სამზარეულოდან, მას შემდეგ, რაც შიგნით შეძვრება? - ვკითხე მე. სველი ბეტონი შავად ლალაპებდა.

- როგორ ართმევ თავს პროდუქტების შენახვას? - მკითხა ოკუსანმა ისე, რომ ჩემს კითხვაზე პასუხი არ გაუცია. - ამ შენობებში ძალიან ვიწრო თაროებია.

აღუწერე გრძელი თაროები, რომლებიც ინტერნეტით მევიძინე. ოკუსანმა თქვა, ჩემი თაროები უფრო ტყვეადაო. თავი დავუქნიე.

- შენს სამზარეულოში ღვთაება ბინადრობს? -

ნამომცდა მე. ჯანდაბა! რატომ გავუმხილე ჩემი სა-
იდუმლო თითქმის უცნობ ადამიანს? წარმოდგენა
არ მაქვს. უბრალოდ, ნამომცდა.

- რა სისაძაგლეა. მთელ სამზარეულოში ტოვებს
ნაკვალევს.

- რა თქვი?
- თევზს ჭამენ და ძვლებსაც ხრავენ. მაგრამ ეს
ყველაფერი როდია.

თრითინებს გულსხმობდა. ამ ოკუსანს დიდი
ცხვირი ჰქონდა და ძალიან გამხდარი იყო.

- თრითინები ლამაზებია? - ვკითხე მე.
- შეუძლიათ ნებისმიერ ხვრელში გაძვრნენ. არ
არსებობს ნაპრალი, რომელშიც ვერ შეაღწევენ.

თავი დავეუკარი და კიბეს აფეყე. ოკუსანმაც თა-
ვი დამიკრა, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

როდესაც ჩემს ბინაში შევედი, სამზარეულოს
ღვთაებას ვკითხე, თრითინა ხომ არ გინახავს-მეთ-
ქი, მაგრამ არაფერი მიპასუხა. შემდეგ დიდხანს ვლო-
ცულობდი. ყველაფერი დანარჩენი მესხიერებიდან
ნავშაღე.

სანობემ დამირეკა. კვლავ “ზეთისხილის ხეში”
შეგხვდით, მაგრამ, როდესაც სასტუმროში წასვლა
დავაპირე, სახელოში ხელი წამავლო.

- სათამაშო ავტომატების გალერეაში წავიდეთ,
- შემომთავაზა მან.

- იქ რა უნდა ვაკეთოთ?
- ვითამაშოთ, - მიპასუხა მან და შუბლი ოფლით
დაემცვრა.

ცოტა ვისეირნეთ, შემდეგ სადღაც შევეხვიეთ
და სათამაშო ავტომატების გალერეაში აღმოჩნდით.
დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. სანობემ ფუმფუ-
ლა სათამაშო მოიგო.

- რა საყვარელი ცუფაა, - ვუთხარი მე.
- ეს ენოტა, - თქვა მან და სათამაშო მომანოდა.

საყვარელი სულაც არ იყო. ჩემს ხელჩანთაში ჩავდე-
სანობემ ახალი თამაში წაიჩინა - მანქანას მიაქ-
როლებდა. უკან დავეღებე და დაველოდე, სანამ მან-
ქანას დაამტყვრდა.

- სახელს არ დაარქმევ? - მკითხა მან.
- ვის?
- ენოტს.

- ოჰ, - დავიბენი მე.
- პიტერი დავარქვათ. - შემომთავაზა სანობემ,

მას შემდეგ, რაც ჩემს პასუხს ამაოდ ელოდა რამდენიმე
წუთის განმავლობაში. ამგვარად, ეს პიტერი
იყო. სანობემ იქ, გალერეაში მაკოცა. მერე სასტუმ-
როში წავიდეთ, სადაც, ისევე, როგორც ყოველთვის,
ხელ-წავიბით კარგად დავიხილე.

- ოდესმე განქორწინებაზე თუ გიფიქრია, იძუ-
მი? - მკითხა მან. ვინეკით. ძალიან მეძინებოდა.

- რაო? - ნამოვიძახე მე. ეს, უბრალოდ, რეფ-
ლექსი იყო.

- მიყვარხარ, იძუმი. - მითხრა მან და თავისკენ
მიმიზიდა. - მართლა მინდა, რომ ერთად ვიყოთ.

გავირინდე. ვერ ვიტან, როდესაც ვნევარ და ვი-
დაც თავისკენ მეზიდება.

რამდენიმე წუთის შემდეგ სანობე ადგა და ჩაც-
მას შეუდგა. მეც ჩავიცვი. ერთმანეთს უკვე დავემ-
შიოდებოთ და სადგურის შენობაში რაღაცებს ვყი-

დულობდი, როდესაც უცერად ვიპარე - მას ამჯე-
რად ჩემთვის ფული არ მოუცია.

(ციკლამენებიანი ქოთანა ჩემს სასტუმრო ოთახ-
ში დადგა. წითელი ყვავილები, მგონი, თვალში მო-
უვიდა სამზარეულოს ღვთაებას - ახლა უფრო ხში-
რად გამოდიოდა ოთახში.

მეზობელი ოკუსანი მეწვია, თავისი გამომცხვა-
რი ბანანიანი პური შემომიტანა და შემთავაზა, ჩაი
ერთად დავლიოთო. პური არც ისე ტკბილი იყო.

- ღმერთო, რამდენი მცენარეა! - ნამოძახა მან,
როდესაც ჩემს ბინას თვალს შეავლო.

- არც ისე ბევრია, - შევეპასუხე მე.
ოკუსანმა ჩაი მოსვა.

- ალბათ, დიდ გარჯას საჭიროებს. - განაგრძო
მან.

- არც ისე დიდს. - ვუთხარი მე. სამზარეულოს
ღვთაებამ ოთახში შემოიბრინა. ობობა-მცენარეებს,
ფილოდენდრონებსა და ციკლამენებს შორის და-
ცუნცულებდა.

- ოთახის მცენარეების სათანადოდ გაზრდა ძნე-
ლი საქმეა.

დიანხა თუ არა სამზარეულოს ღვთაება? მგო-
ნი, ყურადღება არ მოუქცევია.

- ჩემი ქმარი შინ გვიან ბრუნდება ხოლმე, შვი-
ლები თვითონ ცხოვრებით არიან გართულნი. ამი-
ტომ ვიფიქრე, იქნებ, მეზაღვობის კურსები დამე-
თავრებინა, მაგრამ ეს კურსები ფასიანია. იქნებ, მუ-
შაობა დამეწყოს? თუმცა, ვშიშობ, რომ საამისოდ უკ-
ვე ასაკოვანი ვარ. - მითხრა და ბანანის პური მო-
ციცქნა.

თავი დაუქუნიე.
- არ მუშაობთ? - მითხრა მან.

- არაფრის მაქნისი არ ვარ. - ვუპასუხე მე. სამ-
ზარეულოს ღვთაება შეშლილივით დაძვროდა ციკ-
ლამენების ირგვლივ. უცერად გულისრევა ვიგრძე-
ნი, მაგრამ თავი შევიკავე და მალე უკეთ გავხდი.

ცოტა ხნის შემდეგ ოკუსანი წავიდა. სამზარეუ-
ლოს იატაკზე ჩავჯექი და ბათქაშის ღეჭვა დავიწყე.
ბანანის პურის ნარჩენები სანაგვე ვედროში ჩავყა-
რე. სამზარეულოს ღვთაებამ ნავგის ვედროს ირ-
გვლივ შემოუარა, თან ყნოსავდა. ხელში ავიყვანე
და ლოყით ლოყაზე მივეხუტე. ექვსივე ლოყაზე. მო-
მეჩვენა, რომ ბნელი აზრები ცდილობდნენ ჩემს გო-
ნებაში შემოქრას, ამიტომ ღვთაება ძირს დავსვი და
ლოცვა დავიწყე.

როდესაც სასტუმრო ოთახში დაბრუნდი, იქ მცე-
ნარეებს მშორიანი სუნი იდგა, იატაკზე ფოთლები
ისე მჭიდროდ ეყარა, რომ გადაადგილება მიჭირდა.
მაგიდასთან მივედი და ღანგარზე დავანყვე თევზები
და ფინჯნები, რომლებიც მე და ოკუსანმა გამოვიყე-
ნეთ. გავიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა, ახლა ოცდა-
ოთხსაათიან მაღაზიაში წავსულიყავი და რამე მომე-
პარა. ჩანთას ხელი ვტაცე და კიბე ჩავიბრინე.

სანობე ხშირად მირეკავდა. საათში ერთხელ,
ზოგჯერ კი ყოველდღ ათ წუთში ერთხელაც.

ყოველდღ მესამე დარეკვისას მეკითხებოდა: “შენ
გვერდით მამაკაცი ხომ არაა?” მე კი ვპასუხობდი,

შესაძლოა-მეთქი, რაზეც ეცინებოდა. შემდეგ საუბრის თემას ცვლიდა და მეკითხებოდა, ვუყურებდი თუ არა ტელევიზორში ბეისბოლი ან მეუბნებოდა, რომ სამუშაოს მიტოვებას აპირებდა.

- პიტერი როგორაა? - მკითხა ერთხელ. ბუნდოვნად მასხოვდა, რომ სათამაშო ენოტი სანაგვეზე მოვისროლე.

- ეს პატარა ენოტი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, - ვუპასუხე მე. სანობემ სიხარულით გაიცინა. შემდეგ კვლავ გააბა: "მიყვარხარ, იძუმი, მართლა მიყვარხარ".

ის ოკუსანი, რომელმაც სანობე გამაცნო, სხვაგან გადასახლდა. როგორც ჩანს, კერძო სახლი იყინდა. როდესაც ჩვენთან შეკვეთილი პროდუქტები მოიტანეს, კობის ბაქანზე შეკრებილმა ოკუსანებმა ქაღალტის ქორაობა დაიწყეს. როგორ შეძლო კერძო სახლის ყიდვა? განა ქვეყანაში ეკონომიკა არ ეცემა? შესაძლოა, მემკვიდრეობით მიიღო დიდი თანხა. იღბალი შექონია.

შეკვეთილი პროდუქტები გავინანილეთ. ჩვენი შენობის კედელი რუხი გახდა-მეთქი, გავიფიქრე, როდესაც პლასტმასის კოლოფზე დავიხარე. ვიგრძენი, რომ გონება მებინდებოდა. შევმინდი და შევეცადე, მხოლოდ ფეჭილსა და კანფეტებზე მეფიქრა. თუ ასეთ უმნიშვნელო საგნებზე ვიფიქრებ, ბნელი აზრები ჩემს გონებაში არ შემოიჭრება.

სანობემ მთხოვა, ნება მომეცი, შინ მოგიჩაახულო.

- წუ ვიუტობ, - მითხრა ერთხელ ტელეფონით. - მითხარი, სად ცხოვრობ. მოვალ და გინახულებ.

და გაჩუმდა - პასუხს ელოდებოდა. არაფერი მითქვამდა. ჩემი დუმლი ამინდობდა.

- ჩვენ ხომ საყვარლები ვართ, იძუმი? ყურმილი მაშინვე დავკიდე.

ამის შემდეგ ყურმილს აღარ ვიღებდი. ჩემი ავტომობილზე შეტყობინებები იწერებოდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ეს ყველაფერი დამთავრდა.

სამზარეულოში შევედიო და კედლიდან ბათქაშს ვტყებო.

- ბათქაში არ უნდა ჭამო, - მაფრთხილებდა სამზარეულოს ღვთაება. სამზარეულოს კედლები ჩამუტდა, როდგან ბათქაში თითქმის მთლიანად მოვაფხიკე. მის ქვეშ თაბაშირის ზედაპირი იყო - რუხი და უსწორმასწორო.

მალაზიაში წავედი. იქ ოკუსანი შემოვიდა. დიდხანს მელაპარაკა და მალაზიაში ვერაფერი მოვიპარე. როდესაც წავიდა, მისი ადგილი სხვა ოკუსანმა დაიკავა. თრითინაზე ფიქრობდა და ამიტომ მასზე ლაპარაკობდა. მალე მესხა ოკუსანი გამოჩნდა, რომელსაც ასევე აინტერესებდა თრითინას საკითხი. ვერაფრის მოპარვა ვერ შევქედი. კინაღამ შევიშალე.

როგორც ჩანს, თრითინები მთელ ჩვენს სახლს მოედნენ. ვერაფრით განდევნეს. თრითინები აპარტახებდნენ არა მარტო სამზარეულოებს, არამედ - სასტუმრო და საძინებელ ოთახებსაც. უსაფრთხოდ ვერსად იგრძნობდით თავს,

როგორც იქნა, ინგლისური ქინძისთავების შეკ-

ვრა მოვიპარე და მალაზიიდან გამოვედი. ცა ცივი და ისეთი ღრუჯი იყო, როგორც მხოლოდ ზამთარში არის ხოლმე. ნაფლეთი ღრუბლები ნელა მიცურავდნენ ცაზე. ამღვრეულ მზერას ვერაფერზე ვაჩერებდი.

სამზარეულოში შევედი და ლოცვა დავიწყე. ყოველდღე ვლოცულობდი, რათა ბნელი აზრები მომეცილებინა.

სანობე მოვიდა.

ვერ მოვასხარი მეკითხა, როგორ მიპოვე-მეთქი, რადგან, როგორც კი შემოსასველი კარი დახურა, მიბიძგა და ძირს დამავლო.

ვულიმობდი, მაგრამ მე კი არ მიყურებდა, არამედ ფილოდენდრონებს, ციკლამენებსა და ობობა-მცენარეებს, რომლებსაც ჩემი სასტუმრო ოთახი გავესოთ და წინკარში გამოჭრილიყვნენ. როდესაც ძირს დავეცი, თავი კინაღამ მივარტყი ფილოდენდრონის ქოთანს.

სანობე მალე წამოდგა და კარისკენ გაეშურა. გასვლისას თავი დამიკრა და დაიძახა: "მოიფიქრეთ, ოკუსან. ჩვენი საქონელი მალალი ხარისხისაა. ამის გარანტიას ვაძლევთ".

კარი მივაჯახებუე და ჩემი საძინებლისკენ გავიქეცი. გზად გვერდი ავუარე მცენარეებით გავსებულ სასტუმრო ოთახს. სანობეზე გავიმოტე. სანობე ოთახის იატაკიც თითქმის მთლიანად დაფარული იყო ფოთლებით. მაშინვე დამეძინა.

როდესაც გამეღვიძა. ფანჯრიდან ზამთრის ცა დავინახე. მზე უკვე ჩასულიყო, მაგრამ ჯერ არ ბნელოდა. ფანჯრის მიღმა რალაცამ გაიჭრა. ალბათ, თრითინამ. სამზარეულოში შევედი. სამზარეულოს ღვთაება აქეთ-იქით დარბოდა. სამივე სახეზე ბრაზი ეტყობოდა. ხელისგულზე ერთმანეთზე მივატყუპე და ლოცვა დავიწყე. როდესაც დავაპირე ბათქაში მომეტება, ვეღარ შევეძელი. თითქმის აღვარაფერი დარჩენილიყო - მხოლოდ რამდენიმე პანაწინა ნატეხი. შიშველ კედელს მივეყრდენი. გონება მერეოდა.

- ბედნიერი ხარ? - მკითხა სამზარეულოს ღვთაებამ

ხშირად ამგვარ მოულოდნელ კითხვებს მისვამდა. ვგრძნობდი, რომ ჩემს გონებაში შეიძლებოდა ბნელი აზრები შემოჭრილიყო და ამიტომ მთელი გულით ვლოცულობდი. ბედნიერი? ანაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. გონება სულ უფრო მეტად მებინდებოდა. ამიტომ ვცდილობდი, რომელიმე ერთ საგანზე მეფიქრა. დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ამას შევძლებდი და ამიტომ ასე ვლოცულობდი:


დაე, დედაჩემი ბედნიერი იყოს.
დაე, დედა კაცურა ბედნიერი იყოს.
დაე, დედა ნანა ბედნიერი იყოს.
დაე, დედა არეკა ბედნიერი იყოს.
დაე, ყველა ოკუსანი ბედნიერი იყოს.

სანამ ვლოცულობდი, სამზარეულოს ღვთაება დარბოდა ფილოდენდრონების, ობობა-მცენარეების, ციკლამენების გარშემო. დარბოდა და დარბოდა.

აღასი აივაზიანი

ოთხი კედელი

თარგმნა მედეა იმერლიშვილმა



ჩემი ოთახი მდინარეს გადაჰყურებს. მისი კედლები ერთთავად ნესტიანი და მონყენილია. სახლი ვინმე დანდუროვს აუშენებია. ერთი კედელი გარეთ არის გადაზნექილი. მეორეზე, წითელი აგურის კბილები რომ დაუკრეჭია, ჩიხტიკოპში მოკაზმული ბენიაციემის პორტრეტი კიდა, მესამეზე - გოგენის "გოგონა ტატიტიდან". მის ქვეშ, იატაკზე წიგნები აწყვიდა: უბედური ცოდვილი ფრანგის, მოპასანის, და კიდევ ათეულობით სხვა, ამ სამყაროს ვერ შეგუებული ადამიანის ნაწარმოებები... ოთახის შუაგულში დგას ჩემი სანოლი - როკოკოს სტილის, იტალიის რომელიღაც ქალაქში დამზადებული. ამ სანოლზე დალია სული ლარიბმა სომეხმა ბურჟუამ, მელიქ-კარაკოზოვმა, რომელიც გამოსცემდა გაზეთს ასიანი ტირაჟით და გამოდიოდა სიტყვით ტფილისის ეროვნულ კრებაზე. და ამ სანოლზევე, სიცოცხლის ბოლო წუთებში, მელიქ-კარაკოზოვმა დაიბარა: "აჩუქეთ რამე მას", - მე მგულისხმობდა. და გადაწყვიტეს, ჩემთვის ეწუქებინათ სანოლი, რომელზეც იგი იწვა. დაკრძალა სომეხურმა ინტელიგენციამ. შემოსასვლელში ვიოლინოზე უკრავდა ოთხი შავი ბერიკაცი, ოთახშიც მარტო მოხუცები ისხდნენ. ყვითელი ბებრუხანები მღეროდნენ "ალი-ლიას". კუბოც მიჰქონდათ მოხუც კაცებს, რომლებიც ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, რუსულად... სანოლი კი მაჩუქეს მე... მაგრამ ეს ისე, მხოლოდ ამბად იმ სანოლისა, რომელიც დგას ჩემს ოთახში.

ტრამვაი ჩამოივლის ჩვენს ვიწრო ქუჩაზე, ზედ ჩემს კედელთან და ზარის რეკვით განაგრძობს გზას.

ერთხელაც, გადაზნექილი კედელი შეყანყალდა, კიდევ შეყანყალდა და ჩამოივრა. ერთბაშად გამოჩნდა ნახევარი ქუჩა. შემდეგ, მეორე ჩამოფხავებული კედელიც, თითქოს დადნა, აორთქლდა, ნისლივით გაიფანტა. გაქრა მესამე და მეოთხე კედელიც... ჩემმა ოთახმა კედლები დაკარგა და დაერჩი ოთახის შუაგულში, ჩემს იტალიურ სანოლზე.

ტროტუარზე მომავალმა ბაგრატამ, ჩემმა მეზობელმა, ისე შემოალაჯა ჩემს ოთახში და ისე გაალაჯა, თითქოს იქ არც ვყოფილიყავი... ჩემი ოთახი ტროტუარის გაგრძელებად იქცა, ფეხით მოსიარულეების საველ ნაწილად. თამაშვით იყო, სრულიად ჩვეულებრივად, ვითომც არაფერი, შეიძლებოდა მოხვედრა ოთახში და იქიდან ქუჩაში დაბრუნება... ვიღაც აყლაყლა ტიპმა, ერთხელ, ჩემს სანოლსაც კი გადააბიჯა.

ორი ბავშვი ჭალს ჩააცვივდა, ჯერ კიდევ რომ ეკიდა ჩემს თავს ზემოთ. ერთმა ქვა ესროლა, მაგრამ ააცილა და გაბრაზდა, მეორე მეორე დასწვდა ქვას, გამოუქანა და მოახვედრა. ჭალი ზარივით ანკრიალდა, გაქანდა და ჭერს ჯერ ერთი მხრიდან შეენარცხა, მეორე მეორიდან...

ამასობაში მოსალამოვდა, ჩამოხველდა, წკრიალი ჯერ კიდევ ყურებში მედგა. გამველეები შემოდოდნენ, ჩემს წიგნებს ხევენდნენ და კუთხეებში იცუცქებდნენ.

საკუთარ თავს გავუბი ლაპარაკი, ხმამალდა, იმის საჩვენებლად, რომ სულაც არ შეშინოდა. ადამიანები მხირად იცქვიან ასე, როდესაც ბნელა და ეშინიათ...

ნონა კუპრეიშვილი

უკუსვლა - ეროსი და ნაციონალიზმი კ. გამსახურდიას “დიდოსტატის მარჯვენაში”





კლასიკის მარადიული მეტაფორულობის პრინციპით კ. გამასხურდიას "დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა", ცხადია, ინტერპრეტაციულად ამოწურულ ტექსტად არ და ვერ ჩაითვლება. არადა, მისი ქრესტომათიულობა (ისწავლის XI კლასში), ამასთან ცნობილი პოლიტიკური მოვლენების შემდეგ ლტერატურული ველიდან ამ კონკრეტული მწერლის ლამის გაყვანის მცდელობა მის ტექსტებთან ერთხანს არა მიახლოების, არამედ გამიჯვნა-გაუცხოების საშიშროებაც კი შექმნა.

კ. გამასხურდიას "მონოკლიან ჩოხოსანს" უწოდებდნენ და ამ მეტსახელით მონიშნულ საზღვრებში (გნებავთ, საზღვრებს გარეთაც) მოძრაობა მკვლევრისთვის მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სწორი აქცენტების დასმის ერთ-ერთ ნიშანდობად რჩება. მით უმეტეს, დღეს, როდესაც ქართული მოდერნიზმის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი დაწერილი. მათში არც განალიზებულ პრობლემათა სიმცირე გარძნობა და არც ვეროპაზე ორიენტირებული "ქართულ რენესანსად" (გრ. რობაქიძე) სოციალური კულტურული გარღვევის დეტერმინირება, არც იმდროინდელი მადერნისტული ძიებებისა და მიგნებების ჭრილში ჩვენთან განვითარებული ანალოგიური პროცესების დანახვის გაუჭვდელია. და თუ ჯერჯერობით, რამდენიმე საყურადღებო სტატიის გარდა, საგანგებო ნაშრომი არ მიუძღვინათ მაგ. "დიდოსტატში" გამოკვეთილი ხელოვნების მარადიულობისა და მგრძობილობის, ეროსის კონცეპტების ურთიერთდაპირისპირებულობა-დიქოტომიურობისთვის, ეს მხოლოდ დროის საკითხია. შესაბამისად, ეს სტატია მიზნად ისახავს უპასუხოდ არ დატოვოს კითხვა, თუ რატომ "უპირისპირდება (რომანში) ერთმანეთს ხელოვნება და სიყვარული მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ სიყვარული, თუნდაც უიღბლო, შემოქმედისთვის შთაგონებისა და აღმაფრენის წყაროა". ვნახათ რამდენად ადეკვატური იქნება ეს პასუხი.

ავტორი სვეტიცხოვლის აღმშენებელ კონსტანტინე არსაკიძეს დილეგის ნიშნად, მართლაც, აყენებს. ორიდან რომედ, როგორც თვითონ შენიშნავს, კერძს შესწიროს თავი - ხელოვნებას თუ სიყვარულს, სვეტიცხოვლის თუ შორენას: "რომედ გულს ყყოფა ძალა, მიჯვარობასა და ხელოვნებას ემსახუროს ერთავეს თანაბრად? ასე ყოფილა ჟამის დასაბამიდან, ერთი ბოძონი ვერ დაიტევს ვერსოდეს არ კერძს". თუმცა არჩევანი, რომელსაც არსაკიძე ხელოვნების სასარგებლოდ აკეთებს, ცალსახა მაინც არ აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, თავის დროზე ამის შესახებ კრიტიკონი გუარაბ კანკავა ასე წერდა: "არსაკიძე ყოველივეზე მაღლა (სიყვარულზე, კარიერაზე) კი არ აყენებს ხელოვნებას, არამედ ყველაფერს ხელოვნებაში სდებს, მასში ამტკიცებს. იგი, ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლეს კი არ სწირავს ხელოვნებას, არამედ თავისი სულიერი სიცოცხლის სახევა სურს ხელოვნებაში. ეს არის ფსიქოლოგიური "გარდასახვა" იმავე ხელოვნებაში..." (გ. კაკაბა, 1972). მოუხედავად იმისა, რომ, თავად მწერლის აზრით, "ყველაფერი იმისთვის შეუმთხვევა ამ მიზანზე კაცს (უპირატესად, კი ხელოვანს - ნ. კ.), რათა თავის თავს და თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს", და ამ ლოგიკით სიყვარულის განცდაც ერთ-ერთი ამ გამოცდილე-

ბათავანია, "გვამიერ ეროსშეპარული" და სწორედ ამის გამო თეძამის ქვასთან ჭიდილში დამარცხებული ხუროთმოძღვარი ხელოვანის განსაკუთრებულ სულიერ კონსტიტუციაზე მგრძობილობის, მყვევარებულობის, ეროსის ყოფილობის მცდელობაზე უემოქმედების ძალას განასახიერებს. "თეძამის ქვაც კი წინ აღუდგა ოსტატს, ცეცხლს აფრქვედა პირიდან და ეურჩებოდა მის მარჯვენას... ბოლოს მშენებლობიდან გამოიპარა, როგორც ზარმაცი მონა...". ეს ეპიზოდი გვახსენებს პლატონის "ნაღმში" ეროსის დიოტიმასეულ პორტრეტს (საკვანძო ცნებებით: ზეციური და მიწიერი, ღმერთსა და კაცს შუა თანამყოფი, კეთილი და ბოროტი, მშენიერი და მახინჯი), ვიდრე ბ. ვიშნადაცევის (1877-1964) ნაშრომად "გარდასახული ეროსის ფიკა" (1994), რომელშიც ეროსის ორ განსხვავებულ, სუბლიმაციურ და დეგრადაციულ გარდასახვაზე, უპირატესად კი მაინც პირველზეა საუბარი. ან ყოჩუ ბატიასა და როლან ბარტის ერთ-ერთი თემატიკა გვაგონებს. თუმცა მიყვებით თანამედევრულად.

თვითონ მწერალმა 1939 წლით დათარიღებულ "დიდოსტატის" ბოლოსიტყვაში ნაწარმოადინა ორი მთავარი სანიშნე (დიდი საქართველოს იდეასთან ერთად ავტორის L'art poetique), რომლებსაც მაშინდელი კითხველი უნდა გააჟყოფდა. თუმცა წარსულში გადახედვის იდეა უფრო მომზობლავი აღმოჩნდა, ვიდრე ხელოვანის ბედი. შედეგად, დაირღვა კონცეპტუალური ხედვა, როგორც იტყვიან, დაიბინდა ფოკუსი და ლევაზ ბერძენიველის შენიშვნით, არსაკიძეს გიორგი მეფე ვამჯობინეთ (არსებობს მოსაზრება, რომ "დიდოსტატი" არა ისტორიული, არა-არქაიკული, პოლიტიკური რომანია, არსაკიძე კი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი).

არადა, რომანი აგებულია თეზისა და ანტითეზის დამპირისპირების პრინციპით და სვეტიცხოვლის აღმშენებელს ეძღვნება. ესეც იმ ბოლოსიტყვიდანაა, მასში ვხვდებით არაერთ სიტყვა-აქცენტს, რომელთა შორის პრიორიტეტულია "ოსტატი". იგი, ერთი მხრივ, კირთხუროდან მეფის ხუროთმოძღვრებად ამალეებული არსაკიძის, მეორე მხრივ კი, ამჯერად უკვე ეპითეთიანი ფორმით, - "მეჯადაც ოსტატი" - ხელმოცარული ხუროთმოძღვრების, მათ შორის კი ფარსანის, პორტრეტირებისთვისაა გამოყენებული. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ავტორისთვის პირველი ჭეშმარიტი ხელოვანია, ხოლო ყველა დანარჩენი - ფსევდი.

"მოდერნისტულ ეპოქაში თანამედროვე მოდერნისტული ხელოვანის ფუნქციის პრობლემატიკა" სწორედ 30-იან წლებში აქტუალიზდა (კ. პრეგაძე). ბოლშევიკებმა, რომლებსაც სწორედ ამ პერიოდისთვის ჩამოაყალიბეს თავიანთი კულტურპოლიტიკა და ხელოვნებასა და ლიტერატურაში ოსტატობის ნინა-აღმდეგ სოციალისტური ხელოვნების დამატარება მოაწვევს, თვით ეს სიტყვა "ოსტატი" ერთგვარ სასინჯე ქვად იქცა (ბულგაკოვის გარდა, სხვა მწერლებზეც, მაგ. მანდელშტამისა თუ პასტერნაკზე სტალინი თორმე იკითხავდა: **OH мастер?**). შესაბამისად, პრობლემა ხელოვანისა, რომელსაც აცდუნებს ბოროტი ძალა, ანუ თვით სატანა, XX საუკუნის არაერთი მწერლის ყურადღება მიიპყრო და დიდი ფაუსტიანაც შექმნა. გერმანულ ლიტერატურაში: ალ-



ფრედ ნოიმანის რომანი "დემონი", 1926; კლაუს მაინის "მეფისტოფელი" (იშტვან საბოს ეკრანიზაციით "მეფისტო"), 1936; ავსტრიელი შტრამი ბროსის "ვირგილიუსის სიკვდილი", 1945; თომას მანის "დოქტორი ფაუსტუსი", 1943-47; ერნსტ იუნგერის კვანძოფანტასტიკური რომანი "ჰელიოპოლისი" (1949). რუსულ ლიტერატურაში: ვალერი ბრიუსოვის "ცეცხლოვანი ანტიკრონი", 1908; ანდრეი ბელის რომანი-ეპოპეა "მოსკოვი", დაწერილი 1932 წელს, მწერლის სსრკ-ში დაბრუნების შემდეგ; ანდრეი ლუნაჩარსკის დრამა "ფაუსტი და ქალაქი", 1909. სტალინიზმის ხანაში ამ თემის წარმორჩენას, ცხადია, განსხვავებული მიზეზები ჰქონდა, ვიდრე დასავლეთში. აქ უმაღლესი ხელისუფლის მიერ მონუსული შემოქმედებით საზოგადოება (მონუსება კი უთუოდ რაღაც იმეგარი იქნებოდა, როგორც აღწერილია თომას მანის ნოველაში "მარი და ჯადოქარი" - 1930) თვალს ადევნებდა მავ. მიხ. ბულგაკოვის "ოსტაინის და მარგარიტას" არა მარტო შექმნის (რომანი იწერებოდა 1929-36 წლებში, მკითხველი კი მის საჟურნალო პუბლიკაციას მხოლოდ 60-იან წლებში გაცნობდა), არამედ ზნელ ძალასთან გაიგვებული სტალინის მასზე მინდობილი თუ მისი არიზანული ძალების ტყვეობაში მყოფი მწერლის ურთიერთობის პროცესს. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ბელადს წერილებს უგზავნიდა (სწორედ ამ წერილებზე ააგო თავის პიესა თანამედროვე ესპანელმა დრამატურგმა ზუან მამორგამ), რაც დაუცველობის განცდისა და ისტერიის თავისებური გამოსატყულებაც იყო. თავის რომანს ბულგაკოვი "Евангелие от Сталина"-ს ანუ "სტალინის სახარებას" უწოდებდა. ერთ-ერთი ვერსიით კი კოლანდის პროტოტიპად სულაც ბელადის სახე გამოიყენა. ამის შესახებ შორეულმა ხმებმა, ანუ იმ დროისთვის დამახასიათებელმა "ჩურჩულმა", შესაძლოა, იმხანად მოსკოვში რამდენჯერმე მყოფ კ. გამსახურდიამდეც მიიღწია. ყოველ შემთხვევაში, მანაც, გარკვეულ გზავნასაყარზე მდგომმა, როდესაც უკვე გაქთებულს არჩევანი განსხვავებულ მიმოქმედებით აქტობაში იხოვდა, გადაწყვიტა ხელოვანის ბედის განწმრეკა. ამისთვის კი რემინისცენცების გაერთიანებას მიმართა. პირველ ყოვლისა, მწერალი "უკუიქცა ისტორიაში" (ს. სიგვა). ამასთან მან ხელი მოჰკიდა მითისქმნადობის ნაცად ხერხს, ანუ გამოარჩია ხალხში გავრცელებული ლეგენდა დიდ ხელოვანზე, არსუქიძეზე (ამიტომაც სვეტიცხოვლის კედელზე გამოხატული გამარჯვებული ხელოვანის გამარჯვების ზედაპირზე დადებულ სიმბოლიკას შეგნებულად არ გაყვდა), რომელსაც აშკარად დრამატული უღერადობა ჰქონდა. ოფიციალურ ტლანქი, მაგრამ სრულიად არაორაზროვანი ლოზუნგით - "ჩვენ არ გვჭირდება ზეკაცი დამრლები ჩვენ გვინდა მშრომელთა ინტერესების დამცველები!" - პოზიციონერობის პარალელურად განუკითხაობის იმ უშიშმეს წლებში წამოსწია მაღალი ხელოვნებისა და ხელოვანის პირველულ-შემოქმედებით თავისუფლების საკითხი, ეს ხელოვანი დააყენა ერთმმართველი მეფისა და მის მიერ შექმნილი ტირანული სახელმწიფოებრივი სისტემის პირისპირ, ხოლო ამავე მეფის "შეუძლევლთან ბრძოლა და დამარცხება" (მიგელ უნამუნო), როგორც თანამედროვეობის სიმბოლოურ-ალეგორიული სახე, ქარაგმების საბურველში გაახვია.

ამბის ცენტრალური ფიგურა, ხუროთმოძღვარი არსაკიძე, მემოსა საკუთარი გამოცდილებით, განცდებითა და შიშებით და შექმნა ახალი მითი ხელოვანზე, რომელიც, მიუხედავად დიდი მინიერის სიყვარულისა, სულს სწირავს საკუთარ ქმნილებას, რადგან "ხელოვნება თვით სიცოცხლეზე მეტად შეყვარებულია". "შორენა ჩამოვიდა კედლიდან... სთხოვა დიდოსტას სული... ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოვლისთვის შენირა იგი". სწორედ ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მისთვის მეტი მხატვრული დამაჯერებლობის მისანიჭებლად დასჭირდა მწერლად ეროსის, როგორც ოპოზიციური კონცეპტის, გამოყენება. ეროსის უარყოფის გზით განვიტრებული ეს თვითშენიშნა რომანულ ხასხსაც გააძლიერებდა და თვით ღმერთთან შერიკნებულ არსაკიძის თავისუფალ არჩევანსაც მეტ ტრაგიზმს შესძენდა. თუ ამ ვერსიას გავიზიარებთ, უფრო გასაგები ხდება ქართული სიმბოლიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის, თავადაც ახალი მოდერნიზმის ტრანსლატორის, ვ. ვაფრინდაშვილის, აღტაცების მიზეზი, როდესაც მან მწერლათა სახლში რომანის წარდგენის დროს, გამსახურდიას ჯადოქარი უწოდა. ხოლო ის, რომ მოდერნისტული პრობლემატიკა გაიშალა ტექსტში, რომელიც წერის მეტ-ნაკლებად რეალისტური მანერითაა შესრულებული - სხვა მანერით კი კ. გამსახურდიამ მამის უკვე ვერაფერს დაწერდა - აპრობირებული იყო ისეთი დიდი მოდერნისტი მწერლის მიერ, როგორებიც იყვნენ თომას მანი, დევიდ ჰ. ლორენსი, რომლებმაც ენობრივი ექსპერიმენტების გარეშე შეძლეს სრულიად ახალი მხატვრული ამოცანების დასახვაც და შესრულებაც.

აქ ორივედ სიტყვა უნდა ითქვას მითოსის აქტივიზებასთან ქართველი მოდერნისტების დამოკიდებულებაზე. ახალგაზრდა მკვლევარი ო. ჯირკვალიძე კი პროზაიკოსთა წმინდა მოდერნისტული სამეფოს (გრ. რობაკიძე, კ. გამსახურდი, დ. შენგელია) წარდგენისას მეტად საგულისხმო აქცენტს სვამს: "XX საუკუნის ევროპული მოდერნისტული პროზა ნამდვილად არის მიდრეკილი მითოსობისაკენ (თომას მანი "სიკვდილი ვენეციაში", ჯოსი "ულიუსე", მაქს ფრიში "ჰომო ფაბერი" და სხვ.), მაგრამ ქართულ მოდერნიზმში მითმა სხვა განზომილება შეიძინა. ესაა მისი საკრულურობა და მისტიკურობა, რითაც იგი დაუპირისპირდა დესაკრალიზებულ და დემითოლოგიზებულ თანამედროვეობას. ვინაიდან რუსეთი ქრისტიანობას აქტიურად იყენებდა საქართველოში თავისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად, ქართველმა მოდერნისტებმა მიზნად დაისახეს მითის გაცოცხლება და ქართული წარმართობის აღდგენა... ქართულ მოდერნიზმში ევროპული მითოსურ-არქეტიპული სახისმეტყველება ნაციონალური პრობლემატიკა დაუკავშირდა" (ჯირკვალიძეული კრიტიკული-ანალიტიკური წერილები, 2022:42). ცხადია, ამ მოსაზრების ილუსტრირება უპირველესად კ. გამსახურდიას ადრეული წლების შემოქმედება. ცნობილია, რომ იგი მოდერნულ ეპოქას "მითოსის მოკლებულ დროს" უწოდებდა, რითაც მიანიშნებდა ღმერთის განმდევნელ ევროპაში ჩამოშორებულ დესაკრალიზებულ ატმოსფეროზე (კ.ბრეგამე, ქართული მოდერნიზმი, 2013:25). ამ "ნაკლებების" შესახებაც კი, და ესეც ცნობილი ფაქტია,

მწერალმა 20-იან წლებში სერიოზული შრომა გასწავლა. "დიონისოს ღიმილი" მისი შემოქმედების ანგარიშგასანევი მკვლევრები "ქართულ მოდერნულ სივრცეში მოდერნისტული ესთეტიკის თვალსაზრისით ყველაზე უფრო სრულყოფილ მხატვრულ ტექსტად" მიიჩნევენ (კ. ბრეგაძე, იქვე:25). თუმცა სოცერალიზმის კონტექსტში, როცა "დიდოსტატი" ინერგობდა (გავისხენით რას ამბობდა სოცერალიზმის შესახებ ბერის გროსი: " სოცერალიზმი არ ცდილობს მოეწონოს მასებს: მისი ამოცანაა, შექმნას ისეთი მასები, რომლებსაც იგი მოეწონება" - Gesamt kunstwerk Сталин, 2013) და როცა კ. გამსახურდია შეგნებულად დაადგა "ნაციონალური რევოლუციის" (ბელა ნინოფური) გზას, ამ მოცემულობაშიც ავტორმა შეძლო განხილვები, გარკვეულ პერიოდამდე კი შეენარჩუნებინა კიდევ, არა მარტო ქართულ მოდერნიზმში მითის გააზრების ზემოთ ნახსენებ პრინციპი, არამედ წამოენია "წმინდად მოდერნისტული პრობლემატიკა", რომელიც "მოდერნისტულ ეპოქაში თანამედროვე მოდერნისტი ხელოვანის ფუნქციასა და მისისა" (კ. ბრეგაძე, იქვე) ეხებოდა, და მას, შექმნილი კონტექსტის გათვალისწინებით, განსხვავებულ რაკურსით მიუვდა.

ხშირ ცხადია, რომ არსაკიდე ისეთ ხელოვნებას ეწირება, რომელსაც, ფარსმანის სიტყვებით, ცოცხალი არის გამოხატვისთვის მისივე ქმნილება აქ ქმნილებანი ერთ დროს სულს მოსიხოვენ. აქ შეიძლება გაგვიჩინდეს ერთგვარი ალუზია მოდერნიზმის წინამორბედ (ეს კი 1890 წელია) ტრაგიკული დეკუმანიზაციის, განადამიანურების ამასხეულ რომანთან "დიონისოს გრის პორტრეტი", რომელიც, სხვათა შორის, როგორც მიიჩნევენ, "ფაუსტის" პროტოსიუჟეტიკაა (ფაუსტი, თვით დროიანა გრია, სერ პერნი - მეფისტიფელი, სიბლა ვეინი კი - მარგარიტა). შემთხვევითი არ არის, რომ აღნიშნული ნივნი 1888 წლით დათარიღებული და ქრისტიანული ეპოქის დასასრულის დასაწყისად აღიარებული ნიცშეს ტრაქტიკატის "ანტიქრისტი. ნეყუდა ქრისტიანობას" შექმნიდან (გამოქვეყნდა 1895-ში) ორი წლის თავზე დაიჭედა. ესაა ნიცშეს უკანასკნელი პერიოდის ნაშრომი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გაბედული და, ვიტყვი, უკომპრომისო აზროვნების ნაყოფი, რომლის შემდეგ ძველებურად აღქმასა და წერას აზრიც კი ეკარგებოდა. უაღილდისეულ ესთეტიკაში კი, გამოხატულს ხელოვნების გადმორბეობაში, მისი სიცოცხლეზე მაღლა დაყენებაში, მეტიც, ცხოვრებისეულ პრინციპად ქცევამდე, რასაც უწოდეს კიდევ დეკუმანიზაცია-განადამიანურება. მართალია, არსაკიდე ხელოვნების ამპოხებელი სულის რეპრეზენტატორია და, მისი აზრით, "საბაქთი ვალია კაცისა, არა გლახურ ღმერთის ძიება, არამედ..." "უფლის მეტყველ" გახდომა (აქედან იაკობის ღმერთთან შეკრების სიმბოლო-ალეგორიული მოტივი, რომელიც, ფაქტობრივად, უწყვეტ ხაზად გასდევს არსაკიდის სულიერი ფორიაქს, ისევე როგორც მატერიის ქოხთან მებრძოლი ხელოვანის, როგორც ამ მოტივის პერსონიფიკირების (შედეგი), თუმცა მისი ეს სახელოვნებო ენება, ნიცშე რომ "გახლებას" უწოდებდა, რობაქიქემ კი სპეციალური ესე მიუძღვნა, განელეებული

საკუთარი კულტურის დედადარღვთან აქამდე ვერდარღვეული კავშირით, არა ყოველი ბიზანტიურით ინსპირირებული, არამედ, პირუტყ, მისგან დისტანცირებული, რაც, პირველ ყოვლისა, საკუთარი კულტურისადმი ღრმა რწმენას ეყარება. იი, ამ ადგილიდან უკვე შეიძლება ვისაუბროთ არსაკიდის მხატვრული სახის ავტობიოგრაფიულობაზე, უფრო სწორად, ავტობიოგრაფიული ქვეტექსტის არსებობაზე, რაც კონსტანტინე ვაგარსამიძესთან) იკითხება (შდრ. როსტანტინე ვაგარსამიძესთან). თუმცა ეს საკითხი ასე მარტივი, ცხადია, მაინც არ არის და ავტორის რეალურ ცხოვრებამდე არ დაიყვანება. აქ, როგორც რომანის ერთ-ერთი პირველი რეცენზენტი, აკაკი განერელია მიიჩნევდა, უფრო შინაგან ბიოგრაფიის ეხებთ (ა. განერელია, პროზაიკოსის გზა, 1939).

"დიდოსტატი" ხშირ ლავრენტი ბერიას მიერ სტალინიზმ რომანის დაწერისთვის მიცემული დღდაღონის ჩარჩოებში ინერგობდა. ეს დრო ორი წლით განისაზღვრება. მწერალმა იგი ასე გამოიყენა: ჯერ იყო "ხოვას მინდია", რომელიც 1938 წლის "მნათობის" №6-ში დაიბეჭდა ქვესათაურით - ნოველად ცილიდენა "ქართული ლეგენა", შემდეგ 8-9 თვეში დაწერილი "დიდოსტატი" და ბოლოს "ბელადის" პირველი ნივნი. თუ ამ გარემოებებს ვავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მწერლის მიერ აწერებულ შექმნილ შემოქმედებების ნიჭის ფლობის უწარი, საკუთარი მოწოდებისადმი ხელოვანის ერთგულება, მისი რეალიზებისთვის სულიერად და ფიზიკურადც შრომატევად საქმიანობაში მუდმივი ჩართულობა, გადაზრდილი ხელოვანის შრომის აპოლოგიაშიც კი ("კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმობლიოსა. უდიდესი საიამევე შეუდგება ვულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება"- აქ შრომისადმი დამოკიდებულების ბოლშევიკური პათოსის იგრძნობა, რასაც ე. წ. ჯავახიშვილი არ იზარებდა და ახალი ქვეყნის აღმშენებლობას "ნგრევის შენებას" უწოდებდა) ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მდგარი კ. გამსახურდიას სულიერი მდგომარეობის მხატვრულ სივრცეში პროექტირება, მისი კერძო ისტორიაცაა მწერალზე, რომლისთვისაც იქ და იმ დროს ეს შრომა ბედის დადევნის საშუალებად იქცა. ხელოვნება კი, რომელიც ამგვარად კონკრეტულ ფუნქციას შეითავსებს, უთუოდ განსხვავდება დემონური თუ სხვა ზეუნებური ძალების მიერ "ინსპირებული" მხატვრული პირობითობისგან. "დიდოსტატი" ხელოვნება მსხვერპლს ითხოვს, თუმცა ეს ხორციელდება არა თვით ხელოვანის სულიერი დეგრადაციის, მით უფრო, განადამიანურების ნიშნით, არამედ, სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, მათ უწოდებდა გასვლის ხარჯზე. პასუხი კითხვაზე, მაინც რა სტადიებს გადის ხელოვანი რეალურიდან ახალი სამყაროს სტრუქტურირებამდე, ქაოსიდან კარმონიულობამდე, უკვე ველობიდან სულის ემანაციაში, შეიძლება ვიპოვოთ ადამიანის პიროვნული ფორმირების ს. კირკვორისეული სამი სტადიის - ესთეტიკურის, ეთიკურისა და ლეთავტორიის - გააზრებაში, რამაც პირველად მის ნაშრომში "ან...ან" (1840) იჩინა თავი (ირ. ექნეშვილი). ეს ეტაპები არსაკიქეს ძალდაუხტანებლად მიესადაგება. საქმე გვაქვს ანალოგურ თუ არა,

მსგავს მახასიათებლებთან. ესთეტიკურის დომინანტურობის ხანა - ეს ადრეული სიჭაბუკის წლებია. იგი სხვადასხვა წყურვილის დაკმაყოფილებას ენიჭება (სილამაზის გაფეხტებმა, ქალის ძიება, მიღება და არა გაცემა). არსაკიდე წუხს დროის ამგვარი ფლანგვის გამო ("მე ღირსი არა ვარ ვიმეს ქუყვარდე... სიძვის დიაცებს დაფურივე შენდამი სიყვარული, გაძარცვული დავიბრუნდი სხვათა ქვეყნიდან"), თუმცა სწორედ მაშინ მიღებული შთაბეჭდილებები კვებავენ შემდეგ, ეთიკურ პერიოდს, რომელსაც წარმართავს გონიერება და ვალედიუმი პასუხისმგებლობა. ეს უთუოდ სწორი არჩევანის, როგორც ადამიანი პიროვნების მაკონსტრუირებელი ელემენტის, რეალიზების დროა. ამიტომაც "თუ ესთეტიკოსი დღევანდლობის ტყვეა, ეთიკოსი ჩართულია მომავლის პროექტში" და ა. შ. ამ ფორმულირებებშიც ვიპოვებთ არსაკიდის ტრანსფორმაციის ძირითად ნიშნებს, მის დამოკიდებულებას სექსუცხოველთან ("განა ქვაა სექსუცხოველი, ჩემო?"). მასთან, როგორც ძალიან ხელოვნების ნიმუშთან რეზონირების სულ უფრო მზარდ სურვილს. რაც გამკაცბა მესამე ეტაპს, აქ ფილოსოფოსისა და "გუშინდელი" ნიცშეანელი მწიფობის გზები იყრება. კირკველიან იგი ღვთისმადიებლობას, ღმერთის მიგნებას უკავშირდება, გამასაზრდასთან კი არსაკიდის, როგორც შემოქმედისთვის ორგანულ ხელოვნების გაღმერთებას, როდესაც უკვდავებასთან ზიარების ბედნიერება ხელოვნებაზე და მხოლოდ ხელოვნებაზე გადის. ასეთ შემთხვევაში კი ვგზისტენციის მთავარი ნიშანი ერთიკი ვერ იქნება.

თუ ამ პრობლემის ქრილში თვალს მივადევნებთ რეპრეზიებს გადარჩენილი კიდევ ერთი დიდი ავტორის, ვალაკტიონ ტაბიძის, შემოქმედების ყველაზე პროდუქტიულ ეტაპს (1909 წლით დათარიღებული ელექსიად "ხელოვნება" 1919 წელს გამოცემულ) არტიტულ ყვავილებამდე", რომლის გვირი ასევე ფაუსტიურია), დავინახავთ, რომ ამ სრულიად ახალი ტიპის პოეტმა, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი მანიფესტებისა და ეპატაურობის გარეშე (აქ ის ჩანს რა საკუთარ დღიურში: უარყოფის ხმაური დიდ პოეტს არ უხდებო), შექმნა არა მარტო ახალი ფორმა, ახალი მხატვრულ-სახელოვანი სისტემა, ახალი ინტონაცია, არამედ ერთ-ერთმა პირველმა ქართულ პოეტურ სივრცეში მიაგნო ახალ პოეტებს, რომელიც მიდრეკილია თვალის დახამბობებზე ხელოვნების ავტონომიზაციის სტრატეგიას, ანტიმიმეტურობას და "ხალხისა და წმინდა პოეზიის შეთავსებლობის" იდეებს ფეხნებოდა. ამასთან უპირატესობა შეიძინა ხელოვნების თუნდაც უთავიერ განსაღმეღმელების შედეგად მიღწეულმა ექსტაზმა, რასაც ვალაკტიონმა არაერთი გენიალური სტრიქონი უძღვნა (ამ მხრივ ყველაზე სრულყოფილი მაინც "მთაწმინდის მთავარა"). ძნელი არ არის ხელოვნებისადმი მის ამ დამოკიდებულებაში კ. გამასაზრდაის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ პოზიციასთან მსგავსება დავინახოთ.

ეროტოლოგი მიხეილ ეპშტეინი წერს: "უსქესო რელიგიზმს ნიცშეანური "დიონისური" და დისტონიკური ექსტაზის" ტანჯვის" ფაფარაყრილმა ტალღამ მთელ ევროპულ კულტურასთან ერთად სწორად რომ კანტიანურ-გოგოლისეული კასტრაციის ფონზე გადაუარა" (ეპშტეინი, სიყვარული, 2018:404). ეს

კი იმას ნიშნავს, რომ XX საუკუნის მოდერნიზმა ახლებურად გაიაზრა ჩვენთვის სინტერესო ეროტიზმის კონცეპტიც. ერთობლივ იქცა გაშიშვლებული სულის მგრძობლობის ერთგვარი საზომად (როგორც რომანტიზმის ხანაში ახალგაზრდა ვერტუის მიერ ლოტეს თითებზე შეხება ან ბარბატიკოსის მიერ ყაბახზე გასართობად მოსული მშვენიერი ქალის წამით აწეულის კაბის კალიტიდან მისი "ფეფებისთვის" თვალის მოკვრა და სხვ.). ზიგმუნდ ფროიდის პანსექსუალიზმის ფონზე ერთობლივ განისაზღვრა, როგორც სხვისი სურვილის და არა სხეულის დაუფლებისკენ სწრაფვა (მდრ. დონ ჟუანს, რომლისთვისაც მთავარი არა სხვისი სხეულის ფლობა, არამედ საკუთარი სურვილის შეგრძნების წამი). აქედან, განსხვავება სექსუალიზმისგან, რომელიც ტაბუს არა დაცვის, არამედ დარღვევის ფორმაა. ეროსის, რომალ პერიოდში კი ამურის, იგივე კუპიდონის ატირბუტებია: მშველდ-ისარი, ჩირაღდანი, ღირა, ყვავილი, დელფინი. აფრდიტის თანადგომით შეგუღლიანებული ეს მშვენიერი ფრთიანი ბიჭუნა, ხანაც ტაბუზე, დიდი ფიქრისა და ყოყმანის გარეშე ხან ვის აირჩევს მსხვერპლად და ხან ვის. მწერლის აზრით, "იგი ნადიშტეს უფრო ეტანება, ვიდრე ქვის სახელოვნობის", ამიტომაც "მოცლილებისა და ზარბატების დევაებად" უფრო გამოდგება, ვიდრე თვით-გამოხატვის ყინით შეპყრობილი ხელოვნის მუხად, მის ორიენტირად. ეროსიც აცდუნებს, ცელკია და დიდგრომელიც (ჩვენ მიერ უკვე ნახსენები "ნადიმის" მიხედვით კი, ეროსი დემონიცაა, რადგან ყოველივე დემონურს შალეულიერ ადგილი უჭირავს ღმერთსა და კაცს შორის), მაგრამ იგი მაინც შორსაა სატანისგან. ამას ვერც მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი, ანუ ერთგვარი ორსახოვნება ცვლის. "დღოს-ტატის" ავტორიც სწორედ ამ ორსახოვნებაზე აგებს თავის დამოკიდებულებას სიყვარულის ამ დეტაბინადმი, რომელიც "სულნასული დედისა და უჯიათი მამისგან" ანუ შორისისა და პენისაგანა წარმოობული (აქ გამასაზრდაი სიყვარ-სიტყვით იმპორებს ეროსის, იმავე ერთობ, წარმომავლობის პლატონისეულ ვერსიას). მწერალი მის ხან ირონიულად მოიხსენიებს, ხანაც შეხარის. ამიტომაც რომანის სხვადასხვა ფურცლებზე თავს იჩენს სხვადასხვა შეფასებები. მაგ., ვარდისაბარის ნიკაპზე ოდნავ ჩაზნექილ ღრმულ ეროსის ტვიფარს უწოდებს, სხვაგან ცხვენზე ამხედრებულ შორენას მოისარ ეროსს ადარებს, ხოლო მამამზე ერისთავის ციხის გაღავანზე ავად მოთრეულ შორენასივე საწმერთული, რომლის მცხეთაში ჩამოტანას გირმულ ერისთავი და ორი ათასი მონა-სპა შეენირა, ერთგვარული ენერჯის დროშად წარმოგვიდგენს.

სიახლობის პოეტიკაზე საუბრისას ხშირად მიაწინებურ ავტორთა მიერ შეყვარებულთა ნივთებზე ყურადღების გამახვილების ტრადიციაზე, რომელიც კლასიკურ ლიტერატურაშია წარმოდგენილი. ვაკვირსენით თუნდაც "ვეფხისტყაოსანი" (ნესტლიის რიდე და ყაბაჩა, ტარიელის სამკაფური, ავთანდილის მარგალიტის ხელსაბამი და სხვ.). რ. ბარტი ვოევის ვერტურზე საუბრისას უარყოფდა ამგვარი ღრმად მონოლოგური ფეტიშების არსებობის თვით შესაძლებლობასაც კი სიყვარულის სამყაროში, რომელიც, მისი აზრით, გრძობობათა სიღრმით გამოირჩევა, აბ-

სტრატეგულია და გამოფიქვლილიც კი, ამასთან, მოკლებულია აფექტურ დატვირთვებს, "ჩემი მზერა არ ჩერდება ამ ნივთებზე და არც მათ მაცდუნებელ ძალას აღიარებს. მე უგრძობნი ვარ ამ გვარი მგრძობნი-ბელობისთვის, რადგან არსებობს მხოლოდ "საყვარელი სხეულის" მგრძობილობა". ვინაიდან "დიდოსტატი" თავისი სულისკვეთებით მოდერნიზმის ნიშნებითან ერთად "ფეფხისტყაისნისადაც" თავის მიკერძოებულობას ამჟღავნებს, ანუ ორივე მიმართულებით საგულისხმო რემინისცენცირებას ახდენს (მაგ. შორენა ნესტან-დარეჯანის მხატვრული სახითაა შთავიზებული: ორივე წინააღმდეგობრივი ხასიათით გამოირჩევა, სინაზე, დახეწილობა ენათესავება ემოციურ აფექტებასა და ლამის ვაუკაცურ სიმამაცეს, პირველის ტოტემი - ირემია, მეორის - ვეფხვი), რომანში სიყვარულის პლატონისეული განცდაც იკვეთება, თუმცა იგი რუსთაველის მიჯნურობის წინააღმდეგ ვერ ადის, რადგან განწირულია და პირველობას ხელოვნებას უთმობს. შესაძლოა ამიტომაც, რუსთაველური "ჩუქების არმონყენის" ნაცვლად, კ. გამსახურდია დიდი მგრძობილობით აღწერს არა მარტო შორენას გამორჩეულ სამოსს ან შეყვარებულთა განმარტოების სცენებს, მაგ. არსაკიძისთვის თავზე ხელის "უნყიანი" გადასმას ("შეკითხა არსაკიძე. მე-ბნის ნაპერქსკალირით დაუარა სხეულში ამ ხელისგან მოგვიროლმა ჟრულოამ..."), არამედ შეღამებულზე საყვარელი ქალის ნდომითა და ვერმინდომის სევდით მივლიანად მოცულ მცხეთის სანახებს. და ეს ხედვა ყველგან აქარად ეროტეკულია.

როგორც ვიცით, შორენასა და არსაკიძის სასიყვარულო ურთიერთობა გვიან გაღივიბულ გრძნობას ეფუძნება. გუმინდელ ძუძუმტემში, მეტიც, დობიშვილ ნაძობისთვის ყველაზე სასურველი ქალის აღმოჩენა მეფის ხუროთმოძღვრისთვის დიდი სულიერი და ფსიქოლოგიური გარდატეხის ტოლფასია. ყველაფერი იწყება ნაცნობი სახის ხელახალი აღქმით, "სიყრმის მეგობრის" თავიდან შეცნობით, იმის თანდათან დაჯერებით, რაც ჯერ კიდევ გუმინ დაუჯერებელი ჩანდა, ანუ მკითხველი, როგორც გალავტონი იტყოდა, პერსონაჟის "ალტაცების ზღვაში" საბედისწერო შესვლის მოწმე ხდება. მწერალი შორენას ფრესკულ პორტრეტს იძლევა, აქცენტს სვამს მის ქერუბიმულ სინაზესა და ხევისბრების დროებზე გამობმული ზანზალაკებივით წკრიალა ხმაზე ("ახლა უკეც დობიშვილს ხმა როდის იყო ეს, არამედ ძაბილი ქალის..."), რაც ლეთისმშობლის, მარიას, ბეატრიცეს, მონა ლიზას მიუწვდომლობასთან ასოცირდება. ახლოს მყოფი "გულისმიჯნულის" მუდმივი სიმორე, იგივე მიუწვდომლობა - ასეთია სატრფოს ავტორისეული აღქმა. ამიტომაც არსაკიძისა და შორენას ურთიერთობის ეს მონაკვეთიც ეროტეზმის სიყვარულში გადაზრდის ნიშნითაა აღბეჭდილი. სიყვარულის აპოლოგია, "პიროვნების სტრუქტურის გამანაზნანორებელი არქეტაიპი: სიკვდილი-სიყვარული". იგივე ერისი-თანატოსის ურთიერთმიზიდულობა, აქ ნიცშესა და ფროიდის მოსაზრებებითაა ინსპირირებული. მეტიც, რომანის ტექსტში შეგხვდებათ ამ საკითხზე მათი გამონათქვამების პერიფრაზის დონეზე გადმოტანაც კი. მაგ. ნიცშე: "სიყვარული და სიკვდილი ერთმანეთს ეთიხვება სამყაროს გაკრინის დღიდან. გიყვარდეს - ეს ნიშნავს სიკვდილისთვის იყო

მზად"; არსაკიძე: "ვისაც ოდესმე სიყვარული გამოუცდია, მას უგემნია თვით სიკვდილი". და ეს ხდება სტალინიზმის შავნებულ ხანაში. აი, რას ნიშნავს სათქმელის მხატვრულ სამოსში შეფუთვის უნარი (ქა-რე გაშვალად თქმა, ალერსობრივად), თვით ყველაზე ცბიერი ცენზორის სიტყვით მიხიბვის ძალა, რომელიც კ. გამსახურდიას ნამდვილად აღმოაჩნდა.

უკვე 1921 წელს შექმნილ და მოდერნიზმის მწვერვალად მიჩნეულ "ულისეს" ავტორმა, ჯოსია, რომელიც, სხვათა შორის, მშობლიურ ირლანდიას საკუთარი შვილების შთანთქმელ დედალორს უწოდებდა, ინატრა ისტორიის ურჩხულისგან თავის დაღწევა, რაც შეძლო კიდევ. მსგავსი გზა გაიარა თომას მანნაც. კრიტიკოსთა ზრით, მან დაძლია ნაციონალიზმი და საკუთარ ნიჭს, მოვლენათა წინასწარგანჭვრეტის უნარს ბევრად უფრო ფართო თვალსაზრისით გაუფხვრა, რამაც, და ეს საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, მისი სამშობლოს თვითრევენიერაციის უნარ-მაც შეუნყო ხელი. კ. გამსახურდიამ კი, რომელმაც ევროპული ორიენტაციის მქონე XX საუკუნის დასაწყისის შესანიშნავ შემოქმედებით ახალთაბასთან ერთად ცივილიზაციის ნაცვლად ბოლშევიზმის ბნელეთში ამოყო თავი, სადაც მიხილ ბერგის შეფასებით, "ხელისუფლება განსაზღვრავდა არა მარტო ამა თუ იმ ტექსტის წარმატებას, არამედ ნებისმიერი ლიტერატურული ჟესტის მნიშვნელობასაც" (ბერგე, ლიტერატურაკრატია. ძალაუფლების მისაკუთრებისა და გადაწინაღობის პრობლემა ნაცურ-ტურაში, 2000), შემოქმედებითი აღმასვლის ნაცვლად დაღმასვლა განიცადა, ანუ სხვა სიტყვებით, თუ თომას მანნა ოჯახური რომან "ბუდენბროკებიდან" (1901) "ჯადოსნური მამადე" (1924) დინებულებათა გადაფასებითა და პიროვნულ-შემოქმედებითი სრულყოფის ურთულესი გზა გაიარა, კ. გამსახურდიასთან ყველაფერი პირუქუ ნარიმართა: პირობითი "ჯადოსნური მამადე" პირობით "ბუდენბროკებამდე". ერთადერთი გამართლება, რაც ამ "უკუსვლას" შეიძლება ჰქონოდა, ის იყო, რომ ისტორიამ შესვლა არა მარტო საკუთარი თავის, არამედ მესხინების ნაშლისა და კულტურის საყოველთაო წგრევის საფრთხის წინაშე მდგარი თანამემამულეების გადარჩენის ქმედით საშუალებად იქცა. ისტორიულმა თემ-ტიკამ თვით მწერალი შიშისგან გაათავისუფლა, თემ-ცა ბოლომდე, ალბათ, ვერა (ირ. კენჭოშვილი). თანაც გამსახურდიასეულ ისტორიზმს ორგესული მახვილის ეფექტი აღმოაჩინდა. მომდევნო რომანი "დავით აღმაშენებელი", ერთი მხრივ, ბოლშევიკური ბანგისგან თავდაღწევის ეფექტური საშუალება იყო, თმცა, მეორე მხრივ, იმა აღუწვდა ჩვენზე ნარსულის კრიტიკულად შეფასების პათოსს, ასე ვთქვათ, ხუჭავდა ჩვენს "მარცხენა თვალს". ფიზიკური გადარჩენისა და ყველა შემოქმედისთვის აუცილებელი სოციალიზაციის ფასს საკმაოდ დიდი გამოვდა. ხელოვანს, რომელმაც ევროპის ცივ ქალაქებში დიდი ცოდნა თავისუფლების სახელით თვით ამ თავისუფლებისთვის დაეჯოგა, მისი გახარჯვა და ისიც არასრულად "წითელყაბალახიან საქართველოში" (კ. გამსახურდია) მოუხდა, სადაც მწერლობის ბედი სერიოზულად გადატყდა. "დიდოსტატი" კი იმითაცაა საგულისხმო, რომ ამ გადატყდომის სიროულესა და ტრაგიზმს წარმოაჩენს.

ზედი სმითი

ჩარლზ დიკენსის მკვლელობაზე

ინგლისურიდან თარგმნა ია ჯაჭვლაძემ



ჩემი ცხოვრების პირველი ოცდაათი წელი გავატარე მეტროსადგურ უილსდენ გრინიდან ერთი მილის რადიუსში. მართალია, კოლეჯში ვსწავლობდი - ცოტა ხნით ისტ ლონდონშიც კი გადავედი - მაგრამ მცირე შესვენებები იყო; მალევე დაფურუნდი ჩემს პატარა კუთხეს ჩრდილო-დასავლეთ ლონდონში. შემდეგ უეცრად, სრულიად მოულოდნელად, არა მხოლოდ ქალაქიდან, ინგლისიდანაც წავედი - ჯერ რომში, შემდეგ ბოსტონში, ბოლოს კი ჩემს საყვარელ ნიუ-იორკში, სადაც ათი წლით დავჩრჩი. მეგობრები რომ მეკითხებოდნენ, ქვეყანა რატომ დავტოვე, ხანდახან ხუმრობით ვუპასუხებდი: რადგანაც არ მსურს, ისტორიული რომანი დავწერო. ალბათ, ყველა ვერ, მაგრამ სხვა ინგლისელი რომანისტები აუცილებლად მიხვდებოდნენ, რაც ვიკულისხმე. და უფრო გასაკები მიზეზებიც არსებობდა. ჩემი ინგლისელი მამა გარდაიცვალა. ჩემი იამაიკელი დედა სასიყვარულო ურთიერთობამ განაში წაიყვანა. რაც შემეხება მე, დავქონინდი ირლანდიელ პოეტზე, რომელსაც მოგზაურობა და თავგადასავლები უყვარდა, დაბადების ადგილი კი, კუნძული, თვრამეტი წლის ასაკში დაეტოვებინა. ინგლისთან, თითქოს,

ალარაფერი მაკავშირებდა. ვერ ვიტყვი, რომ ლონდონი ყელში ამომსვლოდა - არა, ჯერ არ ვიყავი "სიცოცხლით დაღლილი", როგორც სემუელ ჯონსონის ცნობილ გამონათქვამშია; მაგრამ ლონდონის კლასტროფობიულ ლიტერატურულ სივრცეს ნამდვილად დავექანცე - ან იმ როლს მაინც, რომელიც განესაზღვრათ: მულტიკულტურული (ყავლგასულია) ვუნდერკინდი. მეც წავედი.

არაერთი ექსპატის მსგავსად, დაბრუნებაზე ჩვენც დავფიქრდით. საზღვარგარეთ უამრავმა ფაქტორმა დაგვტოვა, უმთავრესად, ბავშვთან დაკავშირებულმა სირთულეებმა და მალევე დამკვიდრებამ. დროდადრო მაინც გვიტევედა სინანული და ნოსტალგია - ორი მწერალი დასტიროდა, რომ თავიანთი ნაწერების სათავიდან ძალიან შორს გამგზავრებულიყვნენ. ბოლოსდაბოლოს მწერალი, შეიძლება, სიკვდილამდე ფვსვებს იყოს მონყვეტილი... თავი რომ გვეწუგებინა, ხანდახან პირიქით ვიქცევოდით. ვიტყოდით, წარმოვიდგინოთ ირლანდიელი მწერლები - წარმოვიდგინოთ ბექეტი და ჯოისი; იხილეთ ენა ო ბრაინი; იხილეთ ქოლუმი და ქოლმი! განა სამივე ათასობით მილით დაშორებულ სახლზე

არ წერდა? ეჭვი ისევ შემოგვეპარებოდა (ირლანდიელი ყოველთვის უჩვეულო შემთხვევაა). და ფრანგი მწერლები? კარიბული მწერლები? აფრიკელი მწერლები? ამჯერად მონაცემები ნაკლებ სანამწეუნო ჩანდა. ამ ნართალში იმ ფაქტს ვეჭვდებოდი, რომელშიც ეჭვი არ შემპარვია - ნებისმიერი მწერალი, რომელიც რაღაც დროით მაინც ცხოვრობს ინგლისში, ადრე თუ გვიან აღმოაჩენს, ნებისით უნებლიეთ, ისტორიულ რომანს წერს. რატომ ხდება ასე? ხანდახან ვფიქრობ, ნოსტალგიის მარყუჟია ძალზე პატარა და ვინორ. ინგლისში, მაგალითად, დღემდე არსებობენ ადამიანები, რომლებიც პროუსტის ცრემლებით მისტირიან Spice Girls-ს ან მინი-დისკს, ან ტელეფონის ჯიხურებს - სულ ესაა; და ეს აისახება ჩვენს ლიტერატურულ კულტურაზე. ფრანგებს სჩვევიათ, პირდაპირი მნიშვნელობით გაიგონ ტერმინი *nouveau roman*, ხოლო ინგლისელებს, ასე მგონია, შინაგანად აჯადოებთ წარსული. "მიდლმარჩი" კი ისტორიული რომანია! მიუხედავად იმისა, რომ დიდწილად ინგლისელი ვარ, წინ აღვუდგე ფორმაზე შექმნილ მცდარ წარმოდგენას, სტუდენტობის დროიდან რომ მსმენოდა, როდესაც ვიზარებდით განმარტებას - ისტორიული რომანი ესთეტიკურად და პოლიტიკურად კონსერვატიულია.

თუ აიღებთ რომანს და აღმოაჩენთ, რომ ბოლო ასი წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეიძლება დაწერილიყო, მაშინ ეს რომანი იმას არ გამოხატავს, რასაც ამბობს, რომ გამოხატავს, ასე არაა? მართლაც, რომანის დემ მოითხოვს, იყოს ახალი. ყოველთვის ასე მეგონა, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ სტუდენტური არგუმენტების დამაბნეველი ლოგიკა წნეხში აღმოჩნდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჟანრის რამდენიმე შთამბეჭდავი ნიმუში ნაეკითხე. მარგარეტ იურსენარის "ადრიანეს მოგონებები" ლათინურად არ არის დაწერილი; ჩემი მეგობრის, დანიელ კელმანის, "მსოფლიოს აზომვა" ძველი გერმანული არ შექმნილა. "ვულვ პოლის" ენასაც კი თითქმის არაფერი აქვს საერთო ტიუდორებისეულ სინტაქსთან - სულით ხორცამდე მანტილისეულია². სამივეს სიახლე შემოაქვს. ყველა ისტორიული რომანი არ აცოცხლებს საკუთარ ეპოქას, წარსულის კვლევაც მისი ზედმიწევნით მიბაძვა არ უნდა იყოს. წარსულს შემსწავლელის თვალთახედვით უნდა უყურო, კითხვები დასვა, ცოტა იეშმაკო და ისტორიული პროზა სრულიად გარდაქმნის თქვენს წარმოდგენას არა მხოლოდ წარსულზე, არამედ აწმყოზე. ეს აზრები ახალი არაა მათთვის, ვინც დიდი ხანია, ისტორიულ პროზას ეტრფის, მაგრამ ჩემთვის სიახლე იყო. გადავდე იდეოლოგიური უწყაყოფილება. გამიბართლა და დამეხმარა, რადგანაც დაახლოებით 2012 წელს მეცხრამეტე საუკუნის ერთ ამბავს წავაწყდი და მაშინვე მივხვდი, ჩემთვის საინტერესო საკითხი იყო; 1873 წლის სასამართლო დავას ეხებოდა, ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ დავას - ართურ ორტონი, უოფინგელ ყასაბი, ამტკიცებდა,

რომ იყო დიდი ხნით ადრე დაკარგული სერ როჯერ თინზონი, დაუთო-თინზონის მამულის მემკვიდრე, რომელიც, სავარაუდოდ, დამხრჩავლიყო.

თინზონი კლემენტის³ - ამ სახელით გახდა ცნობილი - საქმე იმ დროს გახმაურებული პროცესი იყო, რადგანაც აღმოჩნდა, რომ კლემენტის მთავარი მოწმე და შეუპოვარი დამცველი იყო იმათიველი ყოფილი მონა, სახელად ენდრიუ ზოგლი, რომელიც თინზონებთან მუშაობდა და ამტკიცებდა, რომ სერ როჯერი ამოიცნო. ახლა შესაძლოა, ფიქრობდეთ, რომ 1873 წელს დარბიი შაკენიანის სასამართლო ჩვენებას საყოველთაო უნდობლობით შეხედებოდნენ, მაგრამ ბრიტანულ საზოგადოებას, როგორც მის მონათესავე ამერიკულ ხალხს, გაოცება სჩვევია - რადგანაც ნახეს, ამდენ მშრომელ განსასჯელს ბურჟუა ნაფიცი მსაჯულები, იტონელი ადვოკატები და არისტოკრატი მოსამართლეები ჩაგრავენენ, ყველა მზად აღმოჩნდა, დაედასტურებინა დარბიი კაცის განაცხადი, რომ მდიდარი გახლდათ. სასამართლო დარბაზი გააცნო ხალხს უზარმაზარმა ტოლამ - სურდათ, ენახათ, ერთ-ერთი მათგანი როგორ იმარჯვებდა... ერთხელ მაინც (ახირებაა, ალბათ, მაგრამ ი ჯვის⁴ სასამართლო გავაგახსენდება). ბოგლი და მისი ყასაბი ეროვნულ გმირებად იქცნენ.

ამ საკვირველმა ამბავმა ისე გამაოცა, თითქოს, ხელოვნების ნიმუში აღმოჩენინა - ზედგამოჭრილი იყო ჩემი მიზნისთვის. მწერალი ხავეაროსაც ასეთ საჩუქარს ცხოვრებაში ერთხელ იღებს. მას შემდეგ რვა წელი დამჭირდა, სანამ ბოლოსდაბოლოს საშუალო მაგიდას მივუვლდებოდი და ყუთს გავხსნიდი. ამასობაში ძალისხმევა არ დამიშურებია, რომ ჩემი ისტორიული რომანი არ დამეწერა. ამერიკაში დავერჩი, ბრიტანული ბიბლიოთეკებისა და სასამართლო ჩანაწერებისაგან შორს. კიდევ ერთი შვილი შეგვეცინა. კიდევ თოხი ნიგეი დავწერე. ყველაფრის მიუხედავად, თემას ძველებურად ვუტრიალებდი, როგორც ადღევეებული ქალი - გაცნობის პელიკაცას, თითის მარჯვნივ გადასამ რომ მაინც ვერ გაუბეჭდა. ნავიკითხავი ისტორიულ წიგნებს, შენიშვნებს ვიწერდი, მოუსვენრობა მომეძახლებოდა და იღვას ისევ საკულდავლოდ ვივიწყებდი. ისევე არ მინდოდა, ისტორიული რომანი დამეწერა. ის შრომა მაშინება, რომელსაც საქმე მოითხოვდა. ეს სადარდებელი ჩემი ნიუ-იორკელი მეზობლის, ზემოსხენებული დანიელ კელმანის, დამეკვირვებას არ შეუმსუბუქებია - ვხედავდი, რამდენს კითხულობდა კიდევ ერთი ისტორიული რომანი-სათვის, "ტილი", რომლის მოქმედებაც მიმდინარეობს გერმანიაში ოცდაათწლიანი ომის დროს. ამ საქმით იყო დაკავებული ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მოედანზე, მისი შვილები კი ჩვენებთან ერთად თამაშობდნენ. ამ საქმით იყო დაკავებული პარკის ქელსკამზე. ამ საქმით იყო დაკავებული ბიბლიოთეკებში. თითქოს, ხუთი წლის განმავლობაში დღე და ღამე ამ საქმით იყო დაკავებული. რო-


2 ივლისისმება ბრიტანელი მწერალი ჰილარი მანტელი.
 3 (ინგლ.) Claimant - მოლაპარაკე სახელი; ინგლისური სიტყვა claimant ნიშნავს პრეტენდენტს.
 4 ივლისისმება ო. ჯ. სიმპსონი.

ცა ვკითხავდი, საქმე როგორ მიდიოდა, მიპასუხებდა, რომ დაქვაცულიყო და მთელი ცხოვრება ამაზე რთული არაფერი გავიკეთებინა: "ისეთია, სადოქტორო და რომანი ერთდროულად რომ წერო. იმდენი ჩანანერია!" მოსმენილმა არ მომიხილა. საერთოდ, შენიშვნებს არ ვინერ. ვვკვდი. ვწერ რომანს. მაგრამ ამ ვითომრომანმა, რომლის დაწერასაც ვუარობდი, უჯრა ჩანანერებით გამომივსო, თარო კი - ნიგნებით. გავიფიქრე: შესწავლა დასურულა. გავიფიქრე: თუ დაუშვებ, შენს ყველაზე ბნელ, ყველაზე ენამჭვერ, ყველაზე დიკენსურ ინსტიტუტებს გააღვიძებ. თინბორნის საქმეში ყოველი ნასკვის გახსნას მიყავინ მეცხრამეტე საუკუნის კიდევ ერთ დიდებულ ორნამენტთან, რაც კიდევ უფრო მეტი ნიგნის შეკვეთასა და ჩანანერებითათვის კიდევ ერთი საქალაღის შექმნას ხილდა საჭიროს. ოჯახში ყველას ყველში ვყავი ახლოვლი: "იცოდი, რომ 1848 წელს..." გავიფიქრე: ზედი, შენი რომანები მაშინაც კი საკმაოდ დიდია, როცა არაფერზეა! რა მოხდება, როცა უშუალოდ ფაქტებზე დაინჯე წერას? შეეშვი, სმით, შეეშვი!

ამ მღელვარებას დიკენსის დიადი აჩრიდნი ჩამოსწოლოდა. იყო ჩემი ხნის, ნაკითხი, ინგლისში დაბადებულნი, ნიშნავს, აღიზარდ გულივამანაწილებლად გოლიათური გავლენით. დიკენსი იყო ყველგან. ის იყო სკოლასა და სახლის თაროებსა და ბიბლიოთეკებში. მან გამოიგონა შობა. ის იყო პოლიტიკოსი, გავლენა იქონია შობის კანონმდებლობაზე, საგანმანათლებლო კანონმდებლობაზე, საავტორო უფლების კანონზეც კი. ის იყო მუშათა კლასის პირველი გმირი, ჩვენს ერეთ წოდებულ ღვანლმოსილთა ბრწყინვალე სიმბოლო, გართულებ "ინგლისური მემკვიდრეობის" ტურისტული ინდუსტრიის სამეფო რეგალია (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი გარდაცვალების შემდეგ ამ სახელით მანიპულირებს ბრიტანელი საზოგადოების სხვადასხვა სექტორი, რათა პოლიტიკური ქულები ჩაინეროს). ის იქაც იყო, სადაც მსურდა, რომ ში ვყოფილიყავი: თეატრში, იტალიაში, ამერიკაში. მისი ნიგნების სატელევიზიო ვერსიები ტრიალებდა - ისიც ფაქტია, რომ, უპირველეს ყოვლისა, დიკენსის დამსახურებით გვაქვს პრესტიჟული სატელევიზიო მინისერიალები; და წყეულ "მაფეთ შოუშიც" იყო და მთელი პოლიეუდის გაცნობიერებულ ადატაციებზეა თუ გავცნობიერებულ ნაქურდალშიც. ბავშვობაში ძალიან ბევრი ვიკითხე დიკენსი; რაც გავიზარდე, მასთან მიმართებით ჩვეული ეჭვი და წინააღმდეგობა მანუხებს - ზედმეტად სენტიმენტალურია, ზედმეტად თეატრალურია, ზედმეტად ზნეორივია, ზედმეტად მოზომილია - მაგრამ სრულად მაინც ვერ მოვახერხე, ამ უხერხული გავლენისათვის დამეღნა თავი, რაც ძალიან მინდოდა. ეს ბედი ენია ჩემს ფარულ კვლევასაც. მეცხრამეტე საუკუნის ლონდონში, სადაც უნდა აღმოვჩენილიყავი, დიკენსს ვვფიქროვდი. მთავარ თემებში, საძიებლში, ფრჩხილსა თუ ფრჩხილს ვართ - ყველა გზა ჩარლთან ბრუნდება. მაგონი, მეცხრამეტე საუკუნეში ისე არაფერი გაკეთებულა, დიკენსი არ ყოფილიყო გართული. ჩემთვის ვიჯექი, ვკითხულობდი, ვთქვათ, იამაჟის აჯანყების შესახებ და აი, ისევ მას ვხვდე-

ბოდი - ხელს აწერდა ამ საკითხთან დაკავშირებულ კვლევას. ვკითხულობდი დიდი ხნის წინ გარდაცვლილი და ყველასგან დაავიწყებულ მწერალზე, უილიამ ჰარისონ ეინსუორთზე, რომელსაც ჩემ მეზობლად ეცხოვრა, და იქვე იყო დიკენსი, მას უმეტესობად ვხვდებოდა. ვკითხულობდი ნიგნს ამერიკაში მონობაზე და სქოლიოში მის სახელს აღმოვაჩინდი! დავაკვირდი, რომ ასეთ დროს ნამდვილი გიგანით ვამბობდი: ოჰ, გამარჯობა, ჩარლზ! მერე დაინვით კარანტინი და მეც, როგორც ყველა სხვამ, ცოტა გავაფრინე. უილიამ ჰარისონ ეინსუორთის ყველა ტირაჟირებული რომანი ვიგდებ ხელთ (ორმოცზე მეტი დაუწერია, მათი უმეტესობა საშინოვანაა). განსაკუთრებით დამაინტერესა უილიამის შინამოსამსახურემ, ქალმა, სახელად ელიაზა ტუმემ. ვერ ვივითყებდი რაგორც იმ პლანტაციას, სადაც ენდროუ ბოგლი დადგინდებოდა, ჰოფე ისეთის, ისე ინგლისისა და იამაიკის უღმობელ კავშირს. რამდენიმე ნიგნი წავიკითხე თინბორნ კლიმენტზე და ბევრი ვიფიქრე თაღლითობაზე: გაყალბებულ ვინაობაზე, გაყალბებულ ახალ ამბებზე, გაყალბებულ ურთიერთობებსა და გაყალბებულ ისტორიაზე. როდესაც ცვდილობდი, ამეხსნა, როგორ უკავშირდებოდა ეს ყველაფერი ერთმანეთს, ვერაფერი ხვდებოდა, რომ ისტორიულ რომანს ვწერდი; დაასკვინდინენ, რომ სრულიად დამკარგვოდა სიუჟეტი და იქნება, ხელახლა აღმოვჩინა ის. რომანს დავარქვი "თაღლითი". შემდეგ, 2020 წლის მაისში, როდესაც ბოლოსდაბოლოს კლავიატურას მივუჯექი, ინგლისში ვაღმოვადი, სწორედ რომ დროულად - ბრიტანეთში კარანტინი დაიწყო.

საქმე არაფერი მქონდა, არსად მექარებოდა; წესად მექცა, მოძმე ბრიტების მსგავსად, ქუჩებში მესვინრა, მაგრამ სხვაობა ის იყო, რომ ჩემი მზერა მალაზიებს საცდებოდა - სწვდებოდა ლავგარდნებს, კარნიზებსა და საკვამურებს... მეცხრამეტე საუკუნეს, რაც, თუ კარგად დავაკვირდებოდი, მთელი ჩრდილოდასავლეთ ლონდონი. ვსტუმრობდი ადგილობრივ სასავლაოებს. ვიპოვე უილიამ ეინსუორთისა და ელიაზა ტუმეს საფლავები, შემეძლო, რუკაზე მეჩვენებინა თინბორნ კლიმენტის საფლავი, ასევე ქინზ ჰერისის კუთხე, სადაც ზოგს ამოხდა სული. 2020 წელი იდგა, მაგრამ გონებაში 1870 წელი გამეფეხულიყო. სრულიად დავგნებდი: ისევ ინგლისში ვიყავი და ისტორიულ რომანს ვწერდი. ახლა ჩემი დირსება ერთადერთ პრინციპზე იდგა: არავითარი დიკენსი. ეს, სულ მცირე, ნიშნავდა შემდეგს: არავითარი ობლები, არავითარი უსარგებლო დიკენსური აღწერები, და არავითარი შემთხვევითი ქალბატონები, სახელად მისის სპაიტილი ან ლაჩრები, სახელად მისტერ ფარფინტი ან რამე მსგავსი. თავი რომ დამეზღვია, ვიზრუნე, არ გადაამკითხა დიკენსი, კვლევასათვის საჭირო მასალებს თუ არ ჩავთვლით და უნდა მეცადა, მასზე არ მეფიქრა. მაგრამ მზავრული ლიტერატურის წერა ვგასწავლის, რომ სიმაართლე მეთხზულზე უფრო უცნაურია. ვწერდი ნამდვილად ადამიანზე, სახელად ელიაზა ტუმემე, ქალი ჩემს გონებაში იფურქქნებოდა და ყველა სხვა გმირს ჩრდილავდა - ეს ნიშნავდა, რომ ჩემს რომანს ყვობებოდა გამოკვეთილი ქალი პერსონაჟი, რომ-



ლის სახელს დიკენსიც კი არაჩვეულებრივად ჩათვლიდა. ტუშე, მისის ტუშე! მაგრამ დიკენსი საფლავიდან კიდევ არაერთ ოინს მიმზადებდა.

ყველა ნახევრად დამესრულებინა, მისი სახელი კი სქოლიოდან მთავარ ტექსტში ახტა, როგორც ჩემთვის საინტერესო მოვლენათა ნამდვილი მონაწილე; ცხადი გახდა, ეს ნამდვილი ამბავი სრულყოფილი ვერ იქნებოდა, თუ მისტერ ჩარლზ დიკენსი გვერდებზე არ გამოჩნდებოდა. ის რამდენიმე წლის განმავლობაში გამუდმებით სტუმრობდა სადილად ეინსუორთს. ის მონაწილეობდა იამაიკის მომავალთან დაკავშირებულ დავაში (ამ დავაში მან არასწორად აირჩია მხარე). ყველაზე წარმოდგენილი კი ისაა, რომ დაუთი სტრიტი, სადაც ერთ დროს დიკენსი ცხოვრობდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ბლუმსბერის იმ ნაწილშია, რომელიც დაუთი-თიბორნის მამულს ეკუთვნის. ეს ნიშნავდა, რომ დიკენსის ყოფილი სახლი იმის ნაწილი გახლდათ, რის მიღებასაც ჩემი კლიმენტე ცდილობდა. დიკენსი ჰაერივით ყველგან იყო.

ხანდახან წერისას უნდა მოდუნდე და ძენის პოზიცია გაიზიარო - გაჰყევი, საითაც მიჰყავხარო, რაც ხშირად ის ადგოლია, საიდანაც მოხვედა. მისტერ დიკენსს ასე ვუთხარი: მიმინეთ, შეგიძლიათ, მეორეხარისხოვანი გმირი იყოთ, მაგრამ მომდევნო თავში მაშინვე მოკვალათ. თქვენ ნებაზე ვერ ივლით, მახვილგონივრულ გამოსვლებსა და სიბრძნის გაზიარებას ვერ შეძლებთ. სიტყვა შევასრულე, ერთ თავში მოვკალი, ძალიან მოკლე, არადიკენსურ თავში, სახელწოდებით "დიკენსი მოკვდა!" ისეთი კათარსისი იყო, რომელიც, ხალხის წნეწებით, წერას ხშირად ახლავს, მე კი იშვიათად განმიცდია. შემომხედეთ (გავიფიქრე)! ამ წუთას დიკენსი მოვკალი! (აღწერე მისი უცაბედი სიკვდილი და შემდგომ უესტმინსტრის სააბატოში დაკრძალვა.) ეს დიდებული სცენა დაწერე და საჭირო გახდა (რეტროსპექცია), ჩარლზი აუცილებლად დაბრუნებულიყო, როგორც უფრო ახალგაზრდა და დაუმორჩილებელი

ძალა, ვიდრე წინა ორმოც გვერდზე გახლდათ. მაშინ დავეხები. დაერთე ნება, ჩემს გვერდებზე ისევე ეთარეშა, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ლონდონში დააბიჯებდა. ის ჰაერშია, კომედიაში, ტრაგედიაში, პოლიტიკასა და ლიტერატურაში. ის იქაა, სადაც არაფერი ესაქმება (მაგალითად, იამაიკის მომავლის გადამწყვეტ დავაში მონაწილეობს). ხანდახან დამთრგუნველია, ხანდახან მომავადობეული, ხანდახან მომხიბველი, ხანდახან უდიდესი გავლენა აქვს. სწორედ ისეთია, როგორც სიცოცხლეში იყო. სწორედ ისეთია, როგორც ჩემთვის იყო მთელი ცხოვრების განმავლობაში. მაგრამ ბავშვობის გავლენა ასეთია - გავიწყებს, რადგანაც ბევრად მეტი გმართებს მისი, ვიდრე გინდა, რომ იგრძნო ან აღიარო. იხილეთ მშობლები.

თერთმეტი წლის შემდეგ, როდესაც დედა მომწიფდა და ჩემი ისტორიული რომანის წერა დასრულდა, ლეტოში დავკეცი და გავიფიქრე: ვიცო, ხშირად მაცოფებს, მაგრამ სიძარბოვით ისაა, რომ მის გარეშე ამას ვერ დანერდი. ამ ვალზე ვფიქრობდი და გადაწყვიტე, ის გამეკეთებინა, რასაც ლონდონში ცხოვრების განმავლობაში მუდამ ვერ დავიწყებდი: უესტმინსტერის სააბატო მოვილოცე. პოეტების სტიმუტო მოვიხაზულე და ზუსტად ჩარლზ დიკენსის საფლავთან დავდექი. ოჰ. გამარჯობა, ჩარლზ. ბოლოსდაბოლოს, იმედი მაქვს, ვალი სრულად მოვიხადე. და როდესაც სახლში დაბრუნდი - საერთოდ აღარ ვიფიქრებდი აბეზარ მისტერ დიკენსსა და მის გავლენასა და კიოხვასთან დაკავშირებულ საქმესა და ჩანაწერებსა და კვლევაზე - ვიფიქრე, ცოტა ხნით ტელევიზორისთვის შემეხებდა; ჩაერთე ყველასთვის საყვარელი BBC და რა ვნახე პროგრამაში? ახალი "დიდი იმედები". ჰო, ამ ვერსიაში რასების თანახმობის იდეა დაცულია, მაგრამ მაინც "დიდი იმედები". ოჰ, გამარჯობა, ჩარლზ. გამარჯობა და ნახვამდის და კიდევ გამარჯობა!

დისკუსია ჰოვარდ ფილიფს ლავკრაფტის შესახებ

საუბრობენ ლესლი კლინგერი და ნილ გეიმანი

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან არაბულმა



ნილ გეიმანი: ლესლი კლინგერი, ვის შესახებაც უნდა ვიამბოთ, ჩემი ადვოკატია. შესაძლოა გაგიკვირდეთ, მაგრამ ეს სრული სიმართლეა. იმ ამბიდან, რომელიც ახლა მომაცონდა, ათ წელზე მეტია გასული. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა რედაქტორმა, მაიკ დირდამ, *Baker Street Irregulars*¹-ის შეხვედრაზე მიმიწვია. აღნიშნული შეკრება უსაქმურთა, გადამდგარ მოსამართლეთა და იმ ადამიანთა საიდუმლო ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელთა წევრებიც წარამარა ირწმუნებიან, რომ შერლოკ ჰოლმსი არსებობს და მის შესახებ ყველა დეტალი იციან. ამ ორგანიზაციაზე ინფორმაციას პირველად აიხეკ აზიომოვის ესემი წავაწყდი. ჩემს წარმოდგენაში, *Baker Street Irregulars*-ის წევრები მარტორქებს წააგავდნენ. შესაბამისად, ოდნავ ხუმრობით თუ ვიტყვი, იმ საღამოს მარტორქებთან ვახშიმი განვიზრახე. პირველ რიგში, სმოკინგი ვიკორავე. ადვილი შესამჩნევია, რომ ამგვარი ჩაცმის სტილის მიმდევარი არ ვარ, მაგრამ სხვა რა გზა იყო. დარბაზში ნელა შევავიჯე და სწორედ ამ დროს დავინახე მაიკლ დირდა. ამან, სიმართლე გითხრათ, შეება მომგვარა, ვინაიდან, ის მთელ წვეულებაზე იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ვიცნობდი. მაიკლმა ერთ კაცთან მიმიყვანა და მითხრა: "აი, ეს არის ლესლი კლინგერი." მან პირველივე წამიდან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ლესლი ყველას იცნობდა, ამიტომ არაჩვეულებრივი კომპანიონი გამოდგა. იმ დროს ის შერლოკ

ჰოლმსის ნანარმოებთა კომენტარებით იყო დაკავებული, რაც ბრწყინვალედ გამოუვიდა. ასეთივე ნარმატივით გაართვა თავი "დრაკულასაც". ამ ამბებიდან მცირე ხნის შემდეგ ლესლიმ დამირეკა: "ნილ, მე მზად ვარ "ქეიპის კაცზე" ვიმუშაო". შემოთავაზებაზე ხუმრობით ვუპასუხე: - "ეგ, არც ისე საჩქარო ამბავია. ჩემს სიკვდილამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი." გავიდა მცირე ხანი და მე თავად დავეურეკე კლინგერს, რათა გამეხილა, რომ "ამ ბოლო დროს, რალაცები მაინყვებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ეს ამბავი უნდა დავაჩქაროთ".

ურთიერთობის ადრეულ ეტაპზევე შევნიშნე, რომ ლესლი ხანდახან უცნაურ კითხვებს სვამდა. მაგალითად: "ნილ, უკვე შეადგინე ანდერძი?" ცხადია, ამ ყველაფერს, ნაწილობრივ ხუმრობით გავუპასუხებოდი ხოლმე: "კი, ის 20 წლის წინ დავწერე, როდესაც უცხო ქვეყანაში ვცხოვრობდი და სხვა ადამიანზე ვიყავი დაქორწინებული." ამ ფაქტის გათვალისწინებით, დანამდვილებით შემეძლო იმის თქმა, რომ ანდერძი დაწერილი მქონდა. ლესლიმ გონებაშავილურად შენიშნა, რომ ეს მოვლენა აღნიშნავდა არ ღირდა. სწორედ ამიტომ შევთავაზე: "ხომ არ გააკეთებ ამას ჩემთვის?" რაზეც მომიგო: "დაახ, დიდი სიამოვნებით". მას შემდეგ ის ჩემი ადვოკატია და შიგადაშიგ მაიძულებს, რომ ზრდასრული ადამიანების საქმეებით დავსაყვე. ხანდახან მართლაც აუცილებელია, რომ კაცმა ამგვარი რალაცები აკეთოს. მას

¹ Baker Street Irregulars- შერლოკ ჰოლმსის მიმდევართა ორგანიზაცია, რომელიც 1934 წელს კრისტოფერ მორლიმ დააარსა. დღეს ის 300 ადამიანს აერთიანებს მთელს მსოფლიოში.

ყველაფერი ჩემზე უკეთ გამოსდის, თანაც დიდებულად აღამიანია, რაც ნამდვილად იმსახურებს აღნიშვნას.

ლესი კლინგერი: დიდი მადლობა ასეთი სიტყვებისთვის. აუცილებელია აღვნიშნო, რომ როდესაც ვსაუბრებოდი გამოძევებულს ამ ტურის შესახებ, მან ამგვარი რამ შენიშნა: "ძალიან სასიამოვნო იქნება, თუკი მხარს დაუჭერ ისეთ ახალგაზრდა მწერლებს, როგორებიც პიტერ სტრაუბი და ნილ გეიმანი არიან". წარმოიდგინეთ, ისიც კი მოთხრეს - მათ ძალიან ნაადრევად შენს გვერდით გამოჩენაო.

დღეს ლავკრაფტზე გვიწვევს საუბარი. უნდა აღვნიშნო, რომ ჩემ წინ არსებული წიგნი ლავკრაფტის ახლად ანოტირებული ანთოლოგიაა. არსებობს სხვა ვერსიებიც: სტ. ჯოშიმ, მსოფლიოში ლავკრაფტის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მკვლევარმა, შეადგინა ლავკრაფტის მოთხრობების სამი მცირე კრებული თავისი დიზენგებით. მე არც ისე ორიგინალური კაცი ვარ, რის გამოც არ ვაგვიკვირდება, თუკი გეტყვით, რომ წიგნში ბევრი საინტერესო ფაქტი და სურათი შევიტანე.

ბ. გ: როგორც ჩანს, შენს ადრეულ ანოტაციებსა და ამჟამინდელს შორის არის რამდენიმე ფუნდამენტური განსხვავება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ ისაა, რომ შერლოკ ჰოლმსის მოთხრობების კომენტარებისა აშკარა იყო შენი პოზიცია. მაშინ მტკიცედ გჯეროდა, რომ შერლოკ ჰოლმსი რეალური ფიგურაა. გნამდა, უოტსონის არსებობაც, ხოლო კონან დოილი მხოლოდ ერთგვარ შემავარდნად რებად წარმოგედგინა, რომელიც მათ თავს გადამხდა ამბებს აღწერს. ამრიგად, შენ მხოლოდ მაშინ განმარტავდი რაიმეს, როცა რაღაც გაურკვეველი ხდებოდა სიუჟეტში.

ლ. კ: მართლაც ვერე იყო. ეს სწორედ ისაა, რასაც შერლოკის მიმდევრები "თამაშს" ეძახიან. თუკი სიუჟეტს ამგვარად მივუდგებით, მისგან მაქსიმალური შედეგის მიღება შესაძლებელია. როცა საქმე გვაქვს ისტორიულ დოკუმენტებთან, მაშინ შეგვიძლია მათ კულტურული არეუმენტები მივაფიქროლოთ, რათა კვლევა საფუძვლიან გახდეს და კარგადაც გამოიკეთოს ის ფონი, რაც შემდგომ ქმნის სიუჟეტს. გარდა ამისა, შერლოკის მიმდევრებს უყვართ კამათი იმის შესახებ, თუ "რატომ გავაკეთო ჰოლმსმა ეს, ამის სველად". ისინი ხშირად აღნიშნავენ, რომ: "მან ამ თავსატეხს არასწორი ამოსხმა მოუძებნა" და ა.შ. დრაკულას შემთხვევაში, მომიწინა რაღაცები ვამეორებანინებოდა. ლავკრაფტის ამბავი არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილს არ ჰგავს, მაგრამ არც დიდად განსხვავდება მათგან. თავად მწერალი წერდა: კარგად მოფიქრებული ზღაპრული ისტორია თავის თავში თაღლითობასაც უნდა მოიაზრებდეს. თქვენ უნდა წეროთ ისე, თითქოს ამბის თიხმოცდაცხრამეტი პროცენტში რეალურია, ხოლო ერთი პროცენტი განმონაგონი. არსებობს არაერთი დეტალი, იქნება ეს კულტურული, ისტორიული, თუ სხვა, რომლებიც საშუალო პროცესს გვიადვილებს.

ლავკრაფტთან მიმართებით ერთი საინტერესო ამ-

ბავიც მახსენდება: როდესაც პირველად ვთქვი, თუ რა პროექტზე ვინყვები მუშაობას, ოჯახის წევრები გაკვირვებით მომპყრდნენ და ბოლოს ერთხმად შესძახეს: "მოიცა, მოიცა, ვინ?"

ბ. გ: მოდი, ლეს, ჩვენ საუბარს რაიმე კონკრეტული მიმართულება მივცით. ვინ იყო ჰ. ლავკრაფტი?

ლ. კ: ლავკრაფტს უსამართლოდ მიიჩნევდნენ განდევნილად. ის უცნაური კაცი იყო და ეს მართლაც კარგი სიტყვაა მის დასახასიათებლად. ერთი სიტყვით, ლავკრაფტი იყო თავისებური ფენტელმენი, რომელიც დაიბადა 1890 წელს, გარდაიცვალა 1937-ში. თავისი ცხოვრების სანყისი წლები როდ აილენდზე გაატარა. უცნაურია, რომ მას თავი მეთვრამეტე საუკუნის ფენტელმენის რენესანსიად წარმოედგინა. ლავკრაფტმა ხაზი გადაუსვა წერის კომერციულ ასპექტებს. ის რაღაც მომენტში იმ ეტაპამდე კი მივიდა, რომ მისთვის სულ ერთი იყო, თუ რამდენი ადამიანი წაიკითხავდა მის ნაწერებს, რადგან მას სრულებით არ ადარდებდა მკითხველთა რაოდენობა.

ლავკრაფტი გამორჩეული წიქის მქონე, განსწავლული კაცი გახლდათ, რომელმაც პოეზიას შვიდი წლის ასაკში მოჰკიდა ხელი. ის არ დადიოდა კოლეჯში, თუმცა ამის მიუხედავად გამორჩეულ ინტერესს იჩენდა მეცნიერების მიმართ. შედეგად, ლავკრაფტმა ადრეულ ასაკშივე დაიწყო ადგილობრივი გაზეთისათვის სტატიების წერა ასტრონომიაზე. ცოტა მოგვიანებით მან თანამაზრეველი შემოიკრიბა გარშემო, რაშიც ძალიან დაეხმარა "გაერთიანებული პრესის ასოციაცია". ეს იყო საკმაოდ უცნაური რამ, რომელსაც ინტერნეტამდე სამყაროში არსებული ფისისაზე ჯგუფის მსგავსი სივრცეც შეიძლება ვუწოდოთ. ეს ასოციაცია დამწყებ მწერლებს აერთიანებდა და მათ ერთმანეთში ავრცელებდნენ. ლავკრაფტი ამ ჯგუფს ედგა სათავეში. საკვირველია, არა? მართლაც უჩვეულოა ამგვარი რამ ისეთი კაცისგან, რომელიც საზოგადოებისგან განცალკევებით ცხოვრობს. უნდა აღვნიშნო, რომ მას კოლეგებთან კომუნიკაცია, ძირითადად, წერილების საშუალებით ჰქონდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ის განუზომლად ბევრს წერდა.

ბ. გ: მოდი, აქვე შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მისი წერილი 50,000 სიტყვამდეც აღწევს!

ლ. კ: მართალია. რამდენიმე მათგანი სამოცდაათი ტექსტია. ვვარაუდობთ, რომ მან სიცოცხლეში დაახლოებით 100,000-მდე წერილი დაწერა. მათ შორისაა, ლია ბარათები, რომელთაც შემქმნელობით წერდა, რათა რაც შეიძლება ცოტა ადგილი დაეკავებინა და მეტის დაწერა მოესწრო. აღსანიშნავია მისი ვრცელი წერილებიც, რომლებიც არაერთ თემას მოიცავენ, დაწყებული ნაყინებითა და კატებით, დამთავრებული ანტიკური ეპოქის ისტორიითა და პოლიტიკით. მას მიმოწერა ჰქონდა ფენტეზის ჟანრის ადრეული პერიოდის მწერლებთან, როგორებიც: რობერტ ჰოვარდი² და კლარ ემტონ სმიტი³ გახლდნენ.

2 გაერთიანებული პრესის ასოციაცია - საინფორმაციო სააგენტო, რომელიც 1907 წლის 21 ივნისს დაარსდა. იგი მორჩეს ტელეგრაფის საშუალებით ყოველდღიურად 10 000 სიტყვას გადასცემდა.
3 რობერტ ჰოვარდი - ამერიკელი ფენტეზის ჟანრის მწერალი. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის

მათ გარკვეული თემის გარემო საერთო მისწრაფებები აერთიანებდათ, რის გამოც ერთმანეთში აზრებს ცვლიდნენ. ზემოთ აღნიშნული მიმონერა ნელ-ნელა ქვეყნდება. მათი გამოცემა 1960-იანი წლებიდან დაიწყო და დღეს უკვე 15 ტომამდე გვაქვს, თუმცა დარჩენილი ჯერ კიდევ ბევრია. ამ ნაწერების კითხვა უდიდესი სიამოვნებაა.

ლაკერაფტმა მხოლოდ ოთხმოცდახუთი მოთხრობა დაწერა. მისი ნაწარმოებები თავდაპირველად *Weird Tales*-ში გამოჩნდა, რომელიც მაკულატურულ გამოცემას წარმოადგენდა. ვფიქრობ, ახლა უკვე არსებობს ამ ჟურნალის რამდენიმე თანამედროვე ანალოგი, თუმცა იმ ეპოქაში ეს ამ ჟანრის მწერლებისთვის ერთადერთი სივრცე იყო, სადაც მათ ნაწერების გამოქვეყნება შეეძლო. ჟურნალი ფული ძალიან მომჭირნედ იხდოდა. ლაკერაფტი დაახლოებით ოცდახუთ დოლარს იღებდა თითო მოთხრობაში და იმისათვის, რომ საჭირო ოდენობის ფული გამოემუშავებინა, მან ახალ საქმიანობასაც მიჰყო ხელი: სხვა ადამიანების მიერ დაწერილ ისტორიებს იბარებდა და მათ ანაზღაურების საწვავად არედაქტირებდა, ხშირ შემთხვევებში, თავიდანაც კი გადაწერდა ხოლმე მათ. ზოგიერთი ასეთი მოთხრობა, რომელიც შემდგომში გამოიცა კიდევ, უფრო მეტად ლაკერაფტის ნამოქმედარს წარმოადგენს, ვიდრე საკუთრივ ავტორისას.

ბ. გ: როგორც მახსოვს, ის ჰარი ჰუდინთან ერთადაც წერდა, არა?

ლ. კ: დიახ. ჰუდინის შესახებ ხალხმა ბევრი არაფერი იცის, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ნამდვილი კინოვარსკვლავი იყო, რომელიც სათავადასავლო ჟანრის ფილმებში მონაწილეობდა. მას უნდოდა დაწერა ჯაშუშური ისტორია, რომლის სიუჟეტიც პირამიდების ქვეშ არსებული კულტის გარშემო განვითარდებოდა, ამისათვის კი, დახმარება ლაკერაფტს სთხოვა. ზოგადად, ლაკერაფტს იშვიათად ბეჭდავდნენ, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ის საკუთარ სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ნიგნის გამოქვეყნებას მოესწრო ("ჩრდილი ინსმუტის თავზე"). მწერალი გარდაიცვალა 1937 წელს კუჭის კიბოთი. ეს საშინლად მტანჯველი სიკვდილი იყო, რომელიც დეტალურად აღწერა "სიკვდილის დღიურში". მხოლოდ მწერლის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტეს მისმა მეგობრებმა, რომ ის სამყაროს უნდა ეხილა. აი, საიდან დაიწყო ყველაფერი...

ბ. გ: იმის თქმა გინდა, რომ ის ადამიანთა ძალიან

ვინრო წრისათვის იყო ცნობილი?

ლ. კ: ზუსტად. იყო ასეთი კაცი, აუგუსტ დერლე, რომელმაც თავის მეგობარ დონალდ ვანდრისთან ერთად პატარა კომპანია შექმნა. დერლე არასოდეს შეხვედრია ლაკერაფტს, თუმცა მათ ხშირი მიმოწერა ჰქონდათ. მან და ვანდრიმ, რომელიც ლაკერაფტის კარგი მეგობარი იყო, გადაწყვიტეს, გამოქვეყნებოდათ ნიგნის სახელწოდებით "უცხო და სხვა მოთხრობები". აღნიშნული კრებული დაბეჭდვისთანავე გააგზავნეს კრიტიკოსებთან, რომლებიც ელტაცებულები შეხვდნენ ამ ნიგნს.

ბ. გ: სწორედ ამიტომაც დააარსეს ამ ადამიანებმა თავიანთი გამოცემლობა, "არკჰემ ჰაუსი".

ლ. კ: დიახ. სახელი შერჩა იმ ქალაქის მიხედვით, სადაც ლაკერაფტის ისტორიების უმეტესობა ვითარდება. თუმცა ისინი სხვა მრავალ რამესაც ბეჭდავდნენ. ფაქტი ერთია, რომ ლაკერაფტის გამოცემები ყველაფერს ჩრდილავდა. მათი პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ედმუნდ უილსონი, ერთ-ერთი უდიდესი კრიტიკოსი. მან დაწერა ნერილი ლაკერაფტის შესახებ. მას სძულდა იგი, რ, როგორ ეჯავრებოდა და ვერ იტანდა. მახსენდება ფილმი ანაბელსზე, სადაც იმპერატორი ამბობს, რომ მუსიკა კარგია, მაგრამ, მეტისმეტად ბევრი ნოტია. სწორედ ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა უილსონს ლაკერაფტის ისტორიებთან დაკავშირებით. ის წერდა: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აქ ზედმეტად ბევრი სიტყვაა. ლაკერაფტმა განზრახ განავითარა არაქული სტილი და გამოიყენა ბევრი მაღალფარდოვანი სიტყვა. ხშირად, დაახლოებით ნაწარმოების მეოთხედი, ავტორი იმის ახსნას უნდებდა, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის ტერმინი.

ბ. გ: მახსოვს, როგორ ცვდილობდი ცამეტი წლის ასაკში ლაკერაფტის ნაკითხვას. მაშინ მომიწია ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის შექმნა, რომელიც ორი უმველებელი ტომისაგან შედგება. მას გამადიდებელი მუშა მოჰყვება თან. ეს ყველაფერი იმისთვის დამჭირდა, რომ გამერკვია, რას ნიშნავდა სიტყვა "batrachian" (ზაყაყის მსგავსი).

ლ. კ: უილსონს სძულდა ეს ყველაფერი. მან ლაკერაფტს იმავე ბნელ კუთხეში მოუწინა ადგილი, სადაც *Baker Street Irregulars*-ის ნევერსი. რეალურად, ლაკერაფტი 1970-იან წლებში აღმოაჩინეს, როდესაც პოპ კულტურამ უნივერსიტეტის სასწავლო გეგმში შეაღწია. ახლა მას ასწავლიან სხვადასხვა კურსის ფარგლებში. ის ფაქტი, რომ *ნორტონი* მზად იყო

განმავლობაში შექმნა ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა: "შავი სანაპიროს დედოფალი" და "დრაკონის საათი." მას ლაკერაფტთან დიდხინაი მეგობრობა აკავშირებდა.

4 კლარკ ეშტონ სმიტი - ამერიკელი მწერალი და მხატვარი. მისი ნაწარმოებები განეკუთვნება ფენტეზის, საცმცენიერი ფანტასტიკისა და სამინელებათა ჟანრებს. რობერტ ჰოვარდის მსგავსად, მასაც მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა ლაკერაფტთან.

5 *Weird Tales* - ამერიკული საშინელებათა და ფანტასტიკის ჟანრის მაკულატურული ჟურნალი. დაარსდა 1922 წელს. მის თავდაპირველ გამოცემებში იბეჭდებოდა ისეთი ავტორების მოთხრობები, როგორებიც არიან ჰ. ფ. ლაკერაფტი, სიბური ქვინი და კლარკ ეშტონ სმიტი.

6 1936 წელს ლაკერაფტს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. იგი სიკვდილამდე აწარმოებდა დღიურს, სადაც საკუთარი ავადმყოფობის შესახებ დეტალურ ჩანაწერებს აკეთებდა.

7 აუგუსტ დერლე - ამერიკელი მწერალი და ანთოლოგისტი, გამოცემლობა "არკჰემ ჰაუსის" დამფუძნებელი. პირველად ლაკერაფტის მოთხრობები სწორედ მისი ინიციატივით დაიბეჭდა.

8 ნორტონი - ამერიკული გამოცემლობა, დაარსებული 1923 წელს ნიუ-იორკში. კომპანია ცნობილია

თავის სერიებში ჩემი ანოტირებული წიგნი შეეცანა, ამ პროცესისთვის დამატებით სტიმულად იქცა.

ნილ, მე ლავერაფტი საკმაოდ გვიან ნაეკითხე. ეს კი სრულად განსხვავდება შენი გამოცდილები-საგან, ვინაიდან, როგორც მახსოვს, მას ადრეულ ასაკში გადაეყარე.

ბ. გ: დაახლოებით თერთმეტი-თორმეტი წლის ვიყავი. არაჩვეულებრივი დრო იყო ფანტასტიკის ჟანრის წიგნების წასაკითხად. ამერიკაში და უფრო მცირე ოდენობით ინგლისშიც არსებობდნენ გამო-ცემული წიგნები, რომლებმაც ამ ჟანრის მრავალი დიდ-ბული ავტორი დააბრუნეს ბექდურ სამყაროში.

ლ. კ: ეს ამბები დაახლოებით 70-იან წლებში და-ინიყო.

ბ. გ: იმ პერიოდში *Granada Books*-ის ინგლისურ გამოცემაზე შესანიშნავი მხატვარი, ბრიუს პენინ-გტონი მუშაობდა. პენინგტონმა შექმნა ყდები რამ-დენიმე წიგნისათვის, რომლებიც შემდგომში კლარკ ემტონ სმიტმა დაბეჭდა. მე ხელში სწორედ ეს გამო-ცემები ჩამივარდა. ერთ-ერთი წიგნის უკანა ყდის დათვალოვნებისას თვლია ჰ. ფ. ლავერაფტის სა-ხელს მივკვარა. სწორედ აქ გადავანყდი მას პირვე-ლად. მალევე მოვიხიე მისი წიგნი "უცხო და სხვა მოთხრობები." პირველივე ნაწარმოები საკმაოდ სა-ინტერესო აღმოჩნდა. ისტორია ერთი ბიჭის გარშ-კვითარდება, რომელიც ცდილობს კომუხე ასვლას და სიბნელისგან თავის დაღწევას. როდესაც ის კომ-კის თავზე მოექცევა, გარეთ გამოვლას მოახერ-ხებს, თუმცა მისი დანახვისთანავე ადამიანები ყვი-რილს დაიწყებენ. ბიჭი მიხვდება, რომ იგი თავადაა საშინელი მონსტრი და კომუხიდან ჩამოსვლას და-ინწყებს. ახლა შეიძლება იფიქროთ, რომ ისტორია საკმაოდ ბუნდოვნად შედრს, თუმცა იგი ლავრაფ-ტის ნახელავია და არც ისე ურიცხვად იკითხება. სა-გულისხმოა, რომ იმ დროს, როდესაც ამ წიგნს ვკითხუ-ლობდი, თრთმეტი წლის ცინგლიანი ბავშვი ვიყავი. გასაკვირი არცაა, რომ ლავერაფტის დანსენისეული ისტორიებით სწორად აღფრთოვანებული ვერ და-ვრჩი. დასვენებულ დროებში იმ ხანად ნაეკითხე და მას-სოც. ვფიქრობდი, რომ მას წერა არც ისე კარგად გამოსდებოდა. გავიდა დრო და "ქთულჰუს ძახილი" გადავანყდი, რომელიც ძალიან მომეწონა. მომაჯა-დოვან იმ განცდამ, რომ მთელი ნაწარმოების განმავ-ლობაში აისბერგის წვეტს ვხედავდი. ვფიქრობ, სწო-რედ ეს იყო ის, რამაც ჩემი, როგორც ახალგაზრდის, ლავერაფტით დაინტერესება გამოიწვია. საუბარი მაქვს მის უზარმაზარ, თვითმყოფად სამყაროზე, რომლისაც სრულყოფილად მხოლოდ თავად თუ ეს-მოდა. ჩვენ მის შემოქმედებაში მუდმივად ვანყდე-ბით დეტალებს, რომლებიც ერთმანეთისაგან სრუ-ლიად დამოუკიდებელ ისტორიებს აკავშირებს, თუმ-ცა მათ სრულყოფილად ახსნას ვერასოდეს ვახერ-ხებთ. უნდა ვაღიარო, რომ ყოველთვის აღფრთოვა-ნებლად ვიყავი ლავერაფტის გადმოცემის უნართი. ნარმოვანებით, როგორც უჩვეულოა, როცა მისი გმი-რები მაშინაც კი სწერენ, როდესაც სასიკვდილო საფ-რთხის წინაშე დგანან. "ის კიბეზე ამოდის, მისი ხმა მესმის, ო დმერთო ჩემო, კარი იღება" - კითხულობ ამ მონაკვეთს და ფიქრობ: კი მაგრამ, რას აკეთებს

მთხრობელი? განა ასე რთულია უბრალოდ დადოს კალამი და გაიქცეს?

ლ. კ: ლავერაფტის მოთხრობები, როგორც წესი, ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მათ შესახებ აღსა-ნიშნავი მხოლოდ ისაა, რომ ისინი იკვლევენ საგნებს, რომლებსაც ჯობდა არც არასოდეს შეხებოდნენ.

ბ. გ: ამასთან ერთად, ზოგიერთი მათგანი სულ ცოტა ხნის წინ გადავიდა ახლად საცხოვრებელში. ისე-ნი ხშირად აწყდებიან სხვადასხვა ტიპის ვაფრთხი-ლებებს. მაგალითად, "თქვენ არასწორი ბინა იქირა-ვეთ".

ლ. კ: ლავერაფტის რამდენიმე მოთხრობა, რე-მელთა შორისაცაა "უცხო", ჩემს კრებულში ვერ მოხ-ვდა. უნდა ითქვას, რომ ამის გამო საზოგადოების უკმაყოფილებაც დავიმახსურე. ვცეცადე, კრებულში მისი საუკეთესო ნაწარმოებები შემიტანა, როგორე-ბიცაა: "ქთულჰუს ძახილი", "ჩრდილი ინსპუტის თავ-ზე", "ჩარლზ დექსტერის საქმე" და "სივიფის მთებ-თან".

ბ. გ: ლავერაფტის კითხვა ქვიშაში რაღაცის ძიე-ბას ჰგავს. იცი, რომ იქ რაღაც აუცილებლად დაგ-ხვდება. შესაბამისად, მეც აგრძობდი თხრას მანამ, სანამ არ მიაგნე იქ დამარხულ ისტორიას. ჩემს ერთ-ერთ პირველ მოთხრობას "მე, ქთულჰუ" ერქვა, რე-მელთა 19-20 წლის ასაკში დავწერე, თუმცა ცხადია არსად გამოიქვეყნებია. წლების შემდეგ იგი სრუ-ლიად შემთხვევით დაიხვეჭა ერთ-ერთ ჟურნალში. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ამ მაკულატურული გამოცემის წარმომადგენელმა მკითხა, რაიმე ხომ არ მქონდა ლავერაფტის ვაულებით დაწერილი. სწორედ ამ დროს ამომიტიტიტივდა გონებაში ეს მოთხრობა. გაგზავნისას თან დაფურთე საკმაოდ ვრცელი წერი-ლი, რომელიც ჰ. ფ. ლავერაფტსა და პ. გ. ვუდჰაუსის პირად გამოუწვავს ეხებოდა. ვფიქრობ, ჩემამდე ეს არავის მიუწევთებია...

ლ. კ: სხვათა შორის, ეს სერიოზული განაცხა-დია. ხომ იცი სხვებიც არსებობენ..

ბ. გ: მაგრამ ლეს, მე მათ შორის პირველი ვიყავი. ახლაც კარგად მახსენდება ის დრო, როცა პირ-ველად გამოვიდა მიუხიკილი სახელწოდებით, "ქთულ-ჰუს ზაფხული", რომლისთვისაც სიმღერის ტექსტე-ბიც კი დავწერე.

ლავერაფტის შესახებ სულ ორი რამ მაქვს გა-მოქვეყნებული. პირველად, ეს იყო მოთხრობა სა-ხელწოდებით "კლავაჯ არავითარ სამყაროს აღსა-რწონის გარდა." ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ მაიკლ რიესმა დამირეკა და ასეთი რამ შემომთავა-ზა: "შეი, ნილ, ანთოლოგიას ვადაცენ იმ მოთხრობე-ზე, სადაც შერლოკ ჰოლმსი ქთულჰუს ხვდება. რო-გორც ფიქრობ, შეეძლე ჩემს დახმარებას?" დმერთო ჩემო, ეს ყველაზე გიჟური რამ იყო, რაც კი ვინმეს ჩემთვის უთქვამს. ნარმოვანდგინეთ, შერლოკ ჰოლ-მსი და მასთან დაკავშირებული რაციონალურობა. ამ პერსონაჟის იდეა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის არსში წვდო-მა შეუძლია. მას შეუძლია უბრალოდ შეხვდეს ადა-მანას და მცირე ხნისა და ჯიჯივების საფუძველზე დაასკვნას, რომ ის 35 წლის ლატვიელი მხატვარია, მარცხენა ყურში სმენა აქვს დაქვეითებული, სახლში

კი კოკერსპანიელი ელოდება. ლავკრაფტის შემთხვევაში ყველაფერი საპირისპიროა. მენ არ შეიძლება საგანთა არის სრულყოფილად ჩანვდენი. ნივ შეიძლება გედგას არსება, რომელსაც უყურებ. მაგრამ ვერ ხედები, რომ ის ოდესღაც უფორმო კოსმოსში მცხოვრები ღმერთის გადმონაშთია. მის ნამდვილ სახეს ვერ აღიქვამ, რადგან ეს აუცილებლად გადაგიყვანს ჭკუიდან. ახლა კი წარმოიდგინე, რომ რიცხს ამ ორი პერსონაჟის ერთ კონტექსტში მოქცევა სურდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ბოლოს მაინც გადაწყვიტე, რომ საქმისთვის ხელი მომეკიდა. მაინც რა შეიძლება მომხდარიყო იმ შემთხვევაში, თუკი მთელს საცერის ლავკრაფტისეულად გდავწყობდი და მასში შერლოკ ჰოლმსს დავასახლებდი? იცით, არსებობს მოთხრობები, რომლებიც თავისთავად იწერებიან და ამ შემთხვევაშიც სწორედ ეს სცენარი გათამაშდა. წერის პროცესში მუდმივად მქონდა შეგრძნება, თითქოს ნაწარმოების სოუფეტი თავად მიმიძლიოდა წინ და ყოველ დეტალს მკარნახობდა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მე მომინა ჰუვოსის პრემიისა და სხვა მრავალი ჯილდოს აღება. გარემომოყვები, ალბათ, ზედმეტად ჭკვიანად აღმიქვამდნენ, მე კი ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს და ვერც კი ვხედაობდი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

ლ. კ: ახლა კი, მინდა მეტად სერიოზულ თემაზე გადავიდე. საუბარი მაქვს, მსოფლიო ფენტეზის ჯილდოს გარშემო დატრიალებულ აზრობა სხვადასხვაობაზე. ამ ჯილდოს მფლობელებს გადაეცემათ ლავკრაფტის ბიუსტი. ბოლო რამდენიმე წელია ნამოიჭრა ამ ქანდაკების შეცვლის იდეა, რადგან, როგორც მოგვხსენებთ, ლავკრაფტი რასისტი იყო.

ნ. გ: ნამდვილად ასეა.

ლ. კ: იცით, ეს შემაფოთებელი ფაქტია. როდესაც კითხულობ ლავკრაფტის მიმოწერას, იქ ნათლად ჩანს, რომ მას სძულდა ებრაელები, შავკანიანები, ესპანელები, პორტუგალიელები, იტალიელები, ერთი სიტყვით თითქმის ყველა, ვინც არ იყო ანგლო-საქსი პროტესტანტი როდ აიღენდიანი. ის დაქორწინებული იყო ებრაელ ქალზე, რაც, ცოცხალ არ იყოს, აუხსენელი მოვლენაა. თავად ლავკრაფტი ამბობდა, რომ მისი ცოლი "კარგი" ებრაელი იყო, რადგან არ ჰყვავდა მისი ურთიერთის სხვა წარმომადგენლებს. ის არ იქცეოდა მათი წესის მიხედვით. ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, ლავკრაფტს 2 წლით ნიუ-იორკში ცხოვრება მოუწია და ეს მისთვის წარმოუდგენლად უსიამოვნო გამოცდილება აღმოჩნდა. მას სძულდა ყველაფერი, რაც ამ ქალაქს უკავშირდებოდა. ეს თითქმის ჯოჯოხეთით ყოფნას ჰგავდა, სადაც იგი გარშემორტყმული იყო მისთვის სრულად მიუღებელი ხალხით. იგი მათ ქოჯაკებს ეძახდა. ეს დეტალი ლავკრაფტის პიროვნების ასახსნელად საკულისსმო შტრიხია.

ნ. გ: რა თქმა უნდა, რასისტული ელემენტების არსებობა კარგი არ არის, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათ გარეშე ლავკრაფტის თხრობისათვის დამახასიათებელი მხატვრული ეფექტის მიღწევა შეუძლებელია.

ლ. კ: ვფიქრობ, რომ ლავკრაფტის ნაწარმოებზე დიდ გავლენას ახდენს მისი მიმართება რასიზმთან დაკავშირებით, მაგრამ ისიც მრავადავნიშნავდა, რომ ავტორის მშობლები ფსიქიატრიულ საავად-

მიყოფში გარდაიცვალნენ. თავად ჰოვარდსაც მიეწი ცხოვრება თან სდევს ეს განცდა, რომ ბოლოს თვითონაც მათ ბედს გაიზიარებდა.

ნ. გ: სიგიჟის შიში, კოსმოსურ სიცარიელეში მცხოვრები შემზარავი არსებების შიში...ჩვენ ხომ ამ არსებებისთვის მტერის უმცირესი ნაწილაკები ვართ. აი, რა აძლევს ლავკრაფტს შინაგან რწმენასა და ძალას. შეგიძლია წარმოიდგინო სიფილისის შიშით შექრული ადამიანი?

ლ. კ: სიფილისით გარდაიცვალა ლავკრაფტის მამა, თუმცა თავად ამ ყველაფერს მენტალური ამბილიობა უწოდა. ხაზგასახლებლია ის ფაქტიც, რომ ჩემს წინგში შერლოკ ჰოლმსს ხშირად ვახსენებ. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ თავად ლავკრაფტი შერლოკის დიდი მოყვარული იყო. ცნობილი დეტექტივის შესახებ უწინაღ *The Strand*-ში პირველი მოთხრობების გამოჩენისას ის ვერ კიდევ პატარა ბავშვი იყო. მან დააარსა შერლოკ ჰოლმისის მიმდევართა კლუბი სადაც, თავად შერლოკი იყო, ყველა დანარჩენი კი ნაკლებად მნიშვნელოვან პერსონაჟებს განასახიერებდნენ. ლავკრაფტის ეს გატაცება მის ლიტერატურაზეც აისახა. მაგალითად მოთხრობა - "მონადირე ძაღლი" აშკარად "ბასკერვილების ძაღლს" ეხიქვანება. არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ ლავკრაფტის კითხვისას მე ყოველთვის ვხედავ იმ უხილავ ძაღვებს, რომლებიც მის ნაწარმოებებს შერლოკ ჰოლმსთან აკავშირებს.

ნ. გ: არსებობს მოსაზრება, რომ ლავკრაფტმა საკუთარი მითოსში წინამორბედი მწერლების შემოქმედება გააერთიანა. რას ფიქრობ ამ საკითხზე?

ლ.კ: პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ლავკრაფტი საკუთარი თავით იმედგაცრუებული იყო. მისი აზრით, იგი არ იყო საკმარისად კრეატიული. კარიერის რაღაც ეტაპზე აღნიშნა კიდევ: "მე ვხედავ, რომ ჩემი ნაწარმოებები ძალიან წაავსებ სიუჟელს, ანდაც დანსენისეულ ამბებს. კი მაგრამ, სად არის ლავკრაფტის ენული ისტორიები?" ლავკრაფტი მარტივად ექცეოდა სხვა მწერლების გავლენის ქვეშ.

ნ. გ: არასდროს მქონია ის განცდა, რასაც მწერლები ხშირად განიცდიან, როცა ფიქრობენ რომ "ო, ღმერთო ჩემო, როგორ აღმოჩნდი არსებული იდეიდან მოცემულ შინაარსამდე" ლავკრაფტი ყოველთვის ღიად საუბრობდა იმ ადამიანებზე, რომლებიც მასზე ამა თუ იმ ფორმით ახდენდნენ გავლენას. მაგალითად ახლა გამახსენდა, რომ "ფსიქოპათის" ავტორს, რობერტ ზოლმს, სულ რაღაც 16 წლის ასაკში ჰქონდა მიმოწერა ლავკრაფტთან.

ლ. კ: ნამდვილად ასეა. ეს მწერლები ინტერესტამდე სამკარგლო ცხოვრობდნენ და საერთო პროდუქტის შექმნას ცდილობდნენ. თანამედროვე სამყაროში, რა თქმა უნდა, ეს აღარავის უკვიროს.

ნ. გ: როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, ლავკრაფტს საკუთარი ლიტერატურის სხვებისათვის გაზიარება უყვარდა. მისი გარდაცვალების შემდეგ არასოდეს არავის უთქვამს, რომ რაიმე ფორმით ფლობდა ან განაგებდა მის შემოქმედებას. სწორედ ამიტომ, ადამიანებს ლავკრაფტის შთავონებით სხვადასხვა ნაწარმოების შექმნა არასოდეს შეუწყვეტიათ, რაც ძალიან კარგი ამბებია. ამაზე ნათქვამი, რომ ჯრინ, რომელიც ლამაზარში სახლობდა, უკან აღარასდროს დაბრუნებულა...



მალხაზ ხარბელია
შეთხზული
„მე“



წიგნის სანახავად
დაასკანერეთ QR კოდი

**ავტობიოგრაფიული ჟანრის ევოლუცია – ნეტარი ავგუსტინედან
დანწყებული და რუსოს, დილთაის, ლეჟენის
რეფლექსიებით გაგრძელებული**

რატომ და როგორ იწერება ავტობიოგრაფია? რა მიზანი აქვს
„მე“-ს შესახებ წერას, თვითრეპრეზენტაციას? - ამ და სხვა
კითხვებზე წლების განმავლობაში ეძებდა ავტორი პასუხებს
სხვადასხვა დროსა და ისტორიულ გარემოში შეთხზულ
„მე-ტექსტებში“ და, იმავდროულად, თვითონაც ებმებოდა მათ
„ქსელში“. სწორედ ამიტომ გამოაღწია „სადღაც ქვაბულიდან“
მისმა პირადმა ამბავმაც, რომელიც მონუსხავს მკითხველს
გულახდილობით და, რაც მთავარია, უბიძგებს მას, თავადაც
სცადოს საკუთარ არსებობაში გარკვევა.



პალიტრა L
საბჭოთაობა

www.palitra.l.ge

facebook.com/Palitra.L.Publishing



„სიკვდილის ლურჯი ეკრანი“

ირაკლი მაჩიტაძე

ნომინაცია: წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი

ყველაფერი „პლანეტის ფინანსური თუ პოლიტიკური ცენტრებისგან მოშორებით, იმერეთის ერთ პატარა სოფელში, ერთ უცნაურ კაცთან საუბრის შემდეგ“ იწყება... ყველას გინახავთ სიკვდილის ლურჯი ეკრანი. უფრო მეტად ცნობილია მისი ინგლისური სახელწოდება BSOD (A Blue Screen of Death). ესაა მდგომარეობა, როდესაც კომპიუტერის ოპერაციული სისტემა აპარატული ან პროგრამული შეცდომების შედეგად ვედარ ფუნქციონირებს, „იჭედება“ და არსებობს ერთადერთი გამოსავალი – კომპიუტერის გადატვირთვა. დაახლოებით ასეთი რამ ემართება რომანის მთავარ გმირს, რომელსაც საოცარი ამბავი გადახდება თავს. ეს სამუდამოდ შეცვლის მის მსოფლმხედველობას და, მისმა თავგადასავალმა, შესაძლოა, უახლოეს მომავალში მსოფლიოც შეცვალოს.

„ვარდის სურნელი“

ზაზა ბურჭულაძე

ნომინაცია: წლის საუკეთესო რომანი

„ვარდის სურნელი“ რეალობა-ჯადოსნურობის მიჯნაზე მოარული მთხრობელის თავგადასავალში ჩავითრევთ და ერთმანეთში არეული ათასი სურნელით თავბრუს დაგახვევთ. ესაა სულისშემძვრელი რომანი სიტყვებზე, რომანი-ლაბირინთი, რომელიც გულგრილს არავის დატოვებს. თუ ნიცშეს „ზარატუსტრა“ არის წიგნი ყველასთვის და არავისთვის, „ვარდის სურნელი“ არის წიგნი არავისთვის და ყველასთვის. და ეს არ არის სიტყვების თამაში. სიტყვების თამაშია თვითონ რომანი – წიგნი-გამოწვევა, რომლის არომატიც არასდროს არაფერში აგერევა.

„სწრაფი, ღამისიერი“

ზურა ჯიშკარიანი

ნომინაცია: წლის საუკეთესო რომანი

როგორი იქნებოდა დეკარტი, ციფრულ პერსონაჟად რომ დაბადებულიყო? ვინ და როგორ იპარავს ვიდეოთამაშების პერსონაჟებს და რატომ არის შავ ბაზარზე ასეთი მოთხოვნა მათზე? შეიძლება თუ არა, რომ ერთხელაც სამყარო უბრალოდ გაითიშოს ტელევიზორივით? კიბერპანკ რომანი „სწრაფი, ღამისიერი“ ზურა ჯიშკარიანის ახალი ექსპერიმენტული პროზის ნიმუშია, რომელშიც მოვლენები მომავლის თბილისსა და ფაზისში ვითარდება.

